



**საქართველოს ენერგეტიკულ სექტორში  
განხორციელებული სტრუქტურული  
ცვლილებების სოციალურ-ეკონომიკური  
ეფექტიანობა**

თბილისი  
2003 წ.

კვლევა - “საქართველოს ენერგეტიკულ სექტორში განხორციელებული სტრუქტურული ცვლილებების სოციალურ-ეკონომიკური ეფექტიანობა”, მომზადებულია ასოციაცია “მწვანე ალტერნატივა“-ს პროექტის - “საზოგადოების მონაწილეობა საქართველოში ეკონომიკური განვითარებისა და სიღარიბის შემცირების სტრატეგიის განხორციელებაში”, ფარგლებში.

ასოციაცია “მწვანე ალტერნატივა” მადლობას უხდის დიდი ბრიგანეთის საქველმოქმედო ორგანიზაცია “ოქსფამ“-ის საქართველოს წარმომადგენლობას გაწეული დახმარებისათვის.

კვლევა მომზადებულია:

საქართველოს ინჟინერ-ენერგეტიკოსთა ასოციაციის წევრების თ. მიქიაშვილის, თ. ჯიშკარიანის,

ბ. ჩხაიძის, ო. კილურაძის

და

სოციოლოგიური კვლევის ცენტრის SRC–ის მიერ

## ს ა რ ჩ ე ვ ი

|   |    |
|---|----|
| შესავალი.....   | 4  |
| I ქვეყნის მოთხოვნილება ენერგორესურსებზე (ელექტროენერგია, ბუნებრივი აირი, მამუთი, შეშა, ნავთი, თხევადი გაზი, ქვანახშირი და სხვ.) ..... | 6  |
| II ელექტროენერგეტიკული ბალანსი.....   | 9  |
| III სტრუქტურული ცვლილებები საქართველოს ენერგეტიკულ სექტორში (ინსტიტუციური და საკანონმდებლო ცვლილებები, პრივატიზაცია).....             | 12 |
| IV სოციალური მდგომარეობა საქართველოში (ოჯახების შემოსავლების ანალიზი).....  | 19 |
| V მოსახლეობის ენერგომოთხოვნილება, გადახდისუნარიანობა და ენერგეტიკული კომფორტულობა. ფსიქოლოგიური გარემო და გადახდის კულტურა.....       | 21 |
| VI ტარიფების ცვლილება, როგორც სტრუქტურული ცვლილებების შედეგი.....   | 31 |
| VII ენერგოეფექტური ტექნოლოგიების დანერგვისა და ენერგოდაზოგვის ღონისძიებების პრაქტიკა და პერსპექტივები საქართველოში.....               | 36 |
| VII მოსახლეობის ენერგოუმრუნველყოფის საიმედოობა. ცხოვრების ღონის ეკონომიკური კრიტერიუმები და სოციალური დაცვის პროგრამები.....          | 37 |
| დასკვნები.....  | 41 |
| შეფასებები .....  | 43 |
| რეკომენდაციები.....   | 47 |
| <i>დანართი:</i> მოსახლეობის მიერ ენერგორესურსების მოხმარების საკითხებთან დაკავშირებული თვისობრივი კვლევის ანგარიში.....               | 48 |

## შესავალი

“საქართველოს ენერგეტიკულ სექტორში განხორციელებული სტრუქტურული ცვლილებების სოციალურ-ეკონომიკური ეფექტიანობის” პროექტი წარმოადგენს ერთ-ერთ პირველ მცდელობას გამოვლენილ იქნეს აღნიშნული ცვლილებების ავკარგიანობა მოსახლეობის სხვადასხვა სოციალური ფენებისათვის და შემუშავებულ იქნეს რეკომენდაციები, რომლებიც ხელს შეუწყობს სიღარიბის პრობლემის დაძლევას საქართველოში.

ავტორთა ჯგუფს კარგათ ესმის თემის სირთულე, რაც, ერთი მხრივ, განპირობებულია იმით, რომ საკუთრივ სტრუქტურული ცვლილებები საქართველოს ენერგეტიკულ სექტორში მოიცავს მრავალ ურთიერთდაკავშირებულ საკითხს - ცვლილებებს ენერგეტიკული სექტორის ინსტიტუციურ მოწყობაში; ცვლილებებს სექტორის ელემენტების მართვის ორგანიზაციაში; საკუთრების ფორმების ცვლილებებს და ენერგეტიკული სექტორის ახალ საკანონმდებლო უზრუნველყოფას. თითოეული ამ ცვლილების შედეგების კრიტიკული შეფასებისათვის აუცილებელია პროცესებზე უწყვეტი და ობიექტური დაკვირვება, რაც ამჟამად საქართველოში არ ხორციელდება. მეორე მხრივ, ქვეყანაში მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკური პროცესები არ არის დამოკიდებული მხოლოდ ენერგეტიკულ სექტორში განხორციელებულ ცვლილებებზე და წარმოადგენს სხვადასხვა დარგებში მიმდინარე ცვლილებების კომპლექსური გემოქმედების შედეგს. ბუნებრივია, შეუძლებელია მკაცრად გაიმიჯნოს ცალკეული გემოქმედებითი კომპონენტის როლი საქართველოში დღეისათვის შექმნილ სოციალურ-ეკონომიკურ ვითარებაში. თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს მოსახლეობის უდიდესი ნაწილი იმყოფება სიღარიბის ბლვარს მიღმა და პრაქტიკულად უმუშევარია, ენერგეტიკულ სექტორში მიმდინარე ყველა ის ცვლილება, რომელიც იწვევს ენერგორესურსების ფასების ცვლილებას, პირდაპირ და მაქსიმალური გავლენით მოქმედებს ადამიანების ცხოვრების პირობებზე. ამიგომ შესაძლებელია დავეუშვათ, რომ საქართველოში მრეწველობის ამჟამად მოქმედ დარგებს შორის მოსახლეობის უმრავლესობის საყოფაცხოვრებო პირობებსა და სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას არსებითად განსაზღვრავს ენერგორესურსებისა და ენერგომომსახურების ღირებულება. აღნიშნულიდან გამომდინარე, ნაშრომში ძირითადი ყურადღება საქართველოს ენერგეტიკულ სექტორში განხორციელებული სტრუქტურული ცვლილებების შედეგებს ეთმობა ენერგორესურსებისა და ენერგომომსახურების ფასების ცვლილების თვალსაზრისით.

ნაშრომი ემყარება სხვადასხვა პერიოდში სხვადასხვა ექსპერტთა მიერ ჩატარებული საქართველოს მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის კვლევის შედეგებს და ოფიციალურ სტატისტიკურ მონაცემებს. პროექტში მოცემული შეფასებების სიზუსტე პასუხობს სტატისტიკური კვლევებისადმი წაყენებულ საერთო მოთხოვნებს.

ავტორთა მიერ ნაშრომში გამოყენებულია ანალიზის დედუქციური მეთოდი, რომელიც ითვალისწინებს მოვლენების მიზეზების განსაზღვრას (შეძლებისადგავარად) მათი შედეგების საფუძველზე. ასეთი მიდგომა, ავტორთა მოსაზრებით, უზრუნველყოფს კვლევის შედეგების მაქსიმალურ ობიექტურობას არსებულ - არასაკმარისი ინფორმაციის პირობებში.

პროექტის ფარგლებში ჩატარებული კვლევის მიზანია შეძლებისადგავარად შეფასდეს ის, თუ რა გავლენა იქონია საქართველოს ენერგეტიკულ სექტორში 1996-2002 წლებში ჩატარებულმა სტრუქტურულმა ცვლილებებმა მოსახლეობის ეკონომიკურ და სოციალურ მდგომარეობაზე - იყო ეს ცვლილებები დადებითი შედეგების მომგანი მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის თვალსაზრისით თუ არა. ამ მიზნის მისაღწევად პასუხი უნდა გაეცეს ისეთ კითხვებს, როგორიცაა:

1. რამდენად ოპტიმალური და თანამიმდევრული იყო ენერგეტიკულ სექტორში ჩატარებული სტრუქტურული ცვლილებები;
2. როგორ შეიცვალა ენერგიაზე მოსახლეობის ხელმისაწვდომობა სტრუქტურული ცვლილებების განხორციელების შემდეგ;

3. როგორ შეიცვალა ტარიფები და მოთხოვნილება ელექტროენერჯიაზე, ბუნებრივ აირზე და სხვა ენერგეტიკულ რესურსებზე;
4. რამდენად გაუმჯობესდა ენერგეტიკული რესურსებით მოსახლეობის უზრუნველყოფის ტექნიკური პირობები;
5. რამდენად შეესაბამება მოსახლეობის შემოსავლები იმ გადასახადებს, რომელიც მან უნდა გაიღოს სასიცოცხლო (მინიმალური) ენერგეტიკული მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად; როგორია მოსახლეობის საოჯახო ბიუჯეტის განაწილების პრიორიტეტები (კვება, მკურნალობა, ენერგოუზრუნველყოფა, დასვენება); ხომ არ გახდა მოსახლეობა იძულებული თავი აარიდოს ენერგეტიკული მომსახურების საფასურის გადახდას;
6. როგორია მოსახლეობის ენერგოდავალიანების მდგომარეობა სტრუქტურული ცვლილებების შემდეგ;
7. როგორ შეიცვალა მოსახლეობის ენერგოუზრუნველყოფის დონე. რამდენადაა ის გარანტირებული დაიკმაყოფილოს საყოფაცხოვრებო ენერგეტიკული მოთხოვნილების მინიმუმი;
8. როგორ შეიცვალა სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები ენერგეტიკული სექტორიდან სტრუქტურული ცვლილებების განხორციელების შემდეგ და რამდენად გაუმჯობესდა/გაუარესდა მოსახლეობის სოციალური დაცვის მდგომარეობა.  
ამ და სხვა ასეთი კითხვების საპასუხოდ ავტორები შეეცადნენ თანამიმდევრულად გაეანალიზებინათ მასალა, რომელიც მიღებულ შედეგებთან ერთად მოცემულია ქვემოთ.

## I ქვეყნის მოთხოვნილება ენერგორესურსებზე (ელექტროენერჯია, ბუნებრივი აირი მამუთი, შეშა, ნავთი, თხევადი გაზი, ქვანახშირი და სხვ.)

ამ თავში ავტორები მიზნად ისახავენ გაირკვეს თუ რამდენად მგრძობიარეა საქართველოს მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური პირობები ენერგეტიკულ სექტორში განხორციელებული ცვლილებების მიმართ და რამდენად ძლიერია უკუკავშირი – მოსახლეობის ეკონომიკური მდგომარეობის გავლენა ენერგეტიკული სექტორის მდგომარეობაზე. ასეთი ტიპის კვლევა საქართველოში ჯერ არ ჩატარებულა. შესაბამისად, არ არსებობს სათანადო სტატისტიკური და სოციოლოგიური მონაცემები. ამიტომ, აღნიშნული ურთიერთგავლენის შეფასება მიმდინარე ეტაპზე შესაძლებელია მხოლოდ ხარისხობრივი თვალსაზრისით, რისთვისაც, პირველ რიგში, უნდა განისაზღვროს ქვეყნის მოთხოვნილება ენერგორესურსებზე და შეფასდეს საყოფაცხოვრებო სექტორის წილი საერთო ენერგომომარებაში.

არსებობს ენერგორესურსებზე საქართველოს მოთხოვნილების მაჩვენებელი სხვადასხვა მონაცემები, რომლებიც მიღებულია სხვადასხვა დროს, სხვადასხვა საერთაშორისო პროექტების ფარგლებში. მაგრამ, ყველა ეს მონაცემი არის მიახლოებითი, რადგანაც როგორც ადრე, ისე ახლაც, პრინციპულადაა შეუძლებელი ენერგორესურსებზე საქართველოს მოთხოვნილების ზუსტი განსაზღვრა. ეს იმიტომ, რომ, ჯერ ერთი, არ არსებობს მკაცრი ანგარიშსწორების რეჟიმი მომხმარებელსა და მომწოდებელს შორის, რის გამოც მომხმარებლების უმეტესობა ზუსტად არ აღრიცხავს მის მიერ მოხმარებული ენერგორესურსების რაოდენობას და, მეორე, საქართველოში ჯერ-კიდევ არ არსებობს დაბალანსებული ენერგობაზარი: მიწოდება არ შეესაბამება მოთხოვნას; მოხმარება არ შეესაბამება საჭიროებას და ა. შ. განსაკუთრებით რთულადაა საქმე რეგიონალურ საყოფაცხოვრებო სექტორში, რომელიც პოტენციურად წარმოადგენს ენერგორესურსების მსხვილ მომხმარებელს. აქ ენერგორესურსების მიწოდება ხდება შეზღუდვებით და აქაც პრინციპულადაა შეუძლებელი სწორად განისაზღვროს სექტორის ენერგომომთხოვნილება. ის გაიგივებულია მოხმარებასთან. შექმნილ პირობებში საკუთრივ მომხმარებელსაც კი არა აქვს ჩამოყალიბებული და სწორი შეხედულებები თავისსავე ენერგომომთხოვნილების შესახებ.

მიუხედავად აღნიშნულისა, შეიძლება მივიჩნიოთ, რომ მოთხოვნილებათა ახალი, მეგ-ნაკლებად ბუნებრივი მასშტაბების ჩამოყალიბების პერიოდი საქართველოში დაიწყო 1995-96 წლებში. ამ პერიოდისათვის ქვეყანაში მიღწეულ იყო ერთგვარი პოლიტიკური სტაბილურობა და დაიწყო ეკონომიკური განვითარების ახალი ეტაპი.


ნახ. 1.1, ა-ე)-ზე მოცემული გრაფიკები გვიჩვენებს ენერგორესურსებზე საქართველოში არსებული მოთხოვნილების ცვლილების დინამიკას ისეთი სიმუსკით, როგორმეც საუბარი იყო ზემოთ.

როგორც ნახ. 1.1 ა)-დან ჩანს, უკანასკნელ წლებში საყოფაცხოვრებო სექტორი ელექტროენერჯიის მთავარი მომხმარებელი გახდა. მისი წილი ელექტროენერჯიის მოხმარებაში გაუტოლდა მრეწველობის დარგების ჯამურ მოხმარებას. ამის მიზეზია, ერთი მხრივ, მრეწველობის მასშტაბების მკვეთრი შემცირება 90-იან წლებში, მეორე მხრივ კი ის, რომ ცენტრალიზებული თბომომარაგებისა და გამომომარაგების სისტემების მოშლის შედეგად გაიზარდა (გარკვეულწილად) ელექტროენერჯიის მოხმარება საყოფაცხოვრებო სექტორში.


ასეთ პირობებში გაიზარდა დამოკიდებულების ხარისხი ელექტროენერგეტიკულ და საყოფაცხოვრებო სექტორებს შორის – ერთის მდგომარეობა განმსაზღვრელი გახდა მეორის მდგომარეობისათვის. თუმცა, ელექტროენერგეტიკული სექტორის გავლენა საყოფაცხოვრებო სექტორზე უფრო მკვეთრია, ვიდრე უკუკავშირი. ეს ბუნებრივიცაა, რადგანაც ისეთი დაბალი განვითარების ქვეყანაში, როგორსაც ამჟამად მიეკუთვნება საქართველო, მოსახლეობის სასიცოცხლო ფუნქციებს მართავეს პრაქტიკულად ერთადერთი დარგი – ენერგეტიკა მაშინ, როცა საკუთრივ ენერგეტიკული დარგის მდგომარეობას განსაზღვრავს შემოსავლები მინიმუმ ორი

წყაროდან – საყოფაცხოვრებო სექტორიდან და მრეწველობიდან. თუმცა, შეუძლებელია გადაჭარბებულად იქნეს შეფასებული საყოფაცხოვრებო სექტორის როლი ენერგეტიკისათვის ისეთ პირობებში, როდესაც მოსახლეობის დასაქმების დონე არის ძალიან დაბალი, შემოსავლები კი უკიდურესად მცირე და არასტაბილური, რაც, ძალიან ხშირად, ნულამდე აქვეითებს მოსახლეობის გადახდისუნარიანობას.


აღნიშნული სამართლიანია არა მხოლოდ ელექტროენერგეტიკული სექტორისათვის, არამედ ენერგეტიკული დარგისათვის მთლიანად.



ნახ. 1.1, ა) ელექტროენერჯის მოხმარება საქართველოში მეურნეობის ცალკეული დარგებისა და სექტორების მიხედვით (აღნიშვნები უნდა წავიკითხოთ ზევიდან-ქვევით)




ნახ. 1.1, ბ) ბუნებრივი აირის მოხმარება საქართველოში




ნახ. 1.1, გ) ნავთობის მოპოვება საქართველოში





ნახ. 1.1, დ) თხევადი აირის მოხმარება საქართველოში



ნახ. 1.1, ე) ქვანახშირის მოპოვება/მოხმარება საქართველოში

## II ელექტროენერგეტიკული ბალანსი

არის თუ არა შესაძლებელი “მოთხოვნილება” ელექტროენერჯიაზე საქართველოში დაკმაყოფილებულ იქნეს საქართველოშივე წარმოებული ელექტროენერჯით, რაც, სხვა თუ არაფერი, გამრდიდა ქვეყნის ენერგეტიკული დამოუკიდებლობის ხარისხს. ეს არის მთავარი საკითხი, რომელიც ქვემოთ იქნება განხილული.

საბჭოთა კავშირის არსებობის პერიოდში საქართველოს ენერგოსისტემა სომხეთისა და აზერბაიჯანის ენერგოსისტემებთან ერთად წარმოადგენდა ამიერკავკასიის ერთიანი ენერგოსისტემის ნაწილს. ამიერკავკასიის ენერგოსისტემა დაკავშირებული იყო რუსეთის სამხრეთ-რეგიონის ენერგოსისტემასთან. ასეთი კავშირების არსებობა აადვილებდა ამიერკავკასიის რესპუბლიკებისა და რუსეთის სამხრეთ-რეგიონების ენერგომრუნველყოფის შესაძლებლობებს პიკური სიმძლავრეების გამიზნული მიმოცვლის ხარჯზე. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ დაიწყო კავშირები ენერგოსისტემებს შორის, რის შედეგადაც ყოფილი რესპუბლიკები აღმოჩნდნენ არსებითად დამოკიდებული ელექტროენერჯიის საკუთარ შესაძლებლობებზე.

საქართველოს ელექტროენერჯიის სტრუქტურა აერთიანებს ჰიდრო- და თბოელექტროსადგურებს. სისტემის ჯამური დადგმული სიმძლავრეა ~4700 მგვტ. აქედან ჰიდროელექტროსადგურების ~2700 მგვტ, ხოლო თბოელექტროსადგურების ~2000 მგვტ.

დანადგარების ტექნიკური მდგომარეობის გაუარესებისა და მართვაში არსებული პრობლემების გამო უკანასკნელი 12 წლის განმავლობაში პრაქტიკულად შეუძლებელი გახდა ელექტროსადგურების დადგმული სიმძლავრეების მიღწევა. ამჟამად (იანვარი, 2003 წ.) საექსპლუატაციო სიმძლავრეები მნიშვნელოვნადაა შემცირებული და შეადგენს ~1700 მგვტ-ს (ეს და ცხრილ-2.1-ში მოცემული სიდიდეები შესაძლებელია შეიცვალოს მიმდინარე პერიოდის ნებისმიერ მომენტში). ქვემოთ მოყვანილია თბოელექტროსადგურების და მსხვილი ჰიდროელექტროსადგურების დადგმული და ამჟამად მზადყოფნაში მყოფი საექსპლუატაციო სიმძლავრეების ცხრილი (ცხრილი 2.1)

ცხრილი 2.1


| მსხვილი ჰიდროელექტროსადგურები |                    |                    | თბოელექტროსადგურები           |                    |                    |
|-------------------------------|--------------------|--------------------|-------------------------------|--------------------|--------------------|
| დადგმული სიმძლავრე მგვტ       | მზა სიმძლავრე მგვტ | მზა სიმძლავრე მგვტ | დადგმული სიმძლავრე მგვტ       | მზა სიმძლავრე მგვტ | მზა სიმძლავრე მგვტ |
| ენგური                        | 1300               | 800                | თბილსრესი (გარდაბანი)         | 1250               | 0                  |
| ვარდნილი I                    | 220                | 110                | AES-მტკვარი (გარდაბანი)       | 600                | 250 *)             |
| ქინვალი                       | 130                | 70                 | თბილთეცი (თბილისი)            | 18                 | 5.5                |
|                               |                    |                    | 70(თბ)                        |                    | 14 (თბ)            |
| ხრამი I                       | 113                | 113                | მეგალ. ქარხნის თეცი (რუსთავი) | 149                | 0                  |
|                               |                    |                    | 590(თბ)                       |                    | 0 (თბ)             |
| ლაჯანური                      | 112                | 30                 | ტყვარჩელის სრესი (ტყვარჩელი)  | 200                | 0                  |
| ხრამი II                      | 110                | 35                 | საავგ. ქარხნის თეცი (ქუთაისი) | 15                 | 0                  |
| ტყიბული                       | 80                 | 50                 |                               |                    |                    |
| რიონი                         | 49                 | 35                 |                               |                    |                    |
| ვარციხე I-IV                  | 184                | 145                |                               |                    |                    |
| გუმათი I                      | 44                 | 27                 |                               |                    |                    |
| შაორი                         | 38                 | 27                 |                               |                    |                    |
| ვარდნილი II                   | 40                 | 0                  |                               |                    |                    |
| ვარდნილი III                  | 40                 | 0                  |                               |                    |                    |
| ვარდნილი IV                   | 40                 | 0                  |                               |                    |                    |
| ზაჰესი                        | 44                 | 44                 |                               |                    |                    |
| გუმათი II                     | 23                 | 23                 |                               |                    |                    |

\*) AES-მტკვარში 2001 წლის 22 დეკემბერს მომხდარი ავარიის შემდეგ მისი საექსპლუატაციო სიმძლავრე შემცირდა 300 მგვტ-მდე, საიდანაც ამჟამად მზადყოფნაშია ~250 მგვტ.


არსებობს ოფიციალური ვერსია, რომლის თანახმადაც საქართველოში არსებული გენერაციის ობიექტების, ასევე გადაცემისა და განაწილების სისტემების ტექნიკური მდგომარეობა არ იძლევა ელექტროენერგიაზე გამთრის “მოთხოვნილების” დაკმაყოფილებლის შესაძლებლობას მიუხედავად იმისა, რომ ბოლო წლებში “მოთხოვნილება” ელექტროენერგიაზე მკვეთრად არის შემცირებული (14 მლრდ. კვტ\*სთ-დან 6-8 მლრდ. კვტ\*სთ-მდე წელიწადში). ძნელია მხოლოდ აღნიშნული მიიჩნიო გამთრის პერიოდის ენერგომომარაგების ყოველწლიური პრობლემების მიზეზად. როგორც ამას გვიჩვენებს ელექტროგენერაციის სემონური გრაფიკები საქართველოში (ნახ. 2.1), პრობლემის მთავარ მიზეზს მაღალი ალბათობით წარმოადგენს ის, რომ წლიდან წლამდე მკვეთრად მცირდება თბოელექტროსადგურების (თეს) წილი და დიდდება ჰიდროელექტროსადგურების (ჰეს) წილი საბაზისო ელექტროენერგის გამომუშავებაში (იხ. ნახ. 2.1, ა, ბ). ასეთ პირობებში (ნახ. 2.1, ბ) შეუძლებელი ხდება მარეგულირებელი ჰეს-ების სიმძლავრეების დარეგულირება გამთრის პიკების დაფარვისათვის და საჭირო ხდება ძვირადღირებული ელექტროენერგის იმპორტირება მეზობელი ქვეყნებიდან. ეს კი უფრო არარაციონალური მართვის პრობლემაა, ვიდრე დანადგარების გაუარესებული ტექნიკური მდგომარეობის. სადათა საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის (სემეკ) ანალიზის შედეგი, რომლის თანახმადაც ადგილობრივი ელექტროგენერაციის ოპტიმალურ ვარიანტს წარმოადგენს გენარაციის განაწილება ჰეს-ებსა და თეს-ებს შორის პროპორციით –

85%/15% [1]. სემეკის არგუმენტაციით, თუ თეს-ების წილი ყოველწლიურ გამომუშავებაში მეტია 15%-ზე, მაშინ ვერ იფარება ამ სადგურების საექსპლუატაციო დანახარჯები, ხოლო თუ თეს-ების წილი ნაკლებია 15%-ზე, მაშინ ვერ ხერხდება მარეგულირებელი ჰეს-ების იმდენი სიმძლავრის დარეგულირება, რამდენიც იმპორტირებულ ელექტროენერგიასთან ერთად მოგვცემდა ელექტროენერგიაზე გამთრის “მოთხოვნილების” დაკმაყოფილების შესაძლებლობას. სავარაუდოა, რომ ასეთი მიდგომით იგეგმებოდა ელექტროგენერაციის სეზონური გრაფიკები 1999 და 2002 წლებისათვის (ნახ. 2.1, გ, დ), რისი რეალიზაციაც ვერ მოხერხდა გამთრისათვის გენერაციის ობიექტების არასათანადო მომზადების გამო. გადაჭარბებულად ოპტიმისტური აღმოჩნდა ვარაუდი იმის შესახებ, რომ ჰიდროგენერაციასთან ერთად მხოლოდ “ეიეს-მტკვარში” გამომუშავებული ელექტროენერგია შექმნიდა ქვეყნის სტაბილური ელექტრომომარაგების გარანტიას.


გასული წლების არაერთმა, ასევე, მიმდინარე წლის მამთარმა აჩვენა, რომ ქვეყნის ელექტროენერგიით საიმედო მომარაგებისათვის არ არის საკმარისი გენერაციის ადგილობრივი ობიექტების იმ რაოდენობით მობილიზაცია, რა რაოდენობითაც ეს აქამდე ხდებოდა. აუცილებელია თბილსრესის ენერგობლოკების მომზადება და რაციონალური მასშტაბით გამოყენება დაგვირთვის ბაზისურ ნაწილში. ავტორთა აზრით საქართველოს საიმედო ელექტრომომარაგების სხვა ალტერნატივა უახლოეს პერიოდში არ არსებობს.




ა) 1990 წელი



ბ) 1997 წელი



გ) 1998 წელი



დ) 2002 წელი

ნახ. 2.1 ელექტროგენერაციის სეზონური გრაფიკი საქართველოში

[1] საქართველოს ენერგეტიკის რეგულირების ეროვნული კომისია. ენერგეტიკის რეგულირების საფუძვლები. წიგნი I. გვ. 53

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ არსებობს პოტენციური შესაძლებლობა დაკმაყოფილებულ იქნეს საქართველოში არსებული “ელექტრომოტოხონილება” საქართველოშივე წარმოებული ელექტროენერჯით. ამისათვის არ არის საჭირო განსაკუთრებული ძალისხმევა. საკმარისია ისიც, რომ მუშა მდგომარეობაში იქნეს მოყვანილი თბილსრესის ორი 130-140 მგვ სიმძლავრის ენერგობლოკი, რისთვისაც, როგორც ეს აჩვენა გასულ წელს ჩატარებულმა შესწავლამ [2], საკმარისია დაახლოებით 2 მლნ აშშ დოლარის ღირებულების სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარება.

### **III სტრუქტურული ცვლილებები საქართველოს ენერგეტიკულ სექტორში (ინსტიტუციური და საკანონმდებლო ცვლილებები, პრივატიზაცია)**

სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენამდე საქართველოს ენერგეტიკული სისტემა წარმოადგენდა საბჭოთა კავშირის ერთიანი ენერგეტიკული სისტემის შემადგენელ ნაწილს. მისი მართვა ხორციელდებოდა უშუალოდ სახელმწიფოს მიერ სოციალისტური დაგეგმვის პრინციპით. ეს ძირეულად განსხვავდებოდა მართვის საბაზრო პრინციპებისაგან და ითვალისწინებდა ენერგეტიკული საწარმოების მიმდინარე დანახარჯებისა და მათი განვითარებისათვის საჭირო კაპიტალდაბანდებების დაფარვას სახელმწიფო ბიუჯეტიდან. ამდენად, ენერგეტიკული სისტემა იყო დოგაციური და მისი მდგომარეობა არ იყო დამოკიდებული სისტემის შემადგენელი ობიექტების მუშაობის ეფექტიანობაზე.

საქართველოს ენერგეტიკული სისტემა შედგებოდა რამოდენიმე სტრუქტურული ელემენტისაგან: “საქენერგო”, “საქგაზი”, “საქნავთობი”, “საქნავთობპროდუქტი”, “საქნახშირი”, თბომეურნეობის მუნიციპალური სამმართველოები.

საკუთრივ “საქენერგოს” სტრუქტურაში შედიოდა ელექტროენერჯის გენერაციის, გადაცემის, დისპეტჩერიზაციის, დისტრიბუციის ობიექტები და დაქვემდებარებული საწარმოები. ის პასუხისმგებელი იყო ფინანსურ ანგარიშსწორებაზე; ენერგომომცველებზე გარიფებს არეგულირებდა ეკონომიკის სამინისტრო.

ანალოგიური პრინციპით იყო მოწყობილი “საქნავთობის”, “საქნახშირისა” და “საქგაზის” სტრუქტურები. ყველა ეს ორგანიზაციები შედიოდნენ მინისტრთა კაბინეტის დაქვემდებარებაში. სექტორის მოწყობის სქემა იყო ვერტიკალური.

საბჭოთა კავშირის დაშლისა და საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლის პირველსავე ეტაპზე გამოჩნდა, რომ ენერგოსისტემის მუშაობისა და მართვის არსებული პრინციპები ვერ უზრუნველყოფდნენ დარგის ფუნქციონირებას: გაძლიერდა კორუფცია; მოიშალა მართვა; გაიზარდა არგადამხდელი მომხმარებლების რაოდენობა; პრაქტიკულად შეწყდა შემოსავლების ნაკადი; გაუარესდა მოწყობილობა-დანადგარების ტექნიკური მდგომარეობა; გაიფლანგა შეკეთების სამუშაოებისათვის გამოყოფილი თანხები და ა.შ. პრაქტიკულად დარგი აღმოჩნდა სრული პარალიზების საფრთხის წინაშე.

1992 წელს მინისტრთა კაბინეტის დადგენილების საფუძველზე<sup>[3]</sup> შეიქმნა სათბობ-ენერგეტიკის სამინისტრო, რომელშიც შევიდა “საქნავთობი”, “საქენერგო”, “საქგაზი”, “საქნახშირი” მათივე დაქვემდებარებული უწყებებითა და საწარმოებით.

1993 წლიდან საქართველოში მუშაობა დაიწყო საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებმა<sup>[4]</sup>. სამუშაოების მიზანი იყო ენერგეტიკაში არსებული მდგომარეობის შესწავლა, დარგის საწარმოების თანამიმდევრული განსახელმწიფოებრივებისათვის საკანონმდებლო ბაზის შემუშავება და საქართველოს მთავრობისათვის კონკრეტული რეკომენდაციების მომზადება ენერგეტიკის სექტორში აუცილებელი სტრუქტურული ცვლილებების განხორციელებისათვის.

[2] თბილსრესის №3, №4 და №8 ენერგობლოკების შეკეთების სამუშაოების მოცულობა და განრიგი / შპს ჯეონინჟინინგი, ანგარიში შესრულებული პროექტის შესახებ, თბილისი, 2002 წ.

[3] მინისტრთა კაბინეტის 14/12/92 № 1105 და 10/02/93 № 78 დადგენილებები

[4] მსოფლიო ბანკის ჯგუფი, საერთაშორისო სავალუტო ფონდი, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი.

1994 წელს გაუქმდა სათბობ-ენერგეტიკის სამინისტრო და კომპლექსში შემაჯავლი ქვედარგები გარდაიქმნენ დამოუკიდებელ დეპარტამენტებად, რომლებიც დაექვემდებარენ სახელმწიფო აპარატში შექმნილ სპეციალურ ორგანოს – ენერგეტიკის საკოორდინაციო სამსახურს. ამ პერიოდში გაუქმდა თბომეურნეობის მუნიციპალური სამმართველოები.

1995 წელს გაუქმდა ენერგეტიკის საკოორდინაციო სამსახური და ენერგეტიკული საწარმოები დაექვემდებარენ ახლად ჩამოყალიბებულ სათბობ-ენერგეტიკულ კორპორაციას.

1996 წელს, საქართველოს კანონის<sup>[5]</sup> საფუძველზე, შეიქმნა სათბობ ენერგეტიკის სამინისტრო იგივე დაქვემდებარებული უწყებებით, რომელთაც დაემატა “საქნავთობპროდუქტი”. სამინისტროს დაეკისრა<sup>[6]</sup>:

- ქვეყანაში ენერგეტიკული პოლიტიკის წარმართვა;
- დარგის განვითარების სტრატეგიისა და პრიორიტეტების განსაზღვრა;
- ენერგეტიკულ სექტორში საინვესტიციო პოლიტიკისა და ეკონომიკურ დარგებში ენერგოეფექტიანობის ამაღლების სტრატეგიის განსაზღვრა;
- დარგში რეფორმების რაციონალურად წარმართვისა და საკადრო პოლიტიკის უზრუნველყოფა;
- საკანონმდებლო და ნორმატიული ბაზის განვითარება;
- ტექნიკური და ფინანსური მდგომარეობის მონიტორინგი;
- საგანგებო ენერგეტიკულ სიტუაციებში სახელმწიფო პოლიტიკის განსაზღვრა.

**ენერგეტიკის სექტორის შემდგომი სტრუქტურული რეორგანიზაციის ძირითად მიზნებს წარმოადგენდა** <sup>[7]</sup>:

1. რაციონალური სახელმწიფო პოლიტიკის გატარება, რეგულირების ფუნქციებისა და კომერციული საქმიანობის გამიჯვნა;
2. სახელმწიფო მონოპოლიის ეგაპობრივი ლიკვიდაცია; საკუთრების მრავალფეროვნების დამკვიდრება; კონკურენტული გარემოს შექმნა, გამჭვირვალე ბაზრის ჩამოყალიბება; უცხოური ინვესტიციების მოზიდვა;
3. ელექტროენერჯის მიწოდების გაუმჯობესება; ელექტროენერგეტიკის სექტორში დეფიციტის შემცირება;
4. ელექტროენერგეტიკის სექტორში წარმოების გაზრდა; მისი ეფექტურობის ამაღლება; საფინანსო დისციპლინის დაცვა; ელექტროენერჯის მომხმარებლისათვის მომსახურების გაუმჯობესება;
5. ელექტროენერჯის მუდმივი მიწოდების უზრუნველყოფა; კომპანიების მოგების ზრდა; ენერგეტიკული სისტემის ტექნიკური მდგომარეობისა და მართვის გაუმჯობესება.

1996 წელს, საქართველოს პრეზიდენტის 4 ივლისის №437 ბრძანებულებით “ელექტროენერგეტიკული სექტორის რესტრუქტურის შესახებ”:

- დეპარტამენტ “საქენერგო“-ს ბაზაზე ჩამოყალიბდა გენერაციის, გადაცემა-დისპეტჩერიზაციისა და განაწილების ფინანსურად დამოუკიდებელი სამი სექტორი<sup>[6]</sup>;
- გენერაციის ქვესექტორში დაფუძნდა სააქციო საზოგადოებები, რომელთა აქციები მთლიანად სახელმწიფო საკუთრებაშია და მართვის უფლებით გადაცემული აქვს სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროს. ისინი გაერთიანებულნი არიან სააქციო საზოგადოება “საქენერგოგენერაციაში” ელექტროენერჯის წარმოების ფუნქციით;
- გადაცემა-დისპეტჩერიზაციის სტრუქტურა დასაწყისში გარდაიქმნა ერთიან კომერციულ და ფინანსურად დამოუკიდებელ სახაზინო საწარმოდ “საქენერგოდ”, რომელიც მოგვიანებით გარდაიქმნა შემლუღული პასუხისმგებლობის საზოგადოებად “საქართველოს სახელმწიფო

[5] 26/06/96 საქართველოს კანონი “საქართველოს სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროს შექმნის შესახებ”

[6] დ. ჩომახიძე. საქართველოს ენერგეტიკული პოტენციალის გამოყენების ეკონომიკურ-ეკოლოგიური პრობლემები. თბილისი, 2001 წ. 276 გვ.

[7] საქართველოს ენერგეტიკის რეგულირების ეროვნული კომისია. ენერგეტიკის რეგულირების საფუძვლები. წიგნი I. გვ. 49

ელექტროსისგემა”, ხოლო ბოლოს დაიშალა სააქციო საზოგადოება “ელექტროგადაცემად” (მაღალი ძაბვის ქსელებით ელექტროენერჯის გადაცემის ფუნქციით) და შპს “ელექტროდისპეტჩერიზაცია” (დისპეტჩერიზაციის ფუნქციით). ამჟამად მიმდინარეობს სს “ელექტროგადაცემისა” და შპს “ელექტროდისპეტჩერიზაციის” კვლავ შერწყმის პროცესი, რათა ერთიანი საწარმოს მიერ უზრუნველყოფილ იქნეს ენერგოსისტემის მართვა, მუშაობის სტაბილური რეჟიმები, მაღალი ძაბვის (35, 110, 220, 300, 500 კვ) ელექტროგადამცემი ხაზებისა და შესაბამისი ქვესადგურების ერთიანი ქსელის ეფექტური გამოყენება;

- დისტრიბუციის სისგემა მთლიანად გამოეყო “საქენერგოს”, საწყის ეტაპზე დანაწილდა სააქციო საზოგადოებებად გერიგორიული პრინციპით და შევიდა ადგილობრივი მმართველობის ორგანოების დაქვემდებარებაში, მოგვიანებით კი გაერთიანდა სამხარეო ენერგოკომპანიების სახით;

- ეკონომიკის სამინისტროსთან ჩამოყალიბდა ელექტროენერჯეტიკის მარეგულირებელი კომისია, რომელსაც საწყის ეტაპზე დაევალა ელექტროენერჯის საბითუმო და საცალო გარიფების რეგულირება.

1997 წლის ივნისში საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი “ელექტროენერჯეტიკის შესახებ”, რომლის საფუძველზეც ელექტროენერჯეტიკის მარეგულირებელი კომისია გამოეყო ეკონომიკის სამინისტროს და ჩამოყალიბდა დამოუკიდებელ სამსახურად – საქართველოს ელექტროენერჯეტიკის მარეგულირებელ ეროვნულ კომისიად.

1999 წლის აპრილში პარლამენტმა მიიღო კანონი “ელექტროენერჯეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ”. ამ კანონის საფუძველზე შეიქმნა საქართველოს ენერჯეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისია (სემეკ), როგორც საჯარო სამართლის იურიდიული პირი. ასეთი კომისიის შექმნა ემყარებოდა ზოგად მოტივაციებს, რომელთა თანახმად<sup>[6]</sup> დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანოს შექმნით:

- ძლიერდება რეგულირების პროცესი, საზოგადოება ხდება მაქსიმალურად პრივილეგირებული, წესდება მინიმალური გადასახადები ენერჯეტიკული დარგის – როგორც ბუნებრივი მონოპოლიის არსებობის პირობებში და იზრდება სამართლიანობის რწმენა საზოგადოებაში;
- იზრდება დადებითი გავლენა ენერჯეტიკის განვითარების ტემპებსა და მასშტაბებზე, ქვეყნის ენერგოუზრუნველყოფის ღონებზე, დარგში მიმდინარე მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესზე და ა.შ.;
- მცირდება რისკი ინვესტორებისათვის, სტიმულირდება სექტორში კერძო ინვესტიციების განხორციელება, იზრდება ინვესტიციების სიდიდე, მიიღწევა საინვესტიციო კაპიტალის დაბალი გადასახადები და, აქედან გამომდინარე, მომხმარებლისათვის დაბალი ფასები;
- მაღლდება ელექტროენერჯით და ბუნებრივი გაზით სარგებლობის საფასურის გადახდის შესაძლებლობა, საფუძველი ეყრება დარგის თვითდაფინანსებას;
- უმჯობესდება ელექტროენერჯის ხარისხი და იზრდება მისი რაოდენობა.

ენერჯეტიკის მარეგულირებელი კომისიის ფუნქციები გაფართოებული იყო ელექტროენერჯეტიკის მარეგულირებელი კომისიის ფუნქციებთან შედარებით და მდგომარეობდა შემდეგში:

- ელექტროენერჯის (სიმძლავრის) და ბუნებრივი გაზის საბითუმო და საცალო გარიფების დადგენა და რეგულირება;
- ექსპლუატაციაში შესულ ელექტროენერჯეტიკულ ობიექტებზე და ბუნებრივი გაზის სექტორში ლიცენზირების გადაცემა, განახლება, შეჩერება და გაუქმება;
- ელექტროენერჯეტიკისა და ბუნებრივი გაზის სექტორთან დაკავშირებული სადავო საკითხების განხილვა და გადაწყვეტა;
- კონკურენციის ხელშეწყობა ელექტროენერჯეტიკულ და ბუნებრივი გაზის სექტორში, ენერჯის მწარმოებელთა, მიმწოდებელთა და მომხმარებელთა ინტერესების დაბალანსება;
- ელექტროენერჯის საბითუმო ბაზრის საქმიანობის ზედამხედველობა;
- ენერჯეტიკულ სექტორში სერტიფიკაციის სამუშაოთა ორგანიზება და კოორდინაცია;
- ელექტროენერჯის იმპორტისა და ექსპორტის რეგულირება;

▪ ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის სექტორში ლიცენზირების პირობების დაცვის კონკრული და დარღვევისათვის კანონით გათვალისწინებული ღონისძიებების გაგარება.

1999 წლის ივლისში შეიქმნა ელექტროენერჯის საბითუმო ბაზარი (კერძო სამართლის იურიდიული პირი), რომლის მთავარი ფუნქციაა ელექტროენერჯის საბითუმო ყიდვა-გაყიდვის ურთიერთობათა მართვა და კონკურენციის ეტაპობრივი განვითარება.

საქართველოს ელექტროენერგეტიკული სექტორის აღმასრულებელ-ორგანიზაციული სტრუქტურა და კავშირები რესტრუქტურირების შემდეგ ნაჩვენებია ნახ. 3.1-ზე.

ამავე პერიოდში ორგანიზაციული ცვლილებები განიცადა სატობის მრეწველობამაც. დეპარტამენტ “საქგაზისა” და სააქციო საზოგადოება “გრანსგაზის” ბაზაზე შეიქმნა სახაზინო საწარმო “საქტრანსგაზმრეწვი”. მოგვიანებით შეიქმნა სააქციო საზოგადოება “საქართველოს საერთაშორისო გაზის კორპორაცია”, რომელსაც გადაეცა “საქტრანსგაზმრეწვის” ბალანსზე რიცხული მაგისტრალური გამსაღებები (ამას მოჰყვა სასამართლო სარჩელი “საქტრანსგაზმრეწვის” მხრიდან. დავა ორ უწყებას შორის ამჟამად მიმდინარეობს). რეორგანიზებულ იყო ასევე დეპარტამენტები “საქნავთობი” და “საქნახშირი”.

საქართველოს ენერგეტიკის სექტორში პრივატიზაციის პროცესი დაიწყო 1992 წელს.

1992 წლის 11 აგვისტოს საქართველოს მინისტრთა კაბინეტის №829 დადგენილებით საპრივატიზაციო ენერგობიექტების ნუსხაში შეტანილ იქნა 10 მგვგ-მდე სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურები.

1993 წლის 17 დეკემბერს №809 დადგენილებით საპრივატიზაციო ენერგობიექტების ნუსხას დაემატა 30 მგვგ-მდე სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურების ჩამონათვალი.

1994 წლის 31 დეკემბერს №916 დადგენილებით საპრივატიზაციო ჰეს-ებზე მოიხსნა სიმძლავრის შეზღუდვა.

1995 წლის 1 ივლისის მდგომარეობით პრივატიზებული იყო 14 მცირე ჰესი, რომელთა ჯამური სიმძლავრე იყო ენერგოსისტემის მთლიანი სიმძლავრის 2%, გამოთქმულია 1.85%, ხოლო ძირიადი საწარმოო ფონდების ღირებულება 1%.

პრივატიზაციის დროს გამოყენებული იყო განსახელმწიფოებრივების შემდეგი ფორმები: საკონკურსო გაყიდვა, აუქციონი, სააქციო საზოგადოებების ჩამოყალიბება და პირდაპირი მიყიდვა.

საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების რეკომენდაციების საფუძველზე<sup>[8]</sup> და მათი ფინანსური მხარდაჭერით, საქართველოს პარლამენტმა 1997-1999 წლებში შეიმუშავა საკანონმდებლო ბაზა, რომელსაც უნდა უზრუნველყო გემოთ ჩამოთვლილი მიზნების მიღწევა და ენერგეტიკის სექტორის ფართომასშაბიანი პრივატიზაცია. აღნიშნული საკანონმდებლო ბაზა მოიცავდა:


- 1997 წლის კანონს "სახელმწიფო ქონების პრივატიზაციის შესახებ", რომლის თანახმადაც სახელმწიფო ქონების განკარგვის უფლება მთლიანად გადაეცა ქონების მართვის სამინისტროს და შემოიღო პრივატიზაციისა და განსახელმწიფოებრივობის ახალი ფორმები;
- 1997 წლის კანონს "ელექტროენერგეტიკის შესახებ", რომელშიც მოგვიანებით შევიდა ცვლილებები<sup>[9]</sup> და კანონს საბოლოოდ დაერქვა "ელექტროენერგეტიკის და ბუნებრივი გაზის შესახებ";
- 1998 წლის ცვლილებებს "სახელმწიფო ქონების პრივატიზაციის შესახებ" კანონში, რომელმაც შექმნა იურიდიული საფუძველი გამანაწილებელი კომპანიების პრივატიზაციისათვის;
- 1999 წლის კანონს "ნავთობისა და გაზის შესახებ", რომლის მიხედვითაც შეიქმნა ნავთობისა და გაზის რესურსების მარეგულირებელი სახელმწიფო სააგენტო (საჯარო სამართლის იურიდიული პირი), რომელიც აწარმოებს საქართველოში ნავთობისა და გაზის რესურსებთან და ოპერაციებთან დაკავშირებული საქმიანობის ლიცენზირებას. ასევე განისაზღვრა საქართველოს ნავთობის ეროვნული კომპანიის ("საქნავთობი", სააქციო საზოგადოება) ფუნქციები.

[8] WB, Report No. 17152GE, December 16, 1997

[9] საქართველოს 10/17/97 №984, 04/30/99 №1934 კანონებით

გარდა აღნიშნულისა, საქართველოს პრეზიდენტმა 1997 და 1998 წლებში გამოსცა ბრძანებულებები “საქართველოს ენერჯისისგემის კომპანიების პრივატიზების სტრატეგიის შესახებ” და “საქართველოს ეროვნული მეურნეობის ცალკეულ დარგში პრივატიზების განხორციელების ერთიანი გეგმის შესახებ”, რომლებმაც განსაზღვრა ელექტროენერჯეტიკის სექტორის იმ საწარმოთა ნუსხა, რომლებიც დაექვემდებარებოდა პრივატიზაციას.

ნახ. 3.1 საქართველოს ელექტროენერჯეტიკული სექტორის აღმასრულებელ-ორგანიზაციული სტრუქტურა და კავშირები რესტრუქტურის შემდეგ



ამგვარად 1999 წლის ბოლოსათვის საქართველოს ენერჯეტიკის სექტორში შეიქმნა შემდეგი ინსტიტუტები:

- სათბობ-ენერჯეტიკის სამინისტრო, რომელიც პასუხისმგებელია ქვეყნის ენერჯეტიკული პოლიტიკის განსაზღვრაზე და შემუშავებაზე, ასევე ახორციელებს ელექტროენერჯიის წარმოების ობიექტების განთავსების ლიცენზირებას;
- საქართველოს ენერჯეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისია, დამოუკიდებელი უწყება, საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელსაც დეკისრა ელექტროენერჯიასა და ბუნებრივ



გამზე გარიფების რეგულირება გენერაციის, გადაცემის, დისპეჩერიზაციის, განაწილების, იმპორტ-ექსპორტის ლიცენზიანტებისთვის;

- საქართველოს ელექტროენერჯის საბითუმო ბაზარი, კერძო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც არეგულირებს ელექტროენერჯეტიკის სექტორში სავაჭრო ურთიერთობებს;
- ნავთობისა და გაზის რესურსების მარეგულირებელი სახელმწიფო სააგენტო (საჯარო სამართლის იურიდიული პირი), რომელიც აწარმოებს საქართველოში ნავთობისა და გაზის რესურსებთან და ოპერაციებთან დაკავშირებული საქმიანობის ლიცენზირებას;
- საქართველოს ნავთობის ეროვნული კომპანია (სააქციო საზოგადოება), რომლის ძირითადი ფუნქციაა საქართველოში მოპოვებული ნავთობისა და გაზის სახელმწიფოს კუთვნილი წილის განკარგვა;
- საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაცია (სააქციო საზოგადოება), პასუხისმგებელია კასპიის ზღის რეგიონიდან ნავთობისა და გაზის გრანსპორტირებაზე;
- საქართველოს ბუნებრივი გაზის გრანსპორტირების საერთაშორისო კორპორაცია (სააქციო საზოგადოება), რომელიც პასუხისმგებელია მაგისტრალურ გამსადენებზე და გაზის გრანსპორტირებაზე (კასპიის ზღვის რეგიონის გამოკლებით);

გარდა აღნიშნულისა ენერჯეტიკის სექტორში შეიქმნა მთელი რიგი შემზღვეული პასუხისმგებლობის საწარმოები და სააქციო საზოგადოებები (არანაკლებ 51% სახელმწიფო წილისა) ელექტროენერჯის გენერაციის, გადაცემა, დისტრიბუციის, ბუნებრივი გაზის მოპოვების, გრანსპორტირების, ნავთობის მოპოვების, გრანსპორტირების პროფილის, რომლებიც ექვემდებარებიან პრივატიზაციას;

1998 წელს, პრეზიდენტის 5 ივლისის №403 ბრძანებულებით, დამტკიცდა საქართველოს ენერჯის სექტორის კომპანიების პრივატიზაციის სტრატეგია და დაიწყო მსხვილმაშტაბიანი პრივატიზაცია ენერჯეტიკის სექტორში.

1998 წლის ბოლოს ჩატარდა საერთაშორისო გენდერი “თელასის” პრივატიზაციისათვის. გენდერის შედეგად კომპანია "AES"-მა შეიძინა ქ. თბილისის სადისტრიბუციო კომპანია "თელასის" აქციათა 75%. ამასთან, მიიღო 4 წლის განმავლობაში გარიფების ეგაპობრივი გამზრდისა და გრძელვადიანი პერიოდით (10 წელი) მისი დამტკიცების უფლება.

1999 წელს ადგილობრივმა ინვესტორებმა შეისყიდეს კახეთის გამანაწილებელი ქსელი.

2000 წელს კომპანია "AES"-მა შეისყიდა თბილისრესის №9 და №10 ენერგობლოკების აქციათა 80% პირდაპირი მიყიდვის გზით. ნასყიდობის ხელშეკრულებას ხელი მოეწერა ამავე წლის აპრილში. ინვესტორმა გადაიხადა 5 მლნ. აშშ დოლარი; აიღო ვალდებულება დაფაროს ამ ენერგობლოკების რეაბილიტაციისათვის გახარჯული კრედიტები, რომელიც ჯამურად დარიცხული პროცენტის ჩათვლით შეადგენს 135 მლნ. აშშ დოლარს; ივალდებულა ენერგობლოკების რეაბილიტაციის მიზნით 6 წლის განმავლობაში განახორციელოს 28.7 მლნ. აშშ დოლარის ღირებულების ინვესტიცია (2000 წლისათვის მან უკვე განახორციელა 11.2 მლნ. აშშ დოლარის ინვესტირება). ამავე პერიოდში "AES"-მა შეიძინა ჰიდროელექტროსადგურების "ხრამი-1"-ის და "ხრამი-2"-ის აქციათა 100% 25 წლით მართვის უფლებით. ამისათვის მან გადაიხადა შესაბამისად 2.5 და 3.5 მლნ. აშშ დოლარი; ივალდებულა გადაიხადოს ორივე ჰეს-ის ვალეები – 1.5 მლნ. აშშ დოლარი და 10 წლის განმავლობაში განახორციელოს შესაბამისად 9.65 და 18.2 დოლარის ინვესტიციები.

ამავე წელს სააქციო საზოგადოება “თეცი“-ს აქციების 90% პირდაპირი მიყიდვის გზით შეიძინა სააქციო საზოგადოებამ “საქგამმა”, რომლის აქციებიც უკვე ეკუთვნოდა რუსულ კომპანიას “იგერას”. აღნიშნული კომპანია უზრუნველყოფს საქართველოსთვის ბუნებრივი აირის მიწოდებას რუსეთიდან.

2001 წლიდან გამომავლია “საქართველოს ელექტროენერჯის საბითუმო ბაზრის”, სს “ელექტროგადაცემისა” და შპს “ელექტროდისპეჩერიზაცია – 2000“-ის გადაცემა უცხოური კომპანიებისათვის სამართავად 5 წლის ვადით<sup>[10]</sup>, მსოფლიო ბანკის რეკომენდაციების<sup>[11]</sup> შესაბამისად.

[10] საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება, 28/06/2001, №254

2001 წლის 1 ივნისის მდგომარეობით საქართველოში სულ პრივატიზებული იყო 35 დიდი და მცირე ელექტროსადგური. ბუნებრივი გაზის სექტორში დაფუძნებულია 48 სააქციო საზოგადოება. მთლიანადაა გაყიდული “თელავგაზისა” და “გყიბულგაზის” აქციათა პაკეტები. გაყიდულია “კასპიგაზის”, “ბოლნისგაზის”, “გორიგაზის”, “თეთრიწყაროგაზის”, “ქუთაისიგაზის”, “რუსთავიგაზის” საკონკრეტო პაკეტები. საპრივატიზაციოდ დარჩენილია 38 სააქციო საზოგადოების საკონკრეტო პაკეტები.

ამჟამად მიმდინარე პროცესებიდან მნიშვნელოვანია სადისტრიბუციო კომპანიების გამსხვილება და ის გარემოება, რომ პრივატიზაციის პროცესშია საქართველოში არსებული გენერაციის ყველა ობიექტი (გარდა ენგურჰესისა), ასევე, ელექტროენერჯის სადისტრიბუციო, გადამცემი, სადისპეტჩერიზაციო კომპანიები და ბუნებრივი აირის გამანაწილებელი კომპანიები.

დღემდე განხორციელებული პრივატიზაციის უმთავრეს შედეგად მიჩნეულია ის, რომ გამოჩნდა სტრატეგიული ინვესტორი "AES" კორპორაციის სახით, რომელმაც შეიძინა საქართველოს ელექტროენერჯეტიკული სიმძლავრეების 16%, სადისტრიბუციო ქსელის 23%<sup>[12]</sup> და ჩამოაყალიბა სადისტრიბუციო და გენერაციის კომპანიები “ეი-ი-ეს – თელავი” და “ეი-ი-ეს - მტკვარი”.

ნაკლებად დამაჯერებელი და არასაკმარისად მკაცრია პრივატიზაციის შედეგების შეფასება სემეკის ზოგიერთი წამყვანი სპეციალისტის მიერ, რომელიც მიიჩნევს, რომ პრივატიზაციის შედეგად მიღწეულია მნიშვნელოვანი შედეგები<sup>[6]</sup>:

- ამ ობიექტებზე (იგულისხმება პრივატიზებული ობიექტები) პრაქტიკულად აღმოფხვრილია კორუფცია;
- ინვესტორების მიერ ვალეების ნაწილი დაიფარა, ნაწილის გადახდა შეჩერდა;
- ენერჯის საფასურის ანაზღაურებისა და მოსახლეობისაგან მისი გადახდის საკითხს ინვესტორი არეგულირებს;
- თანდათან წყდება ელექტროენერჯის დაზოგვის საკითხი;
- უცხოური კრედიტების ათვისება და სახელმწიფოს ვალდებულებები ძირითადად გადასულია ინვესტორებზე;
- გარკვეულწილად გაიზარდა გადასახადების გადახდა და სახელმწიფოს შემოსავლები;
- ენერგოშემცველების შექმნასა და დარგის რეაბილიტაციას ახორციელებს ინვესტორი;
- მოწოდებული ენერჯის ღირებულების სრულმა გადახდამ დადებითი გავლენა იქონია ენერჯეტიკის სხვა დარგებზე;
- გაიზარდა შესაძლებლობა დარგის საექსპორტო პოტენციალის უკეთ გამოყენებისათვის.

პრივატიზაციის ასეთი შედეგები უფრო მიუთითებს იმაზე, რომ სახელმწიფომ ნაადრევად, მოსახლეობისათვის მინიმალური სოციალური გარანტიების შექმნამდე, მოიხსნა ვალდებულებები და პასუხისმგებლობები ენერჯეტიკული სექტორის ფუნქციონირებასა და განვითარებაზე და პრაქტიკულად განახორციელა ენერჯეტიკის დერეგულაცია, რაც მოითხოვს სამრეწველო საწარმოებისა და სოციალური ფენების გაცილებით უფრო მაღალ მზადყოფნას, ვიდრე ამას ამჟამად აქვს ადგილი ჩვენს ქვეყანაში. ამასთანავე, მიმდინარე ეტაპზე არ ჩანს საფუძველი ვიფიქროთ, რომ ენერჯეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისია საკმარისად ფლობს, არეგულირებს და მართავს სიგუაციას.

ანალიზი გვიჩვენებს, რომ პრივატიზაციის შედეგად 2000 წლისათვის “ხრამი-1” და “ხრამი-2” ჰიდროელექტროსადგურების გამოთქმავება შემცირდა ~13%-ით 1990 წლის გამოთქმავებასთან შედარებით, თბილსრესის №9 და №10 ენერგობლოკებზე კი გაიზარდა ~21%-ით, თუმცა 2001 წელს “ეი-ი-ეს მტკვრის” №10 ენერგობლოკზე მომხდარი ავარიის შედეგად შემცირდა კიდევ უფრო მნიშვნელოვნად; თბილთეცში ელექტროენერჯის გამოთქმავება პრივატიზაციის შემდეგ ჯერ შემცირდა ~20%-ით, ხოლო შემდეგ მთლიანად შეწყდა. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ რამოდენიმე მცირე სიმძლავრის ჰესზე პრივატიზაციის შემდეგ გამოთქმავება რამდენაღმე გაიზარდა.

[11] Energy Sector Adjustment Credit Project, WB, 6/29/99; Electricity Market Support Project, WB, 05/03/2001

[12] მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით და 21% ენერჯის მიწოდების რაოდენობის მიხედვით

ენერგეტიკის დარგში ამჟამად არსებული პრობლემები შეუსაბამობაშია პრივატიზაციისა და სტრუქტურული ცვლილებების იმ “მნიშვნელოვან” შედეგებთან, რომელთა შესახებაც საუბარი იყო ზემოთ. დარგის მესვეურები აღიარებენ, რომ:

- არ ხდება ელექტროენერჯის საფასურის სრულად ამოღება;
- ვერ მარაგდება ელექტროსადგურები მარაგნაწილებით და ვერ გარდება შეკეთების სამუშაოები;
- ვერ ხერხდება თბოელექტროსადგურების სათბობით უზრუნველყოფა;
- ელექტროსადგურების სალგეებიდან გაცემული ელექტროენერჯია სადგურებს ეთვლებათ რეალიზებულ ელექტროენერჯიად, რისთვისაც ვალდებული არიან გადაიხადონ საბიუჯეტო გადასახადები, ასევე ჯარიმები. ამ დროს, სინამდვილეში რეალიზებული ელექტროენერჯის რაოდენობა (ელექტროენერჯია, რომლის საფასურიც მიღებული აქვს მწარმოებელს) შესაძლებელია მნიშვნელოვნად უფრო ნაკლები იყოს გაცემულთან შედარებით და ვერ ხერხდებოდა ამის დასაბუთება გექნიკური ხარვეზების მიზნით, მწარმოებელ, გამანაწილებელ, მომხმარებელ და გადასახადის ამკრებ სუბიექტებს შორის მოუწესრიგებელი ან არაპაგიოსანი ურთიერთობების გამო და ა.შ. ასეთ პირობებში, როგორც წესი, არასაკმარისია ელექტროსადგურების (მწარმოებლების) ძალისხმევა სიგუაციის გამოსასწორებლად და ისინი ამჯობინებენ შეწყვიტონ ელექტროენერჯის წარმოების მართვის წამგებიანი პროცესი;
- რთული დარჩა დარგში მოქმედი ძირითადი ფონდების მდგომარეობა. შემცირების ნაცვლად, თანდათან იმრდება სექტორის ვალები.

დასკვნის სახით უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს ენერგეტიკულ სექტორში განხორციელებული სტრუქტურული ცვლილებების პირველი შედეგები სრულად ვერ ამართლებს მოლოდინს:

- როგორც ამას აჩვენებს სოციოლოგიური გამოკვლევის შედეგები, საზოგადოება არ მიიჩნევს თავს პრივილეგირებულად ენერგოუზრუნველყოფის შექმნილ სიგუაციაში;
- არ იგრძნობა ენერგეტიკის განვითარების გეგმებისა და მასშტაბების ზრდა, ასევე ქვეყნის ენერგოუზრუნველყოფის საიმედოობის ამაღლების ტენდენცია;
- ფაქტიურად ერთ, 2000 წლისათვის მიღწეულ დონეზე შეჩერდა ენერგეტიკაში კერძო ინვესტიციებისა და ინვესტორების შემოსვლის პროცესი;
- ვერ ამაღლდა დარგის საწარმოების თვითდაფინანსების პოტენციალი, რასაც ადასტურებს სახელფასო დავალიანებებისა და სახელმწიფო სუფსიდირების კვლავაც არსებობა, წარმოების მასშტაბების შემცირება (მაგ., თბილსრესის კუთვნილი ენერგობლოკებისა და თბილსის თეცის სრულად გაჩერება) და ენერგომომარაგების ხარისხის არც თუ გაუმჯობესება.

ამდენად, ენერგეტიკულ სექტორში განხორციელებული ცვლილებები ჯერ-კიდევ ვერ იძლევა სათანადო შედეგებს და აუცილებელია პროცესების თანდათანობითი კორექტირება მონიტორინგისა და ეგაპობრივი შედეგების კრიტიკული ანალიზის საფუძველზე.

#### IV სოციალური მდგომარეობა საქართველოში (ოჯახების შემოსავლების ანალიზი)

საქართველოში ამჟამად შექმნილია უმძიმესი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა. მოსახლეობის 90% ცხოვრების დონისა და ხარისხის მიხედვით ერთ-ერთ ბოლო ადგილზეა მსოფლიოში. არა ერთი წელია, რაც ქვეყნის მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობა სიღატაკის ბღვარს მიღმა იმყოფება. 2000 წლის დეკემბერში მინიმალური თვიური ხელფასი ოთხსულიანი ოჯახის ერთი დასაქმებულისათვის იყო 45,5 ლარი მაშინ, როდესაც საარსებო მინიმუმი შრომისუნარიანი ასაკის ადამიანისათვის შეადგენდა 114,5 ლარს თვეში – ცხრილი - 4.1.

ცხრილი 4.1 საარსებო მინიმუმი და შემოსავლები საქართველოში 1996-2002 წლებში, ლარი /თვე <sup>[13]</sup>

| წლები                                    | 1996  | 1997  | 1998  | 1999  | 2000  | 2001  | 2002  |
|--|-------|-------|-------|-------|-------|-------|-------|
| საარსებო მინიმუმი ერთი დასაქმებულისათვის | -     | 105.3 | 101.6 | 115.8 | 114.5 | 115.8 | 123.6 |
| საარსებო მინიმუმი საშუალო                | 199.3 | 191.6 | 182.9 | -     | 199.2 | 201.3 | 215.0 |

[13] საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი. ბიულეტენი № 58, 2001 წლის აგვისტო, გვ. 22-35.

|                            |      |       |      |      |      |      |   |
|----------------------------|------|-------|------|------|------|------|---|
| (4 სულიანი) ოჯახისათვის    |      |       |      |      |      |      |   |
| ნომინალური საშუალო ხელფასი | 29.0 | 42.5  | 55.4 | 67.5 | 72.3 | 90.1 | - |
| საშუალო ოჯახის შემოსავალი  |      | 149.0 |      |      |      |      |   |

1999 წელს, საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) მოცულობიდან ერთ სულ მოსახლეზე მოდიოდა საშუალოდ 622,5 აშშ დოლარი, რაც 53-ჯერ ჩამორჩება აშშ-ს იგივე მაჩვენებელს (ცხრილი 4.2) და 15-ჯერ მსოფლიო საშუალო დონეს.

ცხრილი 4.2 მშპ მოსახლეობის ერთ სულზე 1999 წელს (აშშ დოლარი)

| მშპ-ს სტრუქტურა | აშშ    | ავსტრია | ბელგია | დანია  | ფინეთი | ირლანდია | ლუქსემბურგი |
|-----------------|--------|---------|--------|--------|--------|----------|-------------|
| მშპ, ერთ სულზე  | 32 800 | 26 800  | 25 100 | 32 500 | 25 200 | 19 700   | 41 500      |

საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტის დინამიკა 1995-2002 წლებში მოცემულია ცხრილში-4.3 [14].

ოფიციალური სტატისტიკის თანახმად (სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი) ოჯახები ყოველთვიური შემოსავლების მიხედვით შეიძლება დაიყოს ხუთ ჯგუფად<sup>[15]</sup>:

- ღატაკები - 100 ლარამდე ~ 42%
- ღარიბები - 100-300 ლარი ~ 45%
- საშუალო ფენა - 300-800 ლარი ~ 7.2%
- შეძლებულები - 800-1500 ლარი ~ 4.9%
- მდიდრები - 1500 ლარის ზევით ~ 0.9%

ცხრილი 4.3 საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტის დინამიკა 1995-2002 წლებში

| მშპ-ს სტრუქტურა/წლები     | 1995    | 1996    | 1997    | 1998    | 1999    | 2000    | 2001    | 2002     |
|---------------------------|---------|---------|---------|---------|---------|---------|---------|----------|
| მშპ, სულ (მლნ.აშშ დოლარი) | 2 866.0 | 3 071.6 | 3 603.8 | 3 645.6 | 2 869.5 | 3 222.4 | 3 350.0 | 2.....,0 |
| მშპ ერთსულზე (აშშ დოლარი) | 623.0   | 665.9   | 784.5   | 791.4   | 622.5   | 676.5   | 2.....0 | 2.....0  |
| მშპ-ის ზრდა, %            |         | +6.9    | +17.4   | +1.2    | -21.5   | +9.7    | ....    | ....     |

მოსახლეობის სოციალური სტრუქტურის ანალიზი გვიჩვენებს, რომ ოჯახების მინიმუმ 42%-მა ფიზიკურად ვერ უნდა იარსებოს, თუნდაც შემოსავლების 100% კვებაზე დახარჯოს. ამ კატეგორიაში შემავალი ოჯახების აბსოლუტური უმრავლესობა არ იხდის კომუნალური მომსახურების გადასახადს და სახელმწიფოს არ გააჩნია არავითარი ბერკეტი და მორალური საფუძველი, რომლითაც შესძლებს აიძულოს ასეთი შემოსავლების მქონე ხალხი გადაიხადოს აღნიშნული გადასახადები.

საშუალო ფენა, რომელიც ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისა და სოციალური სტაბილურობის საფუძველს წარმოადგენს, სოციალურ სტრუქტურაში შეადგენს მხოლოდ 7.2%-ს, ანუ პრაქტიკულად არ არსებობს (დემოკრატიულ ქვეყნებში ანალოგიური მაჩვენებელი 70-80%-ს აღწევს).

კატასტროფულად ასიმეტრიული სურათია სხვადასხვა ფენებს შორის შემოსავლების განაწილების თვალსაზრისით. დეცილური კოეფიციენტი, რომელიც გვიჩვენებს თუ რამდენჯერ აღემატება ყველაზე მდიდარი მოსახლეობის 10%-ის შემოსავლები, ყველაზე ღარიბი მოსახლეობის 10%-ის შემოსავლებს, საქართველოში აღწევს 85-ს მაშინ, როდესაც ეს მაჩვენებელი განვითარებულ

[14] საქართველოს სტატისტიკის ეროვნული ცენტრი. ბიულეტენი № 62, 2001 წლის ოქტომბერი, გვ. 3-26.

[15] საქართველოს სტატისტიკის ეროვნული ცენტრი. ბიულეტენი № 1, 1997 წლის ივნისი, გვ. 57-63.

ქვეყნებში შეადგენს მხოლოდ 6-8-ს [16]. ეს არის ოფიციალური მონაცემები. დამოუკიდებელი ექსპერტების შეფასებით რეალური მდგომარეობა კიდევ უფრო მძიმეა.

ოფიციალური მონაცემებით 1999-2000 წლებში მოსახლეობის საშუალო თვიური ხარჯები სათბობსა და ელექტროენერჯიაზე 14.2 მლნ. ლარიდან გაიზარდა 17.5 მლნ. ლარამდე (ქალაქად 7.8-დან 9.9-მლნ. ლარამდე, სოფლად 6.4-დან 7.6-მლნ. ლარამდე); ერთი შინამეურნეობის საშუალო თვიური ხარჯები 12.5 ლარიდან გაიზარდა 15.8 ლარამდე (ქალაქად 12.7-დან 16.6-ლარამდე, სოფლად 12.2-დან 14.8- ლარამდე); გაიზარდა ასევე საშუალო თვიური ხარჯები ერთ სულ მოსახლეზე 3.6 ლარიდან 4.2 ლარამდე (ქალაქად 3.6-დან 4.5- ლარამდე, სოფლად 3.5-დან 3.9- ლარამდე).

ცხრილში-4.4 მოცემულია ბოლო წლებში სხვადასხვა შემოსავლების მქონე ოჯახების ყოველთვიური პროცენტული ხარჯები კომუნალურ მომსახურებაზე და საწვავზე.

**ცხრილი 4.4** სხვადასხვა შემოსავლების მქონე ოჯახების ყოველთვიური პროცენტული ხარჯები კომუნალურ მომსახურებაზე და საწვავზე

|                                   | შემოსავალი 100 ლარამდე | შემოსავალი 100 დან 300 ლარამდე | შემოსავალი 300 დან 800 ლარამდე | შემოსავალი 800 დან 1500 ლარამდე | შემოსავალი 1500 ლარს ბევით |
|-----------------------------------|------------------------|--------------------------------|--------------------------------|---------------------------------|----------------------------|
| კომუნალური მომსახურება და საწვავი | 2% (2ლარი)             | 3% (9ლარი)                     | 4% (32ლარი)                    | 3% (45ლარი)                     | 3% (60ლარი)                |

მემოთ მოყვანილი ციფრები ცხადყოფს, რომ დღეისათვის საქართველოში შექმნილი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, ასევე ემოციურ-ფსიქოლოგიური პირობები არ იძლევა არავითარ საფუძველს იმისათვის, რომ მოხდეს მოხმარებული ელექტროენერჯიისა და ენერგორესურსების საფასურის სრულყოფილი გადახდა. არის თუ არა საკმარისი მოსახლეობის შემოსავლები მათთვის სასიცოცხლოდ აუცილებელი მინიმალური ენერგოდანახარჯების დაფარვისათვის საჭიროა გაირკვეს მემოთ მოცემული პარამეტრების შედარების გზით ენერგომოთხოვნილების სიდიდეებთან, რომელთა შეფასების შედეგები მოცემულია ნაშრომის შემდეგი თავი.

## V მოსახლეობის ენერგომოთხოვნილება, გადახდისუნარიანობა და ენერგეტიკული კომფორტულობა. ფსიქოლოგიური გარემო და გადახდის კულტურა

ჩვეულებრივ, მოსახლეობის ენერგომოთხოვნილება<sup>[\*]</sup> და გადახდისუნარიანობა ერთმანეთზე დამოკიდებული პარამეტრებია – მაღალი გადახდისუნარიანობის დროს რეალიზდება მაღალი მოთხოვნილება ენერგორესურსებზე და პირიქით. შესაბამისობა ენერგომოთხოვნილებასა და გადახდისუნარიანობას შორის ირღვევა მაშინ, როდესაც მოსახლეობას არ შესწევს უნარი გადაიხადოს მინიმალური – მისთვის სასიცოცხლოდ საჭირო ენერგორესურსების საფასური. ასეთ შემთხვევაში ის ან ამცირებს ენერგომომხმარებას სასიცოცხლოდ საჭირო ენერგომინიმუმთან შედარებით და რისკის ქვეშ აყენებს თავის ჯანმრთელობას, ან მოიხმარს ენერგორესურსებს მისთვის საკმარისი რაოდენობით, მაგრამ თავს არიდებს (იძულებით) მისი საფასურის გადახდას. საქართველოში ადგილი აქვს ერთდროულად ორივე შემთხვევას, რაც გამოწვეულია უპირატესად მოსახლეობის შემოსავლების დაბალი დონით.

არსებობს ენერჯიის/ენერგორესურსების მოხმარების ნორმები, რომლებიც წარმოადგენს საპროექტო სიდიდეებს და დგინდება ადამიანების საცხოვრებელი გარემოსადმი ჯანდაცვისა და სანიტარულ-ჰიგიენური მოთხოვნების შესაბამისად. ამ ნორმების დაცვა მოითხოვებოდა სამშენებლო ნორმებისა და წესების მიხედვით საყოფაცხოვრებო სექტორის ყველა გიპის ობიექტისათვის. უკანასკნელ პერიოდში ცხოვრების პირობების მკვეთრმა ცვლილებებმა გამოიწვიეს აღნიშნული ნორმების გადახედვის აუცილებლობა. ეს საკითხი მით უფრო მნიშვნელოვანია, რომ ეხება ერთი მხრივ ენერგომოთხოვნილების შემცირების გარდაუვალობას

[16] საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი. ბიულეტენი №64, 2002 წლის იანვარი, გვ. 33-59.

[\*] შემოგვაქვს შემდეგი განსაზღვრებები: ენერგომოთხოვნილება – ენერგოკომფორტულობის მოთხოვნილი ხარისხი; ენერგოკომფორტულობა (ენერგეტიკული კომფორტულობა) - ენერგომოთხოვნილების დაკმაყოფილების ხარისხი.

და მის მოყვანას მოსახლეობის (მომხმარებლების) გადახდისუნარიანობასთან შესაბამისობაში, მეორე მხრივ, კი მოსახლეობისათვის ნორმალური სასიცოცხლო პირობების შენარჩუნებას.

ცხრილში 5.1 მოცემულია საყოფაცხოვრებო მიზნებით ენერგორესურსების ნორმატიული მოხმარების/მოთხოვნილების მაჩვენებლები საშუალო (სტატისტიკური) 4 სულიანი ოჯახისათვის საქართველოში. სიდიდეები მიღებულია საქსპერტო შეფასებებით, სოციოლოგიური კვლევის ცენტრის - SRC-ის მიერ მოცემული სამუშაოს ფარგლებში ჩატარებული თვისებრივი კვლევის შედეგების (იხ. დანართი) ანალიზით, ასევე ადრე არსებული სტანდარტებისა და ბოლო პერიოდში დაგროვილი სტატისტიკური მასალის შედარებითი ანალიზის საფუძველზე. ამ მაჩვენებლების გამოყენებით შეფასებულია საქართველოს საყოფაცხოვრებო სექტორის მოთხოვნილება ენერჯიასა და ენერგორესურსებზე – ნახ. 5.1 ა-ზ.

უკანასკნელ პერიოდში მნიშვნელოვნად შეიცვალა მოსახლეობის ხელმისაწვდომობა ენერგორესურსებზე. ეს გამოწვეული იყო მრავალი მიზეზით, მათ შორის, მიწოდების სისტემების ტექნიკური მდგომარეობის გაუარესებით და მართვის მოშლით, ასევე ენერგორესურსებზე ფასების მკვეთრი გაღიდეებით.

ცხრილში 5.2 ნაჩვენებია სხვადასხვა სახეობის ენერგორესურსების მიახლოებითი შესასყიდი ფასები საქართველოში, რომლებიც დამკვიდრდა 1998-2001 წლებში.

ამჟამად ენერგორესურსების გამოყენების თვალსაზრისით მოსახლეობა შეიძლება დაჯგუფდეს რამოდენიმე კატეგორიად: I კატეგორია – ოჯახები, რომლებიც საჭმლის მომზადების, ცხელწყალმომარაგებისა და გათბობისათვის იყენებენ მხოლოდ ბუნებრივ აირს (ე.წ. მეთანის ჯგუფი); II კატეგორია - ოჯახები, რომლებიც იგივე მიზნით იყენებენ მხოლოდ ქვანახშირს (ე.წ. ქვანახშირის ჯგუფი); III კატეგორია, – მხოლოდ ელექტროენერჯიას (ე.წ. ელექტროენერჯიის ჯგუფი); IV კატეგორია, – მხოლოდ შეშას (ე.წ. შეშის ჯგუფი); V კატეგორია, - მხოლოდ ნავთს ან სხვ. (ე.წ. ნავთის ჯგუფი); VI კატეგორია – ოჯახები, რომლებიც საჭმლის მომზადებისათვის იყენებენ თხევად აირს, ხოლო ცხელწყალმომარაგებისა და გათბობისათვის შეშას (ე.წ. თხევადი აირისა და შეშის ჯგუფი); VII კატეგორია – ოჯახები, რომლებიც საჭმლის მომზადებისა და ცხელწყალმომარაგებისათვის იყენებენ ელექტროენერჯიას, ხოლო გათბობისათვის ნავთს (ე.წ. ელექტროენერჯიის, ნავთისა და სხვ. ალტერნატიული წყაროების ჯგუფი); VIII კატეგორია – ოჯახები ენერგორესურსების შერეული გამოყენებით (ე.წ. შერეული მოხმარების ჯგუფი). საქართველოს მოსახლეობაში ოჯახების ზემოთ ჩამოთვლილი ჯგუფების პროცენტული რაოდენობა და მათ მიერ ყოველწლიურად მოხმარებული ენერგორესურსების სავარაუდო ღირებულება ნაჩვენებია შესაბამისად ნახ. 5.2-სა და 5.3-ზე.


|   |
|---|
| ცხრილი 5.1 ენერგორესურსების ნორმატიული მოხმარება/მოთხოვნილება საყოფაცხოვრებო მიზნებით 4 სულიანი ოჯახისათვის საქართველოში (საქსპერტო შეფასება) |
|---|

|  |
|--|
| <b>ელექტროენერჯიის მოხმარება საოჯახო ელექტროენერჯიის წყობის მიერ</b> |
|--|


| <b>საჭმლის მომზადება</b>                              |                    |      |
|---|--------------------|------|
| საჭმლის მომზადების ენერგეტიკული მოთხოვნილება          | კვტ/ოჯახი          | 2    |
| საჭმლის მომზადების საშუალო ხანგრძლივობა               | სთ/დღ-დმ           | 5    |
| 1 ოჯახის საჭმლის მომზადების ენერგეტიკული მოთხოვნილება | კვტ*სთ/წელ/ოჯახი   | 3650 |
|   | კვტ*სთ/დღ-დმ/ოჯახი | 10   |
| 1 სულზე მოსული საჭმლის მოსამზად. საჭირო ენერგია       | კვტ*სთ/წელ/სული    | 830  |
|   | კვტ*სთ/დღ-დმ/სული  | 2.3  |

| <b>ცხელ წყალმომარაგება</b>                       |                    |       |
|--|--------------------|-------|
| სიმძლავრე  | კვტ/ოჯახი          | 1.2   |
| სიმძლავრის გამოყენების საათების კოეფიციენტი      | -                  | 0.5   |
| ცხელწყალმომარაგების სეზონის ხანგრძლივობა         | დღ-დმ/წელ          | 365   |
| 1 ოჯახის ცხელწყალმომარ.-თვის საჭირო ელ. ენერგია  | კვტ*სთ/წელ/ოჯახი   | 5 256 |
|  | კვტ*სთ/დღ-დმ/ოჯახი | 14.4  |
| 1 სულზე მოსული ცხელწყალმომარ. საჭირო ელ. ენერგია | კვტ*სთ/წელ/სული    | 1 195 |
|  | კვტ*სთ/დღ-დმ/სული  | 3     |

| <b>ბათობა</b>  |                    |        |
|--|--------------------|--------|
| 1 მ <sup>2</sup> საცხოვრ. ფართის გასათბობად საჭირო სითბური სიმძლავრე | ვტ/მ <sup>2</sup>  | 80     |
| 1 ოჯახის გასათბობად საჭირო სითბური სიმძლავრე                         | კვტ/ოჯახი          | 3.52   |
| ბათობის სეზონის ხანგრძლივობა   | დღ-დმ/წელ          | 150    |
| 1 ოჯახის გასათბობად საჭირო სითბური ენერგია                           | კვტ*სთ/წელ/ოჯახი   | 12 672 |
|  | კვტ*სთ/დღ-დმ/ოჯახი | 84.5   |
| 1 სულზე მოსული გასათბობად საჭირო სითბური ენერგია                     | კვტ*სთ/წელ/სული    | 2 880  |
|  | კვტ*სთ/დღ-დმ/სული  | 19     |




ნახ. 5.1, ა)




ნახ. 5.1, ბ)

ნახ. 5.1 საქართველოს საყოფაცხოვრებო სექტორის მოთხოვნილება ენერგიასა და ენერგორესურსებზე (საექსპერტო შეფასება)






ნახ. 5.1, გ)




ნახ. 5.1, დ)

ნახ. 5.1 საქართველოს საყოფაცხოვრებო სექტორის მთხოვნილება ენერჯიასა და ენერგორესურსებზე (საექსპერტო შეფასება)




ნახ. 5.1, ე)



ნახ. 5.1, ვ)

ნახ. 5.1 საქართველოს საყოფაცხოვრებო სექტორის მოთხოვნილება ენერჯისა და ენერგორესურსებზე  
(საექსპერტო შეფასება)




ნახ. 5.1, 8)


ნახ. 5.1 საქართველოს საყოფაცხოვრებო სექტორის მოთხოვნილება ენერგიასა და ენერგორესურსებზე (საექსპერტო შეფასება)

ცხრილი 5.2 სხვადასხვა სახეობის ენერგორესურსების მიახლოებითი შესასყიდი ფასები საქართველოში 1998-2001 წლებში.

| ენერგორესურსის სახეობა | შესასყიდი ფასი | განზომილება         |
|------------------------|----------------|---------------------|
| ბუნ. აირი              | 0.27           | ლარი/მ <sup>3</sup> |
| პროპანი (თხევადი)      | 1.40           | ლარი/კგ             |
| მაზუთი                 | 0.14           | ლარი/ლ              |
| ნავთი                  | 1.00           | ლარი/ლ              |
| მსუბქი. ნავთობპრ.      | 1.00           | ლარი/ლ              |
| ბენზინი                | 1.00           | ლარი/ლ              |
| დიზელის საწვავი        | 0.80           | ლარი/ლ              |
| შეშა                   | 15-25          | ლარი/მ <sup>3</sup> |
| ქვანახშირი             | 15-35          | ლარი/ტ              |



ნახ. 5.2 ოჯახების/მომხმარებლების სხვადასხვა კატეგორიების პროცენტული რაოდენობა საქართველოს საყოფაცხოვრებო სექტორში 2001-02 წლის მდგომარეობით (საექსპერტო შეფასება)




ნახ. 5.3 სხვადასხვა კატეგორიების ოჯახების პოტენციური ენერგოდანახარჯები (ელექტროენერჯის ჩათვლით) 2001-02 წლის მდგომარეობით (საექსპერტო შეფასება)


ოფიციალური მონაცემებით საარსებო მინიმუმი შრომისუნარიანი მამაკაცისათვის საქართველოში 1998 წელს შეადგენდა 96.7 ლარს თვეში (~545 აშშ დოლარი/წელ), ხოლო 1999 წელს, - 127.3 ლარს თვეში (~720 აშშ დოლარი/წელ). ამასთან ერთად, ოჯახების 65-80%-ის

საშუალო წლიური შემოსავლები არ აღემატება 600-230 აშშ დოლარს. ამ ციფრების შედარება ნახ. 5.3-ის მონაცემებთან ცხადყოფს, რომ ყველაზე იაფი ენერგორესურსების (ქვანახშირისა და შუშის ჯგუფები) მოხმარების შემთხვევაშიც კი პოტენციური ენერგოდანახარჯები შეადგენს მოსახლეობის უდიდესი ნაწილის შემოსავლების 25-50%. ეს ვიგალური მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად საჭირო თანხებთან (საარსებო მინიმუმთან) ერთად აღემატება ოჯახების ყოველწლიურ შემოსავლებს. აღნიშნული გადაუჭარბებლად მეტყველებს მოსახლეობის უკიდურესად დაბალ გადახდისუნარიანობაზე.

ნახ. 5.4-ზე ნაჩვენებია ენერგიისა და ენერგორესურსების მოხმარების ცვლილების დინამიკა საქართველოს საყოფაცხოვრებო სექტორში 1997-2002 წლებში. აბსცისზე სვეტი “საექსპერტო შეფასებით” შეესაბამება ენერგორესურსების ნორმატიული მოხმარების/მოთხოვნილების მაჩვენებლებს. როგორც ნახაზიდან ჩანს, ენერგომოხმარების შემცირება საყოფაცხოვრებო სექტორში 1997-2002 წლებში მოხდა გათბობისა და ცხელწყალმომარაგების სიმძლავრეების, ასევე ელექტრო ხელსაწყოების გამოყენების ინტენსივობის შემცირების ხარჯზე. შედარებითი მუდმივობით გამოირჩევა ენერგომოხმარება საჭმლის მომზადებაში. ენერგორესურსების მოხმარების თვალსაზრისით კი მნიშვნელოვნადაა გაზრდილი შუშისა და ნავთის მოხმარება.



ნახ. 5.4, ა)



ნახ. 5.4 ენერჯისა და ენერგორესურსების მოხმარების ცვლილების დინამიკა საქართველოს საყოფაცხოვრებო სექტორში 1997-2002 წლებში. (საექსპერტო შეფასება)

ნახ. 5.4-ზე მოყვანილი გრაფიკებიდან ჩანს, რომ მოსახლეობის ენერგეტიკული კომფორტულობის დონე მთხივით შედარებით (იხ. აბსცისა „საექსპერტო შეფასებით“) შემცირებულია 30-50%-ით, რაც უარყოფითად მოქმედებს ადამიანების ჯანმრთელობის მდგომარეობაზე.


მართვის სისტემის კორუმპირებულობის მაღალი დონე და დაბალი პროფესიონალიზმი, ასევე მწიფე-მორალური ნორმების ნიველირება მოსახლეობაში იწვევს უნდობლობას და უშედეგო ხდის ნებისმიერ რეფორმას. მოსახლეობას არ სჯერა, რომ მის მიერ გადახდილი ელექტროენერჯის საფასური საერთოდ მოხვდება სახელმწიფო ბიუჯეტში, გამოიწვევს მის შევსებას და ცხოვრების საერთო დონის ამაღლებას.

მორე მხრივ, შემოსავლების სიმცირე ან არ არსებობა სრულიად არ ნიშნავს მთხივნილებების (მათ შორის ენერგომთხივნილებების) არ არსებობას. ადამიანს, რომელსაც 35 ლარი აქვს ხელფასი, მუსგად ისევე სჭირდება კომფორტი (გათბობა, განათება, ცხელი წყალი და ა.შ.), როგორც ნებისმიერი რანგის სახელმწიფო მოხელეს.

ამიგომ, საბაზრო ეკონომიკის დაუწერელი კანონი „არსებობს მთხივნა – მას სჭირდება დაკმაყოფილება“ მოქალაქეებს უბიძგებს ნებისმიერი ხერხით აარიდონ თავი ენერჯიამე საფასურის გადახდას (გარიგებები ენერგომომწოდებელი კომპანიების წარმომდგენლებთან ენერგოალმრიცხი მოწყობილობების მწყობრიდან გამოყვანა და სხვა). ეს დასგურდება კიდეც მოხმარებული ელექტროენერჯის საფასურის გადახდის ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობით. ამკამად საქართველოში მოხმარებული ელექტროენერჯის საფასურის ამოღების გასაშუალებული მაჩვენებელია 35-40% (სხვადასხვა წყაროს მონაცემებით). ამასთან, თბილისის საყოფაცხოვრებო სექტორისათვის ეს მაჩვენებელი 65-72%-ის ფარგლებშია, ხოლო რაიონებში 2003 წლის მონაცემებით არ აღემატება საშუალოდ 12-15%-ს (წყარო: გაერთიანებული გამანაწილებელი ენერგოკომპანია). უნდა აღინიშნოს ისიც, რომ რაიონებში ელექტროენერჯის საფასურის მხოლოდ 2-3% ამოიღება ფულადი ფორმით, დანარჩენი კი იფარება უნადლო ანგარიშსწორებით – ჩათვლებით, ვალების გაქვითვით და სხვ.


## VI გარიფების ცვლილება, როგორც სტრუქტურული ცვლილებების შედეგი

როგორც მოცემული მასალის შესავალ ნაწილში იყო აღნიშნული, საქართველოს ენერგეტიკულ სექტორში მიმდინარე ყველა ის ცვლილება, რომელიც იწვევს ენერგორესურსების ფასების ცვლილებას, პირდაპირ და მაქსიმალური გავლენით მოქმედებს ადამიანების ცხოვრების პირობებზე. ბოლო პერიოდში სექტორში გატარებული სტრუქტურული ცვლილებების შედეგად მნიშველოვნად გაიზარდა გარიფები ენერგორესურსებზე, რაც კარგად ჩანს თბილისში ელექტროენერჯის გარიფის ცვლილების მაგალითზე – ნახ. 6.1.




ნახ. 6.1 ელექტროენერჯის გარიფის ცვლილების დინამიკა საქართველოს (თბილისის) მოსახლეობისათვის 1997-2002 წლებში

განსაკუთრებულად მკვეთრი ცვლილება მოხდა 1998 წელს, - პრივატიზაციის იმ ეტაპზე, რომელზეც ენერგეტიკულ სექტორში შემოვიდა სტრატეგიული ინვესტორი - შ-კორპორაცია და საქართველოს ენერჯის სისტემაში დაიწყო ე.წ. სრულ ღირებულებაზე დამყარებული გარიფის დანერგვა. რესტრუქტურების შედეგად ამ და მომდევნო პერიოდში შექმნილმა თითოეულმა ენერგეტიკულმა ინსტიტუტმა შეიტანა თავისი მნიშვნელოვანი წილი გარიფის სტრუქტურაში - ნახ. 6.2.



ნახ. 6.2 ელექტროენერჯის გარიფის მდგენელები ენერჯის სისტემის სტრუქტურული რგოლების მიხედვით თბილისის მოსახლეობისათვის 2000-01 წლებში

ამის შედეგად ჩამოყალიბდა სურათი, რომელიც გვიჩვენებს, რომ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის სახელმწიფოებს შორის ელექტროენერჯის ყველაზე მაღალი გარიფი არის საქართველოში (ნახ. 6.3), მიუხედავად იმისა, რომ აქ არსებული ჰიდროელექტროსადგურების წილი ქვეყნის ელექტროგენერაციაში არის განმსაზღვრელი და შეადგენს მინიმუმ 80-85%-ს.



ნახ. 6.3 ელექტროენერჯის საშუალო საცალო გარიფი დსთ-ს ქვეყნებში 1999-2000 წლებში.

რამდენად გარდაუვალი იყო ელექტროენერჯის გარიფის მნიშვნელოვანი გადიდება საქართველოში და აქვს თუ არა ამას ობიექტური საფუძველი. ამ საკითხზე არსებობს მრავალი განსხვავებული მოსაზრება. ქვემოთ მოვიყვანთ მოგიერთ მათგანს ჩვენივე კომენტარების თანხლებით.

ელექტროენერჯის გარიფის გადიდების მიზეზები სემეკის მონაცემებით მდგომარეობს შემდეგში:

- ელ. ენერჯის ღირებულებას დაემატა ფონდამოგების კომპონენტი, რომელიც წარმოადგენს ყოველწლიურ საპროცენტო დანარიცხს ფონდების ღირებულებაზე იმ დაშვებით, რომ ფონდების ღირებულება არის ბანკში შეგანილი ანაბარი. ფონდამოგების საპროცენტო დანარიცხი იცვლება 10-დან 20%/წელი-მდე;
- გაიზარდა ფონდების საბაზრო ღირებულება და განისაზღვრა ის როგორც უკანასკნელი გადაფასების შედეგი;
- გადიდა ყოველწლიური საამორტიზაციო დანარიცხები 2-3%-დან 7-8%-მდე;
- გაძვირდა სარემონტო მასალები;
- ელ. ენერჯის ღირებულებას დაემატა სარემონტო დანახარჯები, რაც ძირითადი ფონდების ღირებულების 5% შეადგენს.

ჩვენი აზრით, ჩამოთვლილი მიზეზები ზოგადი ხასიათისაა და არ წარმოადგენს სრულყოფილ (ზუსტ) არგუმენტაციას გარიფების გადიდების მიზეზების ახსნისათვის. გარიფების დადგენისათვის ამჟამად გამოყენებული მეთოდიკით შესაძლებელია მიღებული ყოფილიყო ელექტროენერჯის გარიფის კიდევ უფრო დიდი მნიშვნელობებიც, რადგანაც დიდაა თავისუფლება ფონდების საბაზრო ღირებულების განსაზღვრისა, რომ არაფერი ვთქვათ საამორტიზაციო დანარიცხებსა და სარემონტო დანახარჯების საპროცენტო განაკვეთებზე და ა.შ. სავარაუდოა ისიც, რომ სემეკის როლი გარიფების განსაზღვრაში არის მინიმალური. ის, როგორც ჩანს, მოკლებულია საექსპერტო



შეფასებებისა და რევიზიის ჩაგარების შესაძლებლობას და შემოიფარგლება ლიცენზიანტების მიერ წარდგენილი გარიფების დამტკიცებით.

საგარიფო მეთოდოლოგიის 1.2 მუხლის თანახმად სრულ ღირებულებაზე დამყარებული გარიფის გამოყენება მიზანშეწონილია საბითუმო ბაზრის ჩამოყალიბების პირველ ეტაპზე და მთავარ მიზნად ისახავს ღირებულების კერძო ინვესტიციების მაქსიმალურ მოზიდვას. პრივატიზაციის ძირითადი რაუნდის შემდეგ, რაც საქართველოში შემოვიდა სტრატეგიული ინვესტორი, პრივატიზაციის პროცესი პრაქტიკულად შეჩერდა და ელექტროენერჯის სრულ ღირებულებაზე დამყარებული გარიფი გადაიქცა “საკუთარი მოხმარების” პროდუქტად. ის ამჟამად გამოიყენება მხოლოდ სახელმწიფო საკუთრებაში მყოფი ენერჯეტიკული საწარმოებისათვის და მივიღეთ სურათი, როდესაც საგარიფო მეთოდოლოგია შესაძლოა შეესაბამება ეკონომიკისა და ენერჯეტიკის ძირითად პრინციპებს, მაგრამ არ შეესაბამება მიმდინარე მდგომარეობას. მაგალითად, 1999 წლის II ნახევარში ელექტროწარმოების თეორიული დანახარჯები იყო 144,058,000. ლარი, გამომუშავება კი 3,106,400,000. კვტ\*სთ<sup>[17]</sup>. ე.ი. ელექტროენერჯის თეორიული ღირებულება იყო 4.6 თეთრი/(კვტ\*სთ); თბოელექტროსადგურში 3,800,000,000. კვტ\*სთ/წელ ელექტროენერჯის გამომუშავებისათვის საჭირო სათბობის ღირებულება შეადგენდა 200,000,000. ლარს<sup>[18]</sup>. ე.ი. ელექტროენერჯის ღირებულება იყო 5.2 თეთრი/(კვტ\*სთ). შესაბამისად, ძნელი ასახსნელია თუ რატომ არის ელექტროენერჯის სბოლო შეწონილი გარიფი მინიმუმ 2-ჯერ მეტი თბოელექტროსადგურებში (თეს) წარმოებული ელექტროენერჯის გარიფზე, მით უფრო მაშინ, როცა ელექტროენერჯისაში ჰეს-ების წილი გაცილებით აღემატება თეს-ების წილს.

ზოგიერთი დამოუკიდებელი ექსპერტის მოსაზრებით<sup>[19]</sup> სრულ ღირებულებაზე დამყარებულმა გარიფმა დაკარგა თავისი აზრი სექტორის საწარმოთა უდიდესი ნაწილისათვის, რადგან არსებულ პირობებში რეალური გადახდები შეუდარებლად შორს არის იმ სრული ღირებულებისაგან, რაც გარიფის განსაზღვრის საფუძველს წარმოადგენს. ამავე დროს, გარიფის სიდიდე ფაქტიურად ვერავითარ მეგავატს ვერ ახდენს საწარმოების მიერ რეალურად მიღებული თანხების სიდიდემდე. ეს გამოწვეულია იმით, რომ სახელმწიფო საკუთრებაში მყოფი ენერჯეტიკული ობიექტების კრედიტორული და დებიტორული დავალიანებები ერთმანეთს აბალანსებს და ანგარიშსწორება ხდება ძირითადად ჩათვლების საშუალებით. ამ დროს ის მიმერული თანხებიც კი, რომლებიც ხვდება სექტორის საწარმოთა ანგარიშზე, არ ხმარდება მათი საექსპლუატაციო ხარჯების დაფარვას და ხვდება საგადასახადო სამსახურების ანგარიშზე.

აღნიშნულიდან ჩანს, რომ სერიოზულ ცვლილებებს და დაზუსტებას საჭიროებს როგორც გარიფების დადგენის მეთოდოლოგია, ისე ბოგადად საგარიფო პოლიტიკა. ჩვენი აზრით, მეთოდოლოგიის თვალსაზრისით აუცილებელია ელექტროენერჯის გარიფში ფონდამოცემისა და საამორტიზაციო დანარიცხების კომპონენტების რევიზია. მათი განსაზღვრა და პერიოდული გადაფასება უნდა ხდებოდეს დასავლური მეთოდიკების გამოყენებით, რაც მოითხოვს საერთო ბაზრის კონსუქტურის უპირობო გათვალისწინებას. ეს უზრუნველყოფს აღნიშნული პარამეტრების მიმდინარე და სამომავლო ღირებულებების სწორად შეფასებას და ქმნის გარიფების ობიექტურად განსაზღვრის საფუძველს.

პოლიტიკის თვალსაზრისით ამჟამად ძნელია განსაზღვროთ თუ რაზეა ორიენტირებული ქვეყნის საგარიფო პოლიტიკა ელექტროენერჯეტიკულ სექტორში – ელექტროენერჯით გარე ვაჭრობაზე თუ შიგა მომხმარებლის უზრუნველყოფაზე, სექტორში დამატებითი კაპიტალის მოზიდვაზე თუ არსებული რესურსების უფრო ეფექტურად ამუშავებაზე, პრივატიზაციაზე თუ საზოგადოებრივი საწარმოების ჩამოყალიბებაზე და ა.შ. დღეისათვის შექმნილი მდგომარეობა გვიჩვენებს, რომ ქვეყანაში გაგარებული ენერჯეტიკული პოლიტიკა მიმართულია ელექტროენერჯის იმპორტირებაზე და არა შიგა რესურსების რეაბილიტაციასა და ამოქმედებაზე. თუ ეს საეკონომიკო მდგომარეობაა და მიზნობრივადაა მიმართული იმისაკენ, რომ უცხოური დახმარებები მაქსიმალურად შემოვიდეს ენერჯეტიკულ სექტორში, ჩაგარდეს მისი სრულყოფილი რეაბილიტაცია წინასწარგანსაზღვრული (!) პერიოდის განმავლობაში და არსებობს უცყური

[17] საქართველოს ენერჯეტიკის რეგულირების ეროვნული კომისია. ენერჯეტიკის რეგულირების საფუძველები. წიგნი I. გვ. 165

[18] საქართველოს ენერჯეტიკის რეგულირების ეროვნული კომისია. ენერჯეტიკის რეგულირების საფუძველები. წიგნი I. გვ. 54

[19] მ. მარგველაშვილი. სატარიფო მეთოდოლოგიის ზოგიერთი საკითხი. თბილისი, 2002.

პროგნოზი (!) იმის შესახებ, რომ იგივე პერიოდში ჩვენს მეზობელ ქვეყნებში ელექტროენერჯის გარიფი გაიზრდება მნიშვნელოვნად და აღნიშნული ეგაპის ბოლოს ჩვენი ქვეყანა აღმოჩნდება კონკურენტუნარიანი გაფართოებულ ენერჯეტიკულ ბაზარში, ამასთან მას ექნება “ტექნიკურად გამართული ენერჯეტიკა”, - მაშინ შესაძლებელია შექმნილი მდგომარეობა შეფასდეს როგორც სტრატეგიულად აუცილებელი სტადია. მაგრამ არა ჩანს ასეთი შეფასების ობიექტური საფუძველი რამდენადაც, ერთი მხრივ, არა ჩანს ის შედეგები, რომლებიც უკვე უნდა ჩანდეს ენერჯეტიკულ სექტორში და, მეორე მხრივ, ვერ იქმნება სოციალური (ასევე ნაციონალური) უსაფრთხოების გარანტიები გაგარებული რეფორმების კვალდაკვალ.




ელექტროენერჯიაზე გარიფების გაზრდის ერთ-ერთი მიზეზი უკავშირდება საერთაშორისო სავალუტო ფონდის მოთხოვნას, რომლის თანახმადაც, როგორც ეს ჩვენთვისაც ცნობილი, ყოველი მიმდინარე წლის განმავლობაში დაგროვილი მოსახლეობის დავალიანება აუცილებელია შეგანილ იქნეს ყოველი მომდევნო წლის გარიფში. მათ მიაჩნიათ, რომ ამის შედეგად გაიზრდება შენაგანები სახელმწიფო ბიუჯეტში, რაც შექმნის მოსახლეობის მოწყვლადი ფენების სოციალურ დაცვის შესაძლებლობებს. კერძოდ, შესაძლებელი გახდება ბიუჯეტში შემოსული დამატებითი თანხებით სოციალურად დაუცველი მოსახლეობის დახმარების პროექტების განხორციელება.

მიგვაჩნია, რომ საქართველოში ამჟამად არსებულ პირობებში, როდესაც მოსახლეობის შემოსავლების ზრდის ტემპი მნიშვნელოვნად ჩამორჩება გარიფის ზრდის ტემპს, ასეთი მიდგომა გამოიწვევს გარიფის ზრდის უწყვეტ პროცესს. კერძოდ, გარიფის გადიდება გამოიწვევს გადახდის უუნარო მოსახლეობის რაოდენობის გადიდებას, შესაბამისად შემცირდება ელექტროენერჯის საფასურის ამოღება, გაიზრდება მოსახლეობის დავალიანება. “ახალი” ვალების შეგანა მომდევნო წლის ელექტროენერჯის გარიფში კიდევ უფრო გააძლიერებს უკანასკნელს, გამოიწვევს გარიფის გადიდების ზემოთ აღწერილი ციკლი და, ასე, უსასრულოდ.

სავარაუდოა, რომ საბოლოო შედეგად მივიღებთ არაუმეტეს გარიფის გადიდებას ან, უფრო მეტიც, საბიუჯეტო შემოსავლების შემცირებას. ამიგომ, საქართველოს მოსახლეობის მოწყვლადი ფენების სოციალური დახმარების განხორციელება, ჩვენი აზრით, შესაძლებელი გახდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გარიფების ზრდის სინქრონულად საგრძნობლად გაიზრდება მოსახლეობის დასაქმება და მათი შემოსავლები. ან, კიდევ, ყურადღებას იმსახურებს შემდეგი ფორმულა: მცირდება პროდუქციის ღირებულება, იზრდება მისი მოხმარება ისე, რომ მაგულობს პროდუქტის რეალიზაციის ჯამური შემოსავლები. ამ ფორმულის გამოყენება ელექტროენერჯეტიკულ სექტორში შესაძლებელია სქემით: ხდება გარიფის ოპტიმიზაცია (შემცირება); ამით იზრდება გადახდისუნარიანი მოსახლეობის რაოდენობა (ელექტროენერჯის საფასურის გადახდა შეუძლია მოსახლეობის უფრო დიდ ნაწილს, ვიდრე ეს შეიძლებოდა მაღალი გარიფის პირობებში); მაგულობს ელექტროენერჯის საფასურის ამოღება.

ჩაგარებულმა შეფასებითმა გაანგარიშებებმა აჩვენა, რომ საქართველოში ამჟამად არსებული ელექტროენერჯის გარიფის ოპტიმიზაციის (შემცირების) შედეგად ელექტროენერჯის საფასურის გადახდის უნარის მქონე მოსახლეობის ფენებს დაემატება კიდევ ორი – საშუალო და ღარიბი სოციალური ფენა, რითაც ელექტროენერჯიაში გადახდილი თანხები გაიზრდება 1.5-2-ჯერ (ნახ. 6.4).

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში ენერგორესურსების და ენერგომომსახურების გარიფების გადიდება გამოწვეულია რამოდენიმე მიზეზით. მათ შორის, ირაციონალური სახელმწიფო ენერჯეტიკული პოლიტიკით, ენერგოსექტორში ინსტიტუციური რგოლების სიჭარბით, გაუმართავი საგარიფო მეთოდოლოგიით და მოსახლეობის სოციალურად დაუცველი ფენების დახმარების ქმედითი მექანიზმების არარსებობით.



ნახ. 6.4 ელექტროენერჯის ტარიფის ოპტიმიზაციის მოსალოდნელი შედეგები საქართველოში

## VII ენერგოეფექტური ტექნოლოგიების დანერგვისა და ენერგოდამოგვის ღონისძიებების პრაქტიკა და პერსპექტივები საქართველოში

საქართველოს ენერგეტიკულ სექტორში ცვლილებების დაწყებისთანავე აქტუალური გახდა ენერგოეფექტური ტექნოლოგიების გამოყენებისა და ენერჯის დამოგვის საკითხი. ამ მხრივ ქვეყანაში არსებული პოტენციალის შეფასება პირველად ჩაგარდა საქართველოს ელექტროენერჯეტიკის სექტორის ოპტიმალური განვითარების პროექტის ფარგლებში [20]. შეფასებები მოიცავდა ენერგოდამოგვისა და ენერგოეფექტურობის სტანდარტული ტექნოლოგიების პაკეტს. მრეწველობის სექტორისათვის ეს იყო ცვლადსიჩქარიანი ელექტრული ამძრავების გამოყენება, გრანსფორმატორების სიმძლავრეებისა და მუშაობის რეჟიმების ოპტიმიზაცია, რეაქტიული სიმძლავრის კომპენსაციისა და ძრავების გადატვირთვისაგან დაცვის მოწყობილობების გამოყენება, ენერგორესურსების ელექტრონული ხარჯსაზომი სისტემების, ენერგოდამოგვი განათებისა და ელექტროგენერაციის ეკონომიური დეცენტრალიზებული სისტემების გამოყენება. შეფასებებმა აჩვენა, რომ აღნიშნული სისტემების ეტაპობრივი დანერგვით 2005 წელს მრეწველობის სექტორში შესაძლებელი იქნება დაიმოგოს მინიმუმ 200 მლნ. კვტ\*სთ/წელ. ელექტროენერჯია.

საყოფაცხოვრებო სექტორისათვის შეფასდა ისეთი ტექნოლოგიებისა და ღონისძიებების პოტენციალი, როგორცაა ბინებიდან სითბური დანაკარგების შემცირება ორმაგი შეშინვის ან ე.წ. დათბუნების გზით, განათების ენერგოდამოგვი – კომპაქტური ფლუორესცენციური ნათურების გამოყენება, თბურ ტუმბოებზე დაფუძნებული სითბო-სიცივით მომარაგების სისტემებისა და მაღალეფექტური ელექტროხელსაწყოების გამოყენება, მზის კოლექტორების გამოყენება ცხელწყალმომარაგებისათვის.

მოგვიანებით საქართველოში შეიქმნა სააგენტოს გიპის სამსახური - ენერგოეფექტურობის ცენტრი, რომელმაც ჩააგარა მნიშვნელოვანი სამუშაოები სამრეწველო საწარმოების ენერგოაუდიტში, ასევე დაამუშავა და შეადგინა ენერგოაუდიტის ჩაგარების მეთოდიკა.

ენერგოეფექტურობის პირველი პროექტების პრაქტიკული განხორციელება საქართველოში დაიწყო 1998 წელს. ამ საქმის პიონერები იყვნენ ე.წ. მწვანე ბრიგადები, რომლების ენერგოდამოგვის სადემოსტრაციო პროექტებს ახორციელებდნენ საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში.

ენერგოეფექტურობის ფართომასშტაბიანი პროექტების შესრულება საქართველოში დაიწყო 2000 წელს USAID-ის პროგრამის ფარგლებში კომპანია აგლერ აილფ-ის მიერ. მოგვიანებით ეს პროექტები გაგრძელდა კომპანია PA Consulting-ის მიერ. სამუშაოების მენეჯმენტს ახორციელებს საქართველოს ინჟინერ-ენერჯეტიკოსთა ასოციაცია (GAEE) მთავარი კონტრაქტორის სტატუსით. ამ პროგრამის ფარგლებში პირველ ეტაპზე შესრულდა ენერგოეფექტურობის 42 სადემოსტრაციო პროექტი. პროექტები განხორციელდა საყოფაცხოვრებო, სასწავლო-საგანმანათლებლო, კომერციულ და სამრეწველო სექტორებში და ითვალისწინებდა:

- ა) დათბუნებას, შენობებში ინფილტრაცია-ექსფილტრაციის დანაკარგების შესამცირებლად;
- ბ) გათბობის სისტემის მოწყობას ბუნებრივ აირზე მომუშავე რადიატორებით;
- გ) გათბობის სისტემის მოწყობას ბუნებრივ აირზე ან თხევად სათბობზე მომუშავე ქვაბდანადგარით და გრადიციული წყლის რადიატორებით;
- დ) განათების არსებული სისტემის შეცვლას ენერგოდამოგვი ფლუორესცენციური ნათურებით;
- ე) შენობების გადახურვების შეკვეთებას და ჭერის დათბუნებას.

7.1-ცხრილში მოცემულია სხვადასხვა ობიექტებზე ჩაგარებული ენერგოდამოგვის ღონისძიებების ეკონომიკური ეფექტურობის მაჩვენებლები.

[20] Least Cost Plan for Energy Sector in Georgia. Final Report. Energy Efficiency and Market Reform Project, 1998.

ცხრილი 7.1 ენერგოდაზოგვის ჩაგარებული ღონისძიებების ეკონომიკური ეფექტურობის მაჩვენებლები

| ობიექტი            | ენერგოდაზოგვის ღონისძიება | წლიური დანაზოგი     |            | საწყისი ინვესტიცია | მარტივი უკუგება | დ/ი * |
|--------------------|---------------------------|---------------------|------------|--------------------|-----------------|-------|
|                    |                           | თბ. მოხმ. მგვტ*სთ/წ | თანხა შ /წ |                    |                 |       |
| მინიმარკეტი        | ა, ბ, დ                   | 7                   | 1637       | 3496               | 2.1             | 1.86  |
| №56 საშუალო სკოლა  | ა, ბ, დ, ე                | 11                  | 5506       | 22740              | 4.1             | 1.01  |
| რესტორანი “არაგვი” | ა, ბ, დ                   | 65                  | 2752       | 9183               | 3.3             | 1.2   |
| მოდების აგელიე     | ა, ბ, დ                   | 7                   | 1526       | 4220.5             | 2.8             | 1.45  |

\*) დ/ი - დანაზოგის განაყოფი ინვესტიციაზე სრულ საექსპლუატაციო ციკლში.

2001-2002 წლის პერიოდში განხორციელდა პროგრამის მეორე ეტაპი. ამ დროს შესრულდა ენერგოეფექტურობის 34 სადემონსტრაციო პროექტი ძირითადად სამრეწველო სექტორში. პროექტები მოიცავდა საქრანსფორმატორ და წყალსაქაჩი სადგურების მუშაობის რეჟიმების ოპტიმიზაციას, განათების ავტომატურად კონტროლირებადი სისტემების დანერგვას სასტუმროებში, საავადმყოფოებსა და კლინიკებში ენერგოუმრუნველყოფის კომპლექსური სისტემების მოწყობას, მიკრო ჰესების მშენებლობას, ბიოგაზის გენერატორების დამზადებას და მონტაჟს ფერმერულ მეურნეობებში, მზის კოლექტორების მონტაჟს სასტუმრო მომსახურების ობიექტებზე, თბილისის მეტროპოლიტენში ელექტროენერჯის დაზოგვის ღონისძიებების განხორციელებას, კვების პროდუქტების საწარმოებში სტაბილური და ეფექტური ენერგოუმრუნველყოფის სისტემების მოწყობას და სხვ.

შეფასებითი გაანგარიშებები აჩვენებს რომ საქართველოში არსებობს ენერგოდაზოგვის მნიშვნელოვანი პოტენციალი. კერძოდ, საკრანსფორმატორო კვანძების სიმძლავრეებისა და მუშაობის რეჟიმების ოპტიმიზაციის გზით საქართველოს მასშტაბით შესაძლებელია დაზოგილი იქნეს ყოველწლიურად 4 მლნ. კვტ\*სთ ელექტროენერჯია; დიდი ქალაქების გარე განათებაში ენერგოეფექტური ნათურების გამოყენებით შესაძლებელია დაზოგილი იქნეს ყოველწლიურად 6-7 მლნ. კვტ\*სთ ელექტროენერჯია; სასმელი წყლით მომარაგების სისტემებში დანაკარგების შემცირებით - 30 მლნ. კვტ\*სთ, ხოლო წყალსაქაჩი სადგურების მუშაობის რეჟიმების ოპტიმიზაციის გზით - 40 მლნ. კვტ\*სთ ელექტროენერჯია.

დასკვნის სახით უნდა ითქვას, რომ აუცილებელია საქართველოში ენერგოეფექტურობის პოტენციალების შემდგომი გამოვლენა და გამოყენება. ეს წარმოადგენს მნიშვნელოვან რესურსს ქვეყანაში ენერგეტიკული მდგომარეობისა და თოთოეული მოქალაქის ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისათვის.

**VII მოსახლეობის ენერგოუმრუნველყოფის საიმედოობა. ცხოვრების ღონის ეკონომიკური კრიტერიუმები და სოციალური დაცვის პროგრამები**

საქართველოს მოსახლეობის ენერგოუმრუნველყოფის საიმედოობა უკავშირდება ორ სხვადასხვა – ტექნიკურ და ეკონომიკურ ფაქტორს. ტექნიკური ფაქტორის გავლენა დამოკიდებულია ენერგეტიკული სისტემის ტექნიკური მდგომარეობისა და მზადყოფნის ხარისხზე. ამ მხრივ 2002 წლის დასასრულისა და 2003 წლის მიმდინარე პერიოდში მოსახლეობის ენერგომომარაგებაში ხშირი შეფერხებების ოფიციალურ მიზეზად სახელდებოდა სისტემის ტექნიკური გაუმართაობა. ენერგოუმრუნველყოფის საიმედოობის ეკონომიკურ ფაქტორს განსაზღვრავს მოსახლეობის შემოსავლებისა და სოციალური დაცვის მდგომარეობა.

ქვემოთ მოცემულია 1996-2001 წლებში საქართველოს ეკონომიკური მდგომარეობის ზოგადი სურათი. ამ პერიოდში სახელმწიფო ბიუჯეტი არც ერთხელ არ შესრულებულა - ცხრილი 8.1 [21]. აქვე ნაჩვენებია სხვადასხვა ქვეყნებში წლიური ენერგომომხმარების ერთ სულ მოსახლეზე დაყვანილი სიდიდეები - ნახ. 8.1.


[21] საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი. ბიულეტენი №73, 2002 წ., გვ.26-37

საბიუჯეტო კრიზისის ერთ-ერთ მიზეზად სახელდება ე.წ. „ეკონომიკაში მოქმედი ტრადიციული სემონური ფაქტორი“ ანუ სამრეწველო პროდუქციის მოცულობის ვარდნა ზამთრის პერიოდში ელექტროენერჯის მიწოდებაში არსებული შეფერხებების გამო [22].

ცხრილი 8.1 სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების გეგმის შესრულების მაჩვენებლები 1996-2001 წლებში

| ბიუჯეტი/წლები        | 1996  | 1997  | 1998   | 1999   | 2000  | 2001  |
|----------------------|-------|-------|--------|--------|-------|-------|
| გეგმა, მლნ. ლარი     | 562.8 | 680.4 | 752.2  | 922.5  | 695.1 | 845.2 |
| ფაქტიურად, მლნ. ლარი | 518.1 | 593.2 | 621.9  | 650.2  | 640.3 | 758.3 |
| სხვაობა, მლნ. ლარი   | -44.7 | -87.2 | -130.3 | -272.3 | -54.8 | -86.9 |
| გეგმის შესრულება, %  | 92.0  | 87.2  | 82.7   | 70.5   | 92.1  | 89.7  |

წარმოების შემცირება კერძო სექტორზე უფრო სწრაფად ხდება სახელმწიფო სექტორში, სადაც გადასახადების აკრეფა, ასე თუ ისე, მაინც შესაძლებელია. კერძო სექტორში გადასახადებისაგან თავის არიდება სიძნელეს არ წარმოადგენს. აქ წარმოებული პროდუქციის მნიშვნელოვანი ნაწილი არ რეგისტრირდება. კორუფციის კვლევითი ცენტრის მონაცემებით, მეწარმეთა 75-80% საბუღალტრო წიგნში არ აჩვენებს რეალურ მოგებას. კორუფციის არსებული მასშტაბების პირობებში გადასახადების გადახდის სტიმულს არ იძლევა არც ამჟამად მოქმედი საგადასახადო ნიხრები. საგადასახადო სისტემის მუშაობის დამკვიდრებულ რეჟიმში არ ჩანს მეწარმეთათვის ლეგალური ფინანსური ურთიერთობებისა და გამჭვირვალე საბუღალტრო აღრიცხვიანობის უპირატესობები. შესაბამისად, დღევანდელი საქართველოს საგადასახადო სისტემა და მისი აპარატი წარმოადგენს ლეგალური ეკონომიკური ბრდის შემაფერხებელ, კორუფციისა და ჩრდილოვანი ეკონომიკის წამახალისებელ ფაქტორებს. მიახლოებითი შეფასებით, მხოლოდ ერთი – 1999 წლის განმავლობაში, 72 მლნ აშშ დოლარის მოცულობის ქრთამის გადახდით კერძო მეწარმეებმა შეიძინეს ნახევარი მილიარდი აშშ დოლარის ოდენობის გადასახადის დამალვის უფლება<sup>[23]</sup>.



ნახ. 8.1 წლიური ენერგომოხმარება ერთ სულ მოსახლეზე სხვადასხვა ქვეყნებში

[22] საქართველოს ეკონომიკის მიმართულებები. ეკონომიკური პოლიტიკისა და სამართლებრივი საკითხების ქართულ-ევროპული საკონსულტაციო ცენტრი. კვარტალური მიმოხილვა, 2001 წელი №1, გვ 14.

[23] საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი. ბიულეტენი №44, 2000 წლის სექტემბერი, გვ.3-10.

ბევრთა აღნიშნულის შედეგად ვლელობთ იმას, რომ საბიუჯეტო ხარჯების ზრდის გეგმები მნიშვნელოვნად აღემატება შემოსავლების ზრდის გეგმებს, რასაც საბოლოო ჯამში მიყვარათ საბიუჯეტო კრიზისამდე.

საბიუჯეტო კრიზისი, თავისთავად, მწვავედ აყენებს სოციალურ საკითხს, რადგანაც ამ დროს საჭირო ხდება ბიუჯეტის ხარჯებით ნაწილის შეკვეცა, სადაც თავისთავად სოციალური გრანსფერებიც ხვდება, ან არ ხდება ხელფასებისა და სოციალური შემწეობების ინდექსაცია ინფლაციის შესაბამისად. ამის გამო, ნომინალური შემოსავლების თითქოსდა ერთ დონეზე შენარჩუნების ან მცირედი ზრდის მიუხედავად, მოსახლეობის რეალური შემოსავლები მცირდება. შესაბამისად, სახელმწიფო ბიუჯეტი კარგავს მის ერთ-ერთ მთავარ ფუნქციას, რომელიც შემოსავლების განაწილების, სამოგალოებაში სოციალური სამართლიანობის უზრუნველყოფისა და მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებაში მდგომარეობს<sup>[20]</sup>.

ბოლო წლების საქართველოს ბიუჯეტში სოციალური დაცვისა და სოციალური დაზღვევის ღონისძიებებზე გეგმით გათვალისწინებულმა ხარჯებმა მშპ-ს 3,8% შეადგინა. ამ მაჩვენებლით საქართველო არა მარტო განვითარებულ, არამედ განვითარებად ქვეყნებსაც კი ჩამორჩება (ცხრილი 8.2)<sup>[23]</sup>.

ცხრილი 8.2 სოციალური დახმარების წილი მთლიან შიდა პროდუქტში

| ქვეყანა | ავსტრია | ბელორუსია | ლატვია | ფინეთი | რუმინეთი | სინგაპური | საქართველო | თურქეთი | ურუგვაი |
|---------|---------|-----------|--------|--------|----------|-----------|------------|---------|---------|
| წილი%   | 24.5    | 12        | 9.1    | 30.5   | 16.9     | 7.2       | 3.8        | 4.9     | 14.8    |

სოციალური ხარჯების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პუნქტს წარმოადგენს პენსიებზე გაწეული ხარჯები. დღეისათვის საქართველოში ერთ მილიონამდე პენსიონერია. მათი თვიური პენსია 14 ლარს შეადგენს (ცხრილი 8.3).

ცხრილი 8.3 აღრიცხვაზე მყოფ პენსიონერთა რიცხოვნობა და საპენსიო განაკვეთი საქართველოში<sup>[24]</sup>

| წლები                        | 1996   | 1997  | 1998  | 1999  | 2000  |
|------------------------------|--------|-------|-------|-------|-------|
| პენსიონერთა რიცხოვნობა, კაცი | 1022.0 | 979.4 | 967.4 | 927.7 | 900.4 |
| პენსიის განაკვეთი, ლარი/თვე  | 10.2   | 11.1  | 14.0  | 14.0  | 14.0  |

2000 წლის მონაცემებით პენსიების წილი საშუალო მომხმარებლის საარსებო მინიმუმში 14 პროცენტს შეადგენდა, ხოლო 2001 წლის მარტის მდგომარეობით კი – 13,7 პროცენტს. მიზეზული თანხების ფონზე პენსიების საშუალოდ 3-4 თვის გაუცემლობის ფაქტები, პენსიების დაგაცემის, მითვისებისა და მუდმივად გაცემის შემთხვევები, ქმნის იმ მწვავე კრიზისის საფუძველს, რომელსაც დღეს საპენსიო სისტემა განიცდის.

რაც შეეხება სახელმწიფო სოციალურ დახმარებას, ის გათვალისწინებულია მხოლოდ იმ ოჯახებისათვის, რომლებიც შედგება ობლებისაგან და/ან მარტოხელა არამომუშავე პენსიონერებისაგან, რომელთაც ოფიციალური მარჩენალი არა ჰყავთ. ეს ფაქტობრივად წარმოადგენს ერთგვარ დამატებას, რომელიც ხანდაზმულთა ყველაზე დაუცველმა ნაწილმა სიმბოლურ პენსიებთან ერთად უნდა მიიღოს და, ასევე, მცირეოდენ შემწეობას ობოლ ბავშვთა დასახმარებლად. 2000 წლის 21 აგვისტოს პრეზიდენტის დადგენილების თანახმად, სახელმწიფო სოციალური დახმარების ოდენობა შესაბამისი 1 სულიანი ოჯახისათვის ან მეურვეობის ქვეშ მყოფი თითოეული ობოლი ბავშვისათვის 20 ლარს, ხოლო შესაბამისი 2 და მეტ სულიანი ოჯახისათვის 29 ლარს შეადგენს. დღეს, პრეზიდენტის 2001 წლის 10 თებერვლის დადგენილების საფუძველზე სახელმწიფო სოციალური დახმარების ოდენობა შესაბამისი 1 სულიანი ოჯახისათვის 22 ლარამდე, ხოლო შესაბამისი 2 და მეტ სულიანი ოჯახისათვის 35 ლარამდე გაიზარდა.

სიმბოლური ხასიათისაა აგრეთვე უმუშევრობის შემწეობა (ცხრილი 8.4)<sup>[21,24]</sup>. ამ შემწეობის მისაღებად უმუშევარმა უნდა გაიაროს რეგისტრაცია და შესაბამისად, უნდა იქონიოს სახელმწიფო სექტორში მუშაობის დამადასტურებელი საბუთი. ამის შედეგად იმ უმუშევართა რიცხვი რომლებიც

[23] საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი. ბიულეტენი №64, 2002 წლის იანვარი, გვ. 33-59.

[24] საქართველოს სტატისტიკური წელიწადური 2001. საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი.

თავს იწუხებენ უმუშევრობის რეგისტრაციით, რამდენჯერმე ჩამოუვარდება რეალურს და შესაბამისად, უმუშევრობის შემწეობის მიმღებთა რიცხვიც დაბალია (2001 წლის პირველი კვარტლის ბოლოს მდგომარეობით, რეგისტრირებულ უმუშევართა 2%)

ცხრილი 8.4 რეგისტრირებული უმუშევრების რაოდენობა და უმუშევრობის შემწეობა

| წლები  | 1991  | 1995 | 1996 | 1997  | 1998 | 1999  | 2000  |
|--|-------|------|------|-------|------|-------|-------|
| რეგისტრირებული უმუშევრები, ათასი კაცი                                    | 3.5   | 61.1 | 57.7 | 142.5 | 98.7 | 100.4 | 117.3 |
| უმუშევართა რიცხოვნობა, რომლებიც იღებენ უმუშევრობის შემწეობას, ათასი კაცი | 1.8   | 2.6  | 8.0  | 4.9   | 2.0  | 1.9   | 2.8   |
| ერთ უმუშევარზე ერთ თვეში გაცემული შემწეობის საშუალო სიდიდე, ლარი         | 129.6 | 4.2  | 7.9  | 9.2   | 9.5  | 10.3  | 11.8  |

საქართველოში 1999-2000 წლებში არსებობდა 22-მდე სხვადასხვა სახის შეღავათი ელექტროენერჯის მომხმარებლებისათვის. 1999 წლის 24 დეკემბერს ეს შეღავათები ნაწილობრივ შეიზღუდა. კერძოდ, გადასახადისაგან განთავისუფლებულ მომხმარებლებს ელექტროენერჯის უფასოდ მიწოდება შეეზღუდათ 50 კვტ\*სთ/თვე-მდე; იმ ოჯახებისათვის, სადაც იყო ორი ან მეტი ასეთი ადამიანი, ელექტროენერჯის უფასოდ მიეწოდება შეიზღუდა 75 კვტ\*სთ/თვე-მდე; იმ პირებისათვის, რომელთა მიერ მოხმარებული ელექტროენერჯის ნახევარს იხდიდა სახელმწიფო ორგანიზაცია, ელექტროენერჯის უფასოდ მიეწოდება შეიზღუდა 30 კვტ\*სთ/თვე-მდე; იმ ოჯახებისათვის, სადაც იყო ორი ან მეტი ასეთი პირი, ელექტროენერჯის უფასოდ მიეწოდება შეიზღუდა 45 კვტ\*სთ/თვე-მდე.



## დასკვნები

- ⇒ მიმდინარე ეტაპზე შეუძლებელია საქართველოში ენერგორესურსებზე (ელექტროენერგია, ბუნებრივი აირი მაშუთი, შეშა, ნავთი, თხევადი გაზი, ქვანახშირი და სხვ.) ნამდვილი მოთხოვნილების განსაზღვრა: ქვეყნის უმეტეს რეგიონებში არ ხორციელდება ენერგორესურსების მოხმარების ობიექტური აღრიცხვა და არ არსებობს მკაცრი, დოკუმენტირებული ანგარიშსწორება ენერგორესურსების მოხმარებელსა და მომწოდებელს შორის; მოხმარებლის დიდი ნაწილი ენერგიას/ენერგორესურსებს იღებს შეზღუდვებით – მიწოდება არ შეესაბამება მოთხოვნას; არ იმართება მოხმარებლის მოთხოვნილება ენერგორესურსებზე – მოხმარება არ შეესაბამება სჭიროებას. ოფიციალური მონაცემებით ქვეყნის ენერგომოთხოვნილება გაიგივებულია მოხმარებასთან, რაც შეზღუდული ენერგომომწოდებისა და გადახდისუნარიანობის პირობებში არ გვიჩვენებს ენერგომოთხოვნილების ნამდვილ სურათს;
- ⇒ საქართველოში არსებული გენერაციის ობიექტების, ასევე გადაცემისა და განაწილების სისტემების მიმდინარე ტექნიკური მდგომარეობა არ იძლევა ელექტროენერგიაზე მამთრის “მოთხოვნილების” დაკმაყოფილებლის შესაძლებლობას მიუხედავად იმისა, რომ ბოლო წლებში “მოთხოვნილება” ელექტროენერგიაზე მკვეთრად არის შემცირებული (14 მლრდ. კვტ\*სთ-დან ~6-8 მლრდ. კვტ\*სთ-მდე წელიწადში);
- ⇒ წლიდან წლამდე მკვეთრად თბოელექტროსადგურების (თეს) წილი და დიდდება ჰიდროელექტროსადგურების (ჰეს) წილი საბაზისო ელექტროენერგიის გამომუშავებაში ასეთ პირობებში შეუძლებელი ხდება მარეგულირებელი ჰეს-ების სიმძლავრეების დარეზერვება მამთრის პიკების დაფარვისათვის და საჭირო ხდება ძვირადღირებული ელექტროენერგიის იმპორტირება მეზობელი ქვეყნებიდან;
- ⇒ შექმნილი მდგომარეობა გვიჩვენებს, რომ ქვეყანაში გატარებული ენერგეტიკული პოლიტიკა მიმართულია ელექტროენერგიის იმპორტირებაზე და არა შიგა რესურსების რეაბილიტაციასა და ამოქმედებაზე;
- ⇒ უკანასკნელ წლებში საყოფაცხოვრებო სექტორი ელექტროენერგიის მთავარი მოხმარებელი გახდა. შესაბამისად, ამ სექტორიდან ამოღებული მოხმარებული ელექტროენერგიის საფასური უნდა შეადგენდეს შემოსავლების მნიშვნელოვან წყაროს ელექტროენერგეტიკული სექტორისათვის, რომლითაც უნდა იფარებოდეს დარგის ფუნქციონირებისათვის საჭირო ყოველწლიური დანახარჯები და იქმნებოდეს სახელმწიფო ბიუჯეტში შენატანების უწყვეტი ნაკადი. ეს ასე არ ხდება;
- ⇒ სახელმწიფო დაქვემდებარების ენერგეტიკული საწარმოების მართვა ხორციელდება არაკვალიფიციურად - ხშირია საკადრო ცვლილებები საწარმოთა მართველობებში; ხშირია მოსამსახურეთა გაფიცვები; საწარმოების მუშაუნარიანობა შენარჩუნებულია ხელოვნურად; გაკოტრების კანონის ამოქმედების შემთხვევაში ეს საწარმოები მყისვე გაკოტრდებოდნენ;
- ⇒ ენერგორესურსებსა და ენერგომომსახურებაზე ფასწარმოქმნის არსებული მეთოდოლოგია, ასევე ტარიფების რეგულირებაში გამოყენებული მიდგომები, ქვეყანაში ამჟამად არსებული გადახდისუნარიანობის დონე და საგადასახადო ურთიერთობების რეჟიმი, პირდაპირი კონგრაქტებით მუშაობის შეზღუდული უფლებები და ტექნიკური შესაძლებლობები, ასევე ენერგოსისტემის ცალკეული რგოლების მართვისა და ჯამური ურთიერთქმედების ხარისხი ქვეყნის უმეტეს ტერიტორიაზე ვერ უზრუნველყოფენ ურთიერთმისაღები და შედეგიანი დამოკიდებულებების ჩამოყალიბებას ენერგოსისტემის სუბიექტებს შორის, რაც გამოიხატება მუდმივი არგადახდებით, ენერგეტიკული საწარმოების დავალიანების მრდითა და მათ მიერ წარმოებული პროდუქციის შემცირებით, დარგში მომუშავე სპეციალისტებისადმი პერმანენტული სახელფასო დავალიანებებით, ასევე ქვეყნის ენერგომრუნველყოფაში სტაბილურად არსებული შეფერხებებით და ა.შ.;
- ⇒ პრივატიზაციით მიღწეული შედეგები მიუთითებს იმაზე, რომ სახელმწიფომ ნაადრევად, მოსახლეობისათვის მინიმალური სოციალური გარანტიების შექმნამდე, მოიხსნა

ვალდებულებები და პასუხისმგებლობები ენერგეტიკული სექტორის ფუნქციონირებასა და განვითარებაზე და პრაქტიკულად განახორციელა ენერგეტიკის ღერეგულაცია, რაც მოითხოვს სამრეწველო საწარმოებისა და სოციალური ფენების გაცილებით უფრო მაღალ მზადყოფნას, ვიდრე ამას ამჟამად აქვს ადგილი ჩვენს ქვეყანაში;

- ⇒ ამკარაა, რომ სახელმწიფო ფინანსურ და ეკონომიკურ სამსახურებს არა აქვთ შესწავლილი ქვეყნის ენერგობაზარი. მათ არ იციან საქართველოს მოსახლეობის გადახდისუნარიანობის ნამდვილი სურათი და საგარიფო პოლიტიკის შემუშავების საკითხს უდგებიან ფორმალურად (უპასუხისმგებლოდ) ან შეგნებულად ამყარებენ იმედებს მოსახლეობის ჩრდილოვანი შემოსავლების არსებობაზე, რითაც ეწვეიან ჩრდილოვანი ეკონომიკისა და კორუფციის წახალისებას, ასევე, საფუძველშივე იწვევენ უნდობლობას და უარყოფით დამოკიდებულებას მოსახლეობის მხრიდან;
- ⇒ მართვის სისტემის კორუმპირებულობის მაღალი დონე და დაბალი პროფესიონალიზმი, ასევე მნობრივ-მორალური ნორმების ნიველირება მოსახლეობაში იწვევს უნდობლობას და უშედეგოს ხდის ნებისმიერ რეფორმას;
- ⇒ ბოლო ხუთი წლის განმავლობაში ელექტროენერჯისა და სხვა ენერგორესურსებზე გარიფების მნიშვნელოვანი ზრდა უკავშირდება საქართველოს ენერგეტიკულ სექტორში პრივატიზაციისა და რესტრუქტურირების პროცესების დაწყებას. ელექტროენერჯის გარიფის ზრდა ასევე უკავშირდება საერთაშორისო სავალუტო ფონდის მოთხოვნას, რომლის თანახმადაც, ყოველი მიმდინარე წლის განმავლობაში დაგროვილი მოსახლეობის დავალიანება აუცილებელია შეგანილ იქნეს ყოველი მომდევნო წლის გარიფში;
- ⇒ საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის (სემეკ) როლი გარიფების განსაზღვრაში არის მინიმალური. ის მოკლებულია კვალიფიციური საექსპერტო შეფასებებისა და რევიზიის ჩაგარების შესაძლებლობებს და შემოიფარგლება ლიცენზიანტების მიერ წარდგენილი გარიფების დამტკიცებით. მიმდინარე ეტაპზე არ ჩანს საფუძველი ვიფიქროთ, რომ ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისია საკმარისად ფლობს, არეგულირებს და მართავს სიტუაციას;
- ⇒ ამჟამად საქართველოში მოქმედებს ელექტროენერჯის სრულ ღირებულებაზე დამყარებული გარიფი, რომელმაც აზრი დაკარგა სექტორის საწარმოთა უდიდესი ნაწილისათვის, ვინაიდან აღნიშნული გარიფით რეალურად გადახდილი თანხების რაოდენობა მინიმალურადაც არ შეესაბამება დანახარჯებს. მოქმედი გარიფი არ შეესაბამება მიმდინარე მდგომარეობას;
- ⇒ შეფასებითმა გაანგარიშებებმა აჩვენა, რომ საქართველოში ამჟამად არსებული ელექტროენერჯის გარიფის ოპტიმიზაციის (შემცირების) გზით შესაძლებელია მოხმარებული ელექტროენერჯის საფასურის გადახდის მოცულობის 1.5-2-ჯერ გადიდება. ეს მოხდება ელექტროენერჯის საფასურის გადამხდელი მოსახლეობის წრის გაფართოების ხარჯზე – გადამხდელ ფენებს დაემატება კიდევ ორი – საშუალო და ღარიბი სოციალური ფენა.

## შეფასებები

ქვემოთ მოყვანილი შეფასებები შესაძლებელია იყოს მკვეთრი ხასიათის, მაგრამ, ეს არ უნდა ჩაითვალოს გადაჭარბებულ სიმკაცრედ. საქმის ინტერესებიდან გამომდინარე, ავგორები შეგნებულად უთმობენ ნაკლებ ყურადღებას ენერგეტიკულ სექტორში მიღწეულ დადებით შედეგებს, რომლებიც უდაოდ არსებობს. მათი აზრით უფრო აქტუალურია ყურადღების გამახვილება იმ უარყოფით მომენტებზე, რომელთა გადაწყვეტაც გადაუდებლად აუცილებელი შემდგომ ეტაპებზე.

რამდენადაა მიღწეული მოცემულ ეტაპზე ის მიზნები, რომელსაც ისახავდა ენერგეტიკის სექტორის რესტრუქტურირება. შ.1 ცხრილში მოცემულია ავგორთა შეფასებები აღნიშნულთან დაკავშირებით.

შ.2 ცხრილში მოცემულია იმ შედეგების შეფასებები, რომლებიც უნდა ყოფილიყო მიღებული საქართველოს ენერგეტიკულ სექტორში ენერგეტიკის დამოუკიდებელი მარეგულირებელი ეროვნული კომისიის ხელშეწყობით, ასევე რესტრუქტურირებისა და პრივატიზაციის განხორციელებით.

შ.3 ცხრილში მოცემულია პასუხები იმ შეკითხვებზე, რომლითაც, როგორც ეს ნაშრომის შესავალში იყო აღნიშნული, უნდა გამოვლინდეს საქართველოს ენერგეტიკულ სექტორში 1996-2002 წლებში ჩატარებული სტრუქტურული ცვლილებების სოციალურ-ეკონომიკური ეფექტიანობა.

ცხრილი შ.1 ენერგეტიკის სექტორის სტრუქტურული რეორგანიზაციის მიზნები და მიმდინარე ეტაპზე მიღწეული შედეგების შეფასება

| მიზანი  | შედეგის შეფასება   |
|---|--|
| <ul style="list-style-type: none"> <li>▪ რაციონალური სახელმწიფო პოლიტიკის გაგარება, რეგულირების ფუნქციებისა და კომერციული საქმიანობის გამიჯვნა</li> </ul>   | <ul style="list-style-type: none"> <li>▪ რაციონალური სახელმწიფო პოლიტიკა, თუ ვიმსჯელებთ შედეგების მიხედვით, ვერ გაგარდა</li> <li>▪ განხორციელდა რეგულირების ფუნქციების გამიჯვნა კომერციული საქმიანობისაგან</li> </ul>  |
| <ul style="list-style-type: none"> <li>▪ სახელმწიფო მონოპოლიის ეტაპობრივი ლიკვიდაცია</li> <li>▪ საკუთრების მრავალფეროვნების დამკვიდრება</li> <li>▪ კონკურენტული გარემოს შექმნა, გამჭვირვალე ბაზრის ჩამოყალიბება</li> <li>▪ უცხოური ინვესტიციების მოზიდვა</li> </ul> | <ul style="list-style-type: none"> <li>▪ სახელმწიფო მონოპოლიის ლიკვიდაცია განხორციელდა ნაწილობრივ</li> <li>▪ დამკვიდრდა საკუთრების სხვადასხვა ფორმები. მაგრამ, სააქციო საზოგადოებების ქონებას ჯერ კიდევ განაგებენ სახელმწიფო სტრუქტურები</li> <li>▪ კონკურენტული გარემო ვერ შეიქმნა; ვერ ჩამოყალიბდა გამჭვირვალე ბაზარი</li> <li>▪ სექტორში შემოვიდა სტრატეგიული ინვესტორი შ-კორპორაცია; სხვა ინვესტიციები არ განხორციელებულა</li> </ul> |
| <ul style="list-style-type: none"> <li>▪ ელექტროენერჯის მიწოდების გაუმჯობესება</li> <li>▪ ელექტროენერჯეტიკის სექტორში დეფიციტის შემცირება</li> </ul>  | <ul style="list-style-type: none"> <li>▪ ელექტროენერჯის მიწოდება გაუმჯობესდა თბილისში, თუმცა არასაკმარისად. უმნიშვნელოდ გაუმჯობესდა ელექტროენერჯის მიწოდება რეგიონებში</li> <li>▪ სექტორში ელექტროწარმოების დეფიციტი ისევ არსებობს</li> </ul>  |
| <ul style="list-style-type: none"> <li>▪ ელექტროენერჯეტიკის სექტორში წარმოების გაზრდა</li> <li>▪ მისი ეფექტურობის ამაღლება</li> <li>▪ საფინანსო დისციპლინის დაცვა</li> <li>▪ ელექტროენერჯის მომხმარებლისათვის მომსახურების გაუმჯობესება</li> </ul>                  | <ul style="list-style-type: none"> <li>▪ ელექტროენერჯის წარმოება არათუ გაიზარდა, არამედ შემცირდა</li> <li>▪ ვერ ამაღლდა ელექტროენერჯის წარმოების ეფექტურობა</li> <li>▪ ვერ დამყარდა სათანადო დისციპლინა საფინანსო სექტორში</li> <li>▪ ელექტროენერჯის მომხმარებლისათვის მომსახურება გაუმჯობესდა ნაწილობრივ (ქ. თბილისში)</li> </ul>   |
| <ul style="list-style-type: none"> <li>▪ ელექტროენერჯის მუდმივი მიწოდების უზრუნველყოფა</li> </ul>   | <ul style="list-style-type: none"> <li>▪ არ არის უზრუნველყოფილი ელექტროენერჯის მუდმივი მიწოდება</li> </ul>   |

|   |  |
|---|--|
| <ul style="list-style-type: none"> <li>▪ კომპანიების მოგების ზრდა</li> <li>▪ ენერგეტიკული სისტემის ტექნიკური მდგომარეობისა და მართვის გაუმჯობესება</li> </ul> | <p>მომხმარებლისათვის. ამ მხრივ მდგომარეობა 2003 წელს მნიშვნელოვნად გაუარესდა</p> <ul style="list-style-type: none"> <li>▪ ვერ მოხერხდა ენერგოკომპანიების გადაყვანა მომგებიანი მუშაობის რეჟიმში</li> <li>▪ ენერგეტიკული სისტემის ტექნიკური მდგომარეობა პრაქტიკულად არ გაუმჯობესებულა; არ გაუმჯობესდა მართვა; კვლავაც არსებობს გაფიცვები და სახელფასო დავალიანებები</li> </ul> |
|---|--|

ცხრილი შ.2. შეფასებები შედეგებისა, რომლებიც უნდა ყოფილიყო მიღებული საქართველოს ენერგეტიკულ სექტორში დამოუკიდებელი მარეგულირებელი ეროვნული კომისიის ხელშეწყობით, ასევე რესტრუქტურისა და პრივატიზაციის განხორციელებით.

| მოსალოდნელი შედეგი  | მიღებული შედეგის შეფასება  |
|---|--|
| <ul style="list-style-type: none"> <li>▪ ძლიერდება რეგულირების პროცესი, საზოგადოება ხდება მაქსიმალურად პრივილეგირებული, წესდება მინიმალური გადასახადები ენერგეტიკული დარგის – როგორც ბუნებრივი მონოპოლიის არსებობის პირობებში და იზრდება სამართლიანობის რწმენა საზოგადოებაში</li> </ul> | <ul style="list-style-type: none"> <li>▪ როგორც ამას აჩვენებს სოციოლოგიური გამოკვლევის შედეგები, საზოგადოება არ მიიჩნევს თავს პრივილეგირებულად ენერგოუმრუნველყოფის შექმნილ სიტუაციაში</li> </ul>   |
| <ul style="list-style-type: none"> <li>▪ იზრდება დადებითი გავლენა ენერგეტიკის განვითარების ტემპებსა და მასშტაბებზე, ქვეყნის ენერგოუმრუნველყოფის ღონეზე, დარგში მიმდინარე მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესზე და ა.შ.</li> </ul>  | <ul style="list-style-type: none"> <li>▪ არ იგრძნობა ენერგეტიკის განვითარების ტემპებისა და მასშტაბების ზრდა, ასევე ქვეყნის ენერგოუმრუნველყოფის საიმედოობის ამაღლების ტენდენცია</li> </ul>  |
| <ul style="list-style-type: none"> <li>▪ მცირდება რისკი ინვესტორებისათვის, სტიმულირდება სექტორში კერძო ინვესტიციების განხორციელება, იზრდება ინვესტიციების სიდიდე, მიიღწევა საინვესტიციო კაპიტალის დაბალი გადასახადები და დაბალი ფასები მომხმარებლისათვის</li> </ul>                     | <ul style="list-style-type: none"> <li>▪ ფაქტიურად ერთ, 2000 წლისათვის მიღწეულ ღონეზე შეჩერდა ენერგეტიკაში კერძო ინვესტიციებისა და ინვესტორების შემოსვლის პროცესი</li> </ul>   |
| <ul style="list-style-type: none"> <li>▪ მაღლდება ელექტროენერჯით და ბუნებრივი გაზით სარგებლობის საფასურის გადახდის შესაძლებლობა, საფუძველი ეყრება დარგის თვითდაფინანსებას</li> </ul>  | <ul style="list-style-type: none"> <li>▪ ვერ მარაგდება ელექტროსადგურები მარაგნაწილებით და ვერ გარდება შეკეთების სამუშაოები</li> <li>▪ ვერ ხერხდება თბოელექტროსადგურების სათბობით უზრუნველყოფა</li> <li>▪ რთული დარჩა დარგში მოქმედი ძირითადი ფონდების მდგომარეობა. შემცირების ნაცვლად, თანდათან იზრდება სექტორის ვალები</li> <li>▪ ვერ ამაღლდა დარგის საწარმოების თვითდაფინანსების პოტენციალი, რასაც ადასტურებს სახელფასო დავალიანებებისა და სახელმწიფო სუბსიდირების კვლავაც არსებობა</li> </ul> |
| <ul style="list-style-type: none"> <li>▪ უმჯობესდება ელექტროენერჯის ხარისხი და იზრდება მისი რაოდენობა</li> </ul>  | <ul style="list-style-type: none"> <li>▪ შემცირდა ელექტროენერჯის წარმოების მასშტაბები - თბილსრესის კუთვნილი ენერგობლოკები და თბილისის თეცი სრულად გაჩერდა. ენერგომომარაგების ხარისხი არ გაუმჯობესდა</li> </ul>   |
| <ul style="list-style-type: none"> <li>▪ მოწოდებული ენერჯის ღირებულების სრულმა გადახდამ დადებითი გავლენა იქონია ენერგეტიკის სხვა დარგებზეც</li> </ul>   | <ul style="list-style-type: none"> <li>▪ არ ხდება ელექტროენერჯის საფასურის სრულად გადახდა/ამოღება</li> </ul>   |

ცხრილი შ.3 საქართველოს ენერგეტიკულ სექტორში 1996-2002 წლებში ჩატარებული სტრუქტურული ცვლილებების გავლენა მოსახლეობის ეკონომიკურ და სოციალურ მდგომარეობაზე

| შეკითხვა  | შეფასება  |
|---|---|
| <ul style="list-style-type: none"> <li>რამდენად ოპტიმალური და თანამიმდევრული იყო ენერგეტიკულ სექტორში ჩატარებული სტრუქტურული ცვლილებები</li> </ul>  | <ul style="list-style-type: none"> <li>საქართველოს ენერგეტიკულ სექტორში განხორციელებული სტრუქტურული ცვლილებების ქრონოლოგია გვიჩვენებს, რომ ცვლილებები არ იყო თანამიმდევრული და ატარებდა სპონტანურ ხასიათს, განსაკუთრებით რეფორმების საწყის ეტაპზე (1992-96 წწ.). რესტრუქტურების პროცესში აშკარაა უწყებრივი ინტერესების პრივალირება. არცერთი "ახალი" ნაბიჯი არ ემყარებოდა "ძველი" ნაბიჯების შედეგების კრიტიკულ ანალიზს და, ამდენად, შორს იყო ოპტიმალური ვარიანტისაგან</li> </ul>   |
| <ul style="list-style-type: none"> <li>როგორ შეიცვალა ენერგიაზე მოსახლეობის ხელმისაწვდომობა სტრუქტურული ცვლილებების განხორციელების შემდეგ</li> </ul>  | <ul style="list-style-type: none"> <li>უკანასკნელ პერიოდში ფასების მკვეთრი გადიდების გამო მნიშვნელოვნად შემცირდა მოსახლეობის ხელმისაწვდომობა ენერგორესურსებზე. აღნიშნულის შედეგად მოსახლეობის ენერგეტიკული კომფორტულობის დონე ნორმატიულთან შედარებით შემცირდა 30-50%-ით, რაც უარყოფითად მოქმედებს ადამიანების ჯანმრთელობის მდგომარეობაზე</li> </ul>   |
| <ul style="list-style-type: none"> <li>როგორ შეიცვალა მოხმარება და გარიჟები ელექტროენერგიაზე, ბუნებრივ აირზე და სხვა ენერგეტიკულ რესურსებზე</li> </ul>  | <ul style="list-style-type: none"> <li>ელექტროენერჯის მოხმარება შემცირდა ~2.3-ჯერ 1990 წლის მოხმარებასთან შედარებით; გარიჟი გაიზარდა ~3-ჯერ 1997 წლის გარიჟთან შედარებით</li> <li>ბუნებრივი აირის მოხმარება შემცირდა ~3.5-ჯერ 1989 წლის მოხმარებასთან შედარებით; გარიჟი გაიზარდა 2-ჯერ 1997 წლის გარიჟთან შედარებით</li> <li>თხევადი აირის მოხმარება შემცირდა ~10-ჯერ 1985 წლის მოხმარებასთან შედარებით; გარიჟი გაიზარდა ~12-ჯერ იგივე პერიოდის გარიჟთან შედარებით</li> </ul>   |
| <ul style="list-style-type: none"> <li>რამდენად გაუმჯობესდა ენერგეტიკული რესურსებით მოსახლეობის უზრუნველყოფის ტექნიკური პირობები</li> </ul>   | <ul style="list-style-type: none"> <li>ენერგეტიკული რესურსებით მოსახლეობის უზრუნველყოფის ტექნიკური პირობები გაუმჯობესდა (ხშირია მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზების დაზიანებები; ხშირია შ - მგკვრის №9 ენერგობლოკის გაჩერებები, მათ შორის ტექნიკური მიზეზებით; ოფიციალური ინფორმაციით ავარიულია ბუნებრივი გაზის მანაწილებელი ქსელის მდგომარეობა და სხვ.)</li> </ul>  |
| <ul style="list-style-type: none"> <li>რამდენად შეესაბამება მოსახლეობის შემოსავლები იმ გადასახადებს, რომელიც მან უნდა გაიღოს სასიცოცხლო (მინიმალური) ენერგეტიკული მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად</li> <li>როგორია მოსახლეობის საოჯახო ბიუჯეტის განაწილების პრიორიტეტები (კვება, მკურნალობა, ენერგოუზრუნველყოფა, დასვენება)</li> <li>ხომ არ გახდა მოსახლეობა იძულებული თავი აარიდოს ენერგეტიკული მომსახურების საფასურის გადახდას</li> </ul> | <ul style="list-style-type: none"> <li>საქართველოს მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობისათვის ყოველთვიური სახელფასო შემოსავალი 2.5-ჯერ ნაკლებია საარსებო მინიმუმთან შედარებით</li> <li>ყველაზე იაფი ენერგორესურსების მოხმარების შემთხვევაშიც კი პოტენციური ენერგოდანახარჯები მოსახლეობის უდიდესი ნაწილისათვის შეადგენს მათი სახელფასო შემოსავლების 25-50%. ეს კვებისათვის საჭირო თანხებთან (საარსებო მინიმუმთან) ერთად მნიშვნელოვნად აღემატება მათ წოველწლიურ შემოსავლებს</li> <li>შექმნილი სოციალურ-ეკონომიკური პირობები</li> </ul> |

|  |  |
|--|--|
|  | <p>და ფსიქოლოგიურ-ზნეობრივი გარემო არ იძლევა იმის საფუძველს, რომ მოხდეს მოხმარებული ელექტროენერჯისა და სხვა ენერგორესურსების საფასურის სრულყოფილი გადახდა.</p>   |
| <p>▪ როგორია მოსახლეობის ენერგოდავალიანების მდგომარეობა სტრუქტურული ცვლილებების შემდეგ</p>   | <p>ობიექტური ინფორმაცია მოსახლეობის ენერგოდავალიანების შესახებ არაა ხელმისაწვდომი (სავარაუდოა, რომ ის არც არსებობს)</p>  |
| <p>▪ როგორ შეიცვალა მოსახლეობის ენერგოუმრუნველყოფის დონე. რამდენადაა ის გარანტირებული დაიკმაყოფილოს საყოფაცხოვრებო ენერგეტიკული მოთხოვნების მინიმუმი</p>   | <p>▪ საქართველოს მოსახლეობის ~80-85%-ის ენერგომომხმარება ნაკლებია ან უკოლდება სასიცოცხლო მინიმუმს. ამასთან, ენერგოუმრუნველყოფის გარანტიები მინიმალურია. მოსახლეობის მდგომარეობა ემიჯნება სოციალური აფეთქების საშიშროებას</p> |
| <p>▪ როგორ შეიცვალა სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები ენერგეტიკული სექტორიდან სტრუქტურული ცვლილებების განხორციელების შემდეგ და რამდენად გაუმჯობესდა/გაუარესდა მოსახლეობის სოციალური დაცვის მდგომარეობა</p> | <p>▪ ეს ინფორმაცია ჯერ-ჯერობით არ ფიქსირდება</p>   |

## რეკომენდაციები

- ⇒ საქართველოს ენერგეტიკულ სექტორში უკვე განხორციელებული და ამჟამად მიმდინარე ცვლილებების ეფექტიანობის შეფასებისათვის აუცილებელია პროცესებზე უწყვეტი და ობიექტური დაკვირვება და შედეგების პერმანენტული ანალიზი. ამისათვის აუცილებელია სათანადო პირობების უზრუნველყოფა ოფიციალურ ინფორმაციებზე ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით
- ⇒ ქვეყნის ელექტროენერჯით საიმედო მომარაგებისათვის აუცილებელია თბილსრესის ენერგობლოკების მომზადება და რაციონალური მასშტაბით გამოყენება დაგვირთვის ბაზისურ ნაწილში. ავგორთა აზრით საქართველოს საიმედო ელექტრომომარაგების სხვა ალტერნატივა უახლოეს პერიოდში არ არსებობს.
- ⇒ მიმდინარე ეტაპზე საქართველოს ელექტროენერგეტიკულ სექტორში მინიმალური ღირებულების სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარების გზით შესაძლებელია შეიქმნას საიმედო ტექნიკური პირობები იმისათვის, რომ რამოდენიმე მომდევნო წლის განმავლობაში საქართველოში არსებული “ელექტრომოთხოვნილება” დაკმაყოფილებულ იქნეს საქართველოშივე წარმოებული ელექტროენერჯით. ეს მნიშვნელოვნად აამაღლებს ქვეყნის ენერგეტიკული დამოუკიდებლობისა და უსაფრთხოების დონეს
- ⇒ აუცილებელია დაზუსტდეს ელექტროენერჯის ადგილობრივი გამოუმუშავების თვითღირებულება, რაც შექმნის ოპტიმალური გადაწყვეტილების მიღების საფუძველს გენერაციის ობიექტების გრძელვადიანი გამოყენების, მოდერნიზაციისა და ელექტროენერჯის იმპორტ-ექსპორტის მასშტაბების შესახებ. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ღირსის სპეციალისტების დასაქმების და, შესაბამისად, მათი სოციალური პრობლემების დადებითად გადაწყვეტის თვალსაზრისით
- ⇒ სერიოზულ ცვლილებებს და დაზუსტებას საჭიროებს როგორც ტარიფების დადგენის მეთოდოლოგია, ისე ბოგადად საგარიფო პოლიტიკა. მეთოდოლოგიის თვალსაზრისით აუცილებელია ელექტროენერჯის ტარიფში ფონდამოგებისა და საამორტიზაციო დანარიცხების კომპონენტების რევიზია. საგარიფო პოლიტიკის მხრივ კი მკაფიოდ უნდა განისაზღვროს ქვეყნის ორიენტირები - ელექტროენერჯით გარე ვაჭრობა თუ შიგა მომხმარებლის უზრუნველყოფა, სექტორში დამატებითი კაპიტალის მოზიდვა თუ არსებული რესურსების უფრო ეფექტურად ამუშავება, პრივატიზაცია თუ საზოგადოებრივი საწარმოების ჩამოყალიბება და ა.შ.
- ⇒ აუცილებელია საქართველოში ენერგოეფექტურობის პოტენციალების შემდგომი გამოვლენა და გამოყენება. ეს წარმოადგენს მნიშვნელოვან რესურსს ქვეყანაში ენერგეტიკული მდგომარეობისა და თოთოეული მოქალაქის ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისათვის
- ⇒ საჭიროა ენერგეტიკული საწარმოების ფონდების აუდიტორული გადაფასება დასავლური სტანდარტების შესაბამისად, მათი ვალების გადავადება, ენერგოსისტემის სუბიექტებს შორის ახალი ურთიერთობების დაწყება ნულოვანი ფინანსური კოორდინაციიდან და გაკოტრების კანონის ამოქმედება

## დანართი

### მოსახლეობის მიერ ენერგორესურსების მოხმარების საკითხებთან დაკავშირებული თვისობრივი კვლევის ანგარიში

დანართის შინაარსი:

#### I ტექნიკური ინფორმაცია

#### II ძირითადი მიგნებები

#### III ანგარიშის ძირითადი ნაწილი

- საცხოვრებელი ბინის გათბობის ხარისხი (მოცვა) და გათბობის არჩეული ფორმა
- რით ათბობდნენ რესპონდენტები ბინას წინა წლებში
- რით ათბობენ ბინას, თუკი არა აქვთ გათბობის მთავარი/პრიორიტეტული ფორმა (პირველი ალტერნატივა)
- რა მოწყობილობას იყენებენ ბინის/სახლის გასათბობად
- თავისუფალი არჩევანის შემთხვევაში რით გაათბობდნენ სახლს
- რას იყენებენ რესპონდენტები სამზარეულოში საჭმლის მოსამზადებლად
- გამრიცხველიანების მდგომარეობა რესპონდენტთა ბინებში
- ელექტროენერჯის მიწოდება დღეში
- გადახდის ფორმები
- ბუნებრივი აირის გადახდის ფორმები
- რესპონდენტების მიერ დასახელებული ელექტროენერჯისა და გაზის გადასახადის ოდენობა
- რესპონდენტთა მოსაზრებები კითხვაზე – ბოლო ორი-სამი წლის განმავლობაში გაუმჯობესდა თუ გაუარესდა ელექტროენერჯით მომარაგება



## I ტექნიკური ინფორმაცია

კვლევისათვის გამოყენებული იყო თვისობრივი კვლევის – ჩალრმავებული ინტერვიუების მეთოდი

გამოკითხულ იქნა 30 რესპონდენტი

### რესპონდენტების შერჩევის კრიტერიუმები

რესპონდენტთა გადანაწილება ოჯახური შემოსავლის მიხედვით:

- 11 რესპონდენტი, რომლის ოჯახური შემოსავალი შეადგენს 100-200 ლარს
- 11 რესპონდენტი, რომლის ოჯახური შემოსავალი შეადგენს 200-500 ლარს
- 8 რესპონდენტი, რომლის ოჯახური შემოსავალი შეადგენს 500 ლარს და მეტს

რესპონდენტთა შერჩევისას გათვალისწინებული იყო კომუნალური პირობები, კერძოდ:

- რესპონდენტთა საერთო რაოდენობიდან ნაწილის (5 რესპონდენტი) საცხოვრებელი ბინა არ იყო გაბიფიცირებული;
- რესპონდენტთა ნაწილის (7 რესპონდენტი) საცხოვრებელ ბინებში „AES თელასის“ მიერ არ იყო გაგანილი ელექტროენერჯის მრიცხველი.

კვლევის ჩატარების ადგილი: თბილისი, რესპონდენტთა საცხოვრებელი ბინები

თითოეული ინტერვიუს დაახლოებითი ხანგრძლივობა შეადგენდა 90 წუთს.

## II ძირითადი მიგნებები

ნიმანდობლივია, რომ დაბალშემოსავლიანი რესპონდენტების ხარჯვის სტრუქტურაში გადასახადების პროცენტული მაჩვენებელი საგრძნობლად მეტია, ვიდრე მაღალშემოსავლიან რესპონდენტებთან. **გადასახადების გადახდა პრიორიტეტულია ოჯახის ბიუჯეტის დაგეგმვის დროს.** რამდენადაც შემოსავლის სიმცირის გამო, თანხა არ არის საკმარისი ყველა აუცილებელი ხარჯისათვის, ინტერვიუებიდან ჩანს, რომ როგორც წესი, შემცირებულია შემდეგი ხარჯები: გრანსპორტის, განათლების, საკვების და განსაცმლის შესაძენი თანხები. რესპონდენტების ნაწილი აღნიშნავს, რომ კვების პროდუქტებიდან შემცირებულია ან საერთოდ არის ამოღებული ხორცი, ხორცის ნაწარმი და რძის მოვითი პროდუქტი. საერთოდ არის ამოღებული გართობა, დასვენებისათვის აუცილებელი ხარჯები.

ამავე დროს რესპონდენტების მიერ ძალიან მკაცრად კონტროლდება (მრიცხველის ჩვენების მიხედვით) ელექტროენერჯის ხარჯვა, იმისათვის, რომ დანახარჯი არ აღემატებოდეს გადახდის შესაძლებლობას.

თითქმის ყველა რესპონდენტი აღნიშნავს, რომ ელექტროენერჯის გადასახადის გადახდა ურჩევნია მრიცხველის ჩვენების მიხედვით, რადგან შეეძლოს საკუთარი ბიუჯეტის დაგეგმვა და ხარჯვის მკაცრი კონტროლი.

რესპონდენტთა აზრით, ყველა ოჯახს აქვს ელექტროენერჯის საჭიროების თავისი მაჩვენებლები (მინიმალური მოთხოვნილების რაოდენობა), თუ ფიქსირებული გადასახადის ოდენობა ნაკლებია ან უტოლდება მინიმალური დანახარჯის ღირებულებას, მაშინ მომხმარებლისათვის მომგებიანია. ყველა შემთხვევაში, ოჯახი, რომელიც იხდის ფიქსირებულ გადასახადს, ხარჯავს საკუთარ მინიმალურ საჭიროებაზე მეტს.

რესპონდენტები გამოდიან პრინციპით, რომ მომხმარებელმა უნდა გადაიხადოს იმდენი ან ნაკლები რასაც ელექტროენერჯის ეკონომიური მოხმარების შემთხვევაში იხდია.

საშუალო და დაბალშემოსავლიანი რესპონდენტები გამოკითხული რესპონდენტების უმეტესობის საცხოვრებელი ბინა თბება მხოლოდ ნაწილობრივ – ფართის ნახევარზე ნაკლები, ძირითადად ერთი ოთახი.

**ყველა რესპონდენტმა გათბობის საუკეთესო საშუალებად აღიარა ან ცენტრალიზებული გათბობა ან ელექტროგათბობლებით ბინის გათბობა.**

**ბუნებრივი აირის გასათბობად გამოყენება ყველაზე იაფი და კომფორტული გათბობის საშუალებაა.**

რესპონდენტების ნაწილის აზრით, გათბობის სხვა ფორმების გამოყენება (ნავთი, ელექტროენერჯია) არ იძლეოდა მთელი ბინის ან ყოველ შემთხვევაში დიდი ფართის გათბობის შესაძლებლობას, ბუნებრივი აირის „სიაფი“ შესაძლებლობას იძლევა უფრო დიდი ფართის ნაკლები ხარჯით გათბობას.

„გათბობის ასეთი ფორმის არჩევა პირველ რიგში განაპირობა ფასმა – უფრო იაფია ვიდრე ელექტროენერჯია და ნავთი. გათბობის ასეთი ეფექტი ელექტროგათბობლებით, რომ მიიღო ალბათ 5 გამათბობელი მაინც უნდა ჩართო, ეს კი ოჯახის ბიუჯეტის დაქვევის გოლფასია“.

„იგივე სიტბოს მისაღწევად დღის განმავლობაში 3 ლარის ნავთი გვჭირდება, მაშინ, როდესაც გამს ბევრად ნაკლებს ვწვავთ, თანაც ბინა უფრო დიდ ხანს ინარჩუნებს სიტბოს“.

რესპონდენტთა საკმაოდ დიდი ნაწილი, იმ პერიოდებში როდესაც ბუნებრივი აირი არ მიეწოდებათ, ბინას არ ათბობენ. ისინი ვერ იძენენ ნავთს, თანხის უქონლობის გამო და ვერ რთავენ ელექტროგათბობლებს, ელექტროენერჯის სიმცირის გამო (ამავე დროს რესპონდენტთა უმეტესობა მუსტად იხდის ელექტროენერჯის მრიცხველის მიერ დაწერილ გადასახადს).

„თუ გაუსაძლისი ყინვებია, მხოლოდ მაშინ ვრთავ ელექტროგათბობლებს, სხვა შემთხვევაში მაქსიმალურად ვიკავებ თავს მისი გამოყენებისაგან, თუ რაღაც გამოუვალი სიტუაცია არ არის, მაგალითად ბავშვის ავადმყოფობა“

19 რესპონდენტი არ იყენებს არანაირ წყლის გამათბობელ საშუალებას ჭურჭელის რეცხვისათვის (ჭურჭელს რეცხავს ცივ წყალში, ან აცხელებს წყალს გაზის ქურაზე), ძალიან ეკონომიურად მოიხმარენ ელექტროენერგიას სხვა დანიშნულებითაც (მაგალითად დასაბანად, რეცხვისათვის და სხვა)

მაღალშემოსავლიანი რესპონდენტები, როგორც კვლევიდან ჩანს გადასახადებზე იხდიან თავისი შემოსავლის შედარებით ნაკლებ ნაწილს. მათთვის გადასახადის არსებული რაოდენობის გადახდა პრობლემას არ წარმოადგენს.

**რესპონდენტების დიდი ნაწილის მოსაზრებით, დღევანდელი სოციალური პირობების გათვალისწინებით, ელექტროენერგიის თვიური ფიქსირებული გადასახადი არ უნდა აღემატებოდეს 15-20 ლარს.**

დაბალშემოსავლიანი რესპონდენტების უმეტესობის აზრით, რეალურად მათ შეუძლიათ ელექტროენერგიის გადასახადში დაახლოებით 10 ლარის გადახდა, რაც რესპონდენტთა დიდი ნაწილისათვის ასევე საკმაოდ დიდი თანხაა.

რესპონდენტების ნაწილის შემთხვევაში თანხების სხვადასხვა ხარჯებზე გადანაწილება არ ემთხვევა მათ მიერ დასახელებულ ოჯახის თვიურ შემოსავალს. რჩება შთაბეჭდილება, რომ ოჯახის საშუალო შემოსავალი გარკვეულწილად მეტია დასახელებულზე, ან სიგუაციის გასამძაფრებლად შეიმჩნევა გადასახადების რაოდენობის გადაფასების გენდენცია.

### III ანგარიშის ძირითადი ნაწილი

#### საცხოვრებელი ბინის გათბობის ხარისხი (მოცვა) და გათბობის არჩეული ფორმა

##### საცხოვრებელი ბინის გათბობის ხარისხი

გამოკითხული რესპონდენტების უმეტესობის საცხოვრებელი ბინა თბება მხოლოდ ნაწილობრივ ფართის ნახევარზე ნაკლები, ძირითადად ერთი ოთახი.

ამის მიზეზი რესპონდენტთა თქმით რამდენიმეა:

- რესპონდენტთაგან მხოლოდ მცირე ნაწილს (2 რესპონდენტი) აქვს ცენტრალიზებული გათბობის სისტემა. რესპონდენტთა დიდი ნაწილი, ბინას ათბობს ლოკალური გამათბობლებით, რომელსაც არ აქვს დიდი ფართის გათბობის ფუნქცია.
- რესპონდენტები, რომლებიც ბინას ათბობენ ელექტროენერჯის საშუალებით ცდილობენ დაზოგონ თანხა და გაათბონ ბინის მხოლოდ ის ნაწილი, სადაც დღის განმავლობაში საქმიანობენ.
- რესპონდენტების ნაწილს აქვს მიშენებული ფართი, რომელიც არ არის კეთილმოწყობილი და შესაბამისად ამ ფართის გათბობა არ არის მათთვის მიზანშეწონილი.
- რესპონდენტთა ნაწილს თხევადი აირით და ნავთის ფორმით ბინის გათბობა „არაჯანმრთელად“ მიაჩნიათ (ნაწილ რესპონდენტებს აქვთ ალერგიული რეაქცია 3) და როგორც თვითონ აღნიშნეს „ნამწვის სუნს სიცივე ურჩევნიათ“

##### გათბობის პრიორიტეტული და დამხმარე ფორმები

გათბობის მთავარი/პრიორიტეტული ფორმის არჩევა დამოკიდებულია ერთის მხრივ რესპონდენტთა ოჯახურ შემოსავალზე, მეორეს მხრივ კომუნალურ პირობებზე – არის თუ არა რესპონდენტთა ბინებში შეყვანილი ბუნებრივი აირი, რომელიც რესპონდენტთა უმეტესობის აზრით არსებულ სიგუჯიაში არის გათბობის საუკეთესო და იაფი საშუალება.

- ოცდაათი გამოკითხული რესპონდენტიდან 25 რესპონდენტის ბინაში არის შეყვანილი გაზი.
- 2 რესპონდენტის ოჯახს უსახსრობის გამო ბინაში ვერ შეჰყავს ბუნებრივი აირი (კორპუსი გაზიფიცირებულია) (ოჯახის თვიური შემოსავალი შეადგენს 100 ლარს, ოჯახი შედგება 2 წევრისაგან) მეორე რესპონდენტმა არ ისურვა ოჯახის საშუალო თვიური შემოსავლის დასახელება.
- 3 რესპონდენტის უბანი/კორპუსი არ არის გაზიფიცირებული, შესაბამისად, ბინაში არ არის შეყვანილი ბუნებრივი აირი. რესპონდენტთა ამ ნაწილის თქმით, ისინი დიდი სურვილი აქვთ/მზად არიან ბინაში შეიყვანონ ბუნებრივი აირი, როგორც კი უბანი/კორპუსი გექნიკურად გადაწყვეტს ამ პრობლემას.

რესპონდენტების უმეტესობა ბინის გასათბობად იყენებს გათბობის სხვადასხვა ფორმას: ბუნებრივ აირს, ნავთს, ელექტროენერჯიას. ამის ძირითად მიზეზად დასახელდა ბუნებრივი აირისა და ელექტროენერჯის მოწოდების პრობლემები.

მეორე მიზეზია – გაზითა და ნავთით ბინის გათბობის ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები. რესპონდენტთა უმეტესობა თვლის, რომ ელექტროენერჯით ბინის გათბობა არის ყველაზე ჯანმრთელი და ამავე დროს ყველაზე ძვირადღირებული გათბობის ფორმა. ჯანმრთელობის მოსაზრებების გამო, რესპონდენტების ნაწილი (2 რესპონდენტი) ცდილობს ბავშვების საძინებელი გაათბოს ელექტროენერჯით.

**ოცდარი რესპონდენტისათვის პრიორიტეტული ფორმაა ბინის ბუნებრივი აირით გათბობა.**

მათგან სამ რესპონდენტს აქვს გათბობის ცენტრალიზებული ფორმა („AGV“) (ოჯახის საშუალო თვიური შემოსავალი 970 ლარი, ოჯახი შედგება 6 წევრისაგან)

**ბუნებრივი აირით გათბობის არჩევა ყველა რესპონდენტისათვის განსაზღვრა გათბობის ამ ფორმის ეკონომიურობამ.**

რესპონდენტების ნაწილის აზრით, გათბობის სხვა ფორმების გამოყენება (ნავთი, ელექტროენერჯია) არ იძლეოდა მთელი ბინის ან ყოველ შემთხვევაში დიდი ფართის გათბობის შესაძლებლობას, ბუნებრივი აირის „სიიაფე“ შესაძლებლობას იძლევა უფრო დიდი ფართის ნაკლები ხარჯით გათბობას.

„გათბობის ასეთი ფორმის არჩევა პირველ რიგში განაპირობა ფასმა – უფრო იაფია ვიდრე ელექტროენერჯია და ნავთი. გათბობის ასეთი ეფექტი ელექტროგამათბობლებით, რომ მიიღო ალბათ 5 გამათბობელი მაინც უნდა ჩართო, ეს კი ოჯახის მიუჯერის დაქვევის გოლფასია“

„იგივე სიტბოს მისაღწევად დღის განმავლობაში 3 ლარის ნავთი გვჭირდება, მაშინ, როდესაც გამს ბევრად ნაკლებს ვწვავთ, თანაც ბინა უფრო დიდ ხანს ინარჩუნებს სიტბოს “

**ბუნებრივი აირით გათბობა უფრო „კომფორტულია“, რამდენადაც ელექტროენერჯიასთან შედარებით მოწოდება უფრო სტაბილურია.**

„ბუნებრივი აირი მოხმარების თვალსაზრისით უფრო კომფორტულია, თუნდაც იმიტომ, რომ ეკოლოგიურად უფრო სუფთაა, ამავე დროს არ გიწევს ყოველ მესამე დღეს მისი შეძენა, ერთი ჭურჭლიდან მეორეში გადასხმა. ამავე დროს ნავთის მოხმარება სახიფათოცაა – ნავთქურაში ასხია ადვილად აალებადი ნივთიერება და არ ხარ დაცული იმისგან რომ ბავშვი დაეჯახება და აალებდა. რაც მთავარია ბუნებრივი აირით გათბობა ნაკლები ჯდება, ეკონომიურია (ნავთით გათბობისას დღეში 5 ლიგრი ნავთი გვჭირდებოდა, გამის თანხაზე, რომ გადავიანგარიშე დაახლოებით ბუნებრივი აირი 3-ჯერ იაფი მაინც ჯდებოდა)“

**ბუნებრივი აირით ბინის გათბობა უფრო ეფექტურია**

რესპონდენტების თქმით „გამის ერთი გამათბობელი შესაძლებელია მთელი ბინის გათბობა, მაშინ, როდესაც ერთი ელექტროგამათბობელი ერთ ოთახსაც ძლივს ათბობს, ბინის გასათბობად სულ მცირე 4 ასეთი გამათბობელია საჭირო, რაც ერთის მხრივ სახიფათოა, მეორეს მხრივ ძალიან ძვირი ჯდება“

რესპონდენტებმა ბუნებრივი აირით გათბობა, დაიწყეს უშუალოდ მას მერე, რაც მოხდა კორპუსის გამიფიცირება. რამდენადაც ქალაქში სხვადასხვა უბნებსა და კორპუსებში ბუნებრივი აირის შეყვანა სხვადასხვა პერიოდში მოხდა, შესაბამისად რესპონდენტების მიერ დასახელებული დროის პერიოდები ვარიირებს 1-დან 4 წლამდე.

რესპონდენტების დიდი ნაწილი, ბუნებრივი აირის შეწყვეტის შემთხვევაში, ბინას ათბობს ნავთის გამათბობლებით ან ელექტროენერჯიით.

**ორი რესპონდენტისათვის პრიორიტეტული ფორმაა ელექტროენერჯიით ბინის გათბობა. ელექტროენერჯიით ბინის გათბობის მიზეზია ის, რომ კორპუსი არ არის გამიფიცირებული.**

პირველი რესპონდენტი თვლის, რომ მისი ოჯახი არ არის ელექტროენერჯიით გათბობის გადახდისუნარიანი (ოჯახური შემოსავალი 180 ლარი, ოჯახი შედგება 4 წევრისაგან). მკაცრი ეკონომიის პირობებშიც („ჭადის 6 ნათურიდან გვინთია მხოლოდ 2, ბინის 75 კმ ფართიდან თბება მხოლოდ 20კმ“) კი დახლოებით წვავს 40 ლარის ელექტროენერჯიას, იხდის მის მესამედს (10-15 ლარს), შესაბამისად „AES თელასი“ პერიოდულად უჭრის ელექტროენერჯიის მიწოდებას, რასაც ოჯახი „შემდეგ კონტროლამდე“ ყოველ ჯერზე თვითნებურად ადადგენს, რამდენადაც თვლის, რომ „სხვა გამოსავალი არ აქვს“.

მეორე რესპონდენტის აზრით, მას აქვს არჩევანი გაათბოს ბინა ნავთის გამათბობლით ან ელექტროენერჯიით, რაც დაახლოებით ერთნაირ ხარჯთან არის დაკავშირებული „თანაც ნავთით გათბობა მუდმივ პრობლემებთან არის დაკავშირებული – მოგანა, გადასხმა, არასასიამოვნო სუნი. . . “ რესპონდენტი სრულად იხდის დახარჯული ელექტროენერჯიის საფასურს (ზამთარში 100-120 ლარს, ზაფხულში 50-60 ლარს), რესპონდენტის თქმით, ელექტროენერჯიის გადასახადის

გადახდა მისი ოჯახისათვის პრობლემას არ წარმოადგენს (ოჯახური შემოსავალი 800-900 ლარი, ოჯახი შედგენა 6 წევრისაგან).

ერთი რესპონდენტი უსახსრობიდან გამომდინარე ბოლო 3-4 წელი ბინას საერთოდ არ ათბობს, „უფლი გათბობაზე კი არა საჭმელზეც კი არ გვეყოფნის“ (რესპონდენტის ოჯახური შემოსავალი 100 ლარი, ოჯახი შედგება 2 წევრისაგან)

### **რით ათბობდნენ რესპონდენტები ბინას წინა წლებში?**

რესპონდენტებმა გაიხსენეს პერიოდი, როდესაც თბილისის მოსახლეობას შეუწყდა ბუნებრივი აირის მიწოდება (1993-94 წლები).. რესპონდენტების ნაწილი (5 რესპონდენტი) ამ პერიოდში ბინას ათბობდნენ შუშის ფენით, რამდენადაც, როგორც თვითონ აღნიშნეს, ჯერ კიდევ არ იყო ქვეყანაში შემოგანილი ნავთის გამათბობლები.

რესპონდენტთა დიდი ნაწილი ამ პერიოდში ბინას ათბობდა „იმ იშვიათ შემთხვევებში, როდესაც ელექტროენერგია მიეწოდებოდათ“ ელექტროგამათბობლებით (ელექტროენერგიის უქონლობის შემთხვევაში, როგორც თვითონ აღნიშნეს, ბინა საერთოდ არ თბებოდა).

რესპონდენტთა უმეტესობა 1995 წლიდან დაახლოებით 1999 წლამდე ბინას ათბობდა ნავთის გამათბობლებით.

რესპონდენტთა საუბრიდან გამომდინარე, 1994 წლიდან დაახლოებით 2000 წლამდე („AES თელასის“ მიერ მრიცხველების დაყენებამდე), გათბობის ალტერნატიულ საშუალებებს შორის ელექტროენერგიას მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა, იმ პერიოდში ელექტროენერგია იყო გათბობის ყველაზე იაფი გზა, რამდენადაც არ იხდიდნენ გადასახადს (შესაბამისად გათბობის ნებისმიერი სხვა საშუალება უფრო ძვირი ჯდებოდა, ვიდრე ელექტროენერგია), ალტერნატიული გათბობის აუცილებლობის პირობას წარმოადგენდა ელექტროენერგიის ხშირი და ხანგრძლივი გათიშვები.

დაახლოებით 2000 წლის შემდეგ (რესპონდენტებმა გამრიცხველიანების სხვადასხვა თარიღი დაასახელეს) ელექტროენერგიის მოწოდება გაუმჯობესდა, მაგრამ ამავე დროს გადახდის აუცილებლობამ და ელექტროენერგიის გადასახადის სიძვირემ შექმნა გათბობის ალტერნატიული საშუალებების მოძებნის აუცილებლობა, რესპონდენტთა დიდი ნაწილისათვის (მასთან, ვისთანაც ბუნებრივი აირი ბინაში არის შეყვანილი) ეს არის ბუნებრივი აირი, რესპონდენტთა მეორე ნაწილისთვის ეს არის ნავთი, და მცირე ნაწილისთვის (3 რესპონდენტი) გათბობის ძირითად საშუალებად დარჩა ელექტროენერგია. ამ რესპონდენტთაგან 2 რესპონდენტი სარგებლობს შეღავათით (წელიწადში 800 კვ ელექტროენერგია მიეწოდებათ უფასოდ). ან უსახსრობის გამო საერთოდ არ თბებიან.

### **პერიოდულად ბინა არ თბება. . .**

რესპონდენტთა უმეტესობის (27 რესპონდენტი) ოჯახისათვის 1994 წლიდან მოყოლებული დღემდე იყო/არის პერიოდები, როდესაც ბინა არ თბება.

გამონაკლისს წარმოადგენს სამი რესპონდენტი, რომელთა თქმით, არ ყოფილა ისეთი პერიოდი, როდესაც ბინა საერთოდ არ თბებოდა, რაიმე საშუალებით ოჯახი ახერხებდა ბინის გათბობას. სამივე შემთხვევაში გათბობის პრობლემების დაძლევისადმი განსაკუთრებული ძალისხმევა გამოწვეული იყო ოჯახში მცირეწლოვანი ბავშვების არსებობით.

**„რადაცით ყოველთვის ვთბებოდით არ იყო დენი, იყო გაზი ან ნავთი, კრიტიკულ მომენტში შუშის ღუმელიც გამომიყენებია. ჩემი არჩევანი არ იყო ეკონომიური გათვლებით გამოწვეული, ყველა კონკრეტულ შემთხვევაში გათბობის ამა თუ იმ ფორმის არჩევა იძულებითი ნაბიჯი იყო.“**

- რესპონდენტების თქმით ამ მხრივ ყველაზე „რთული“ პერიოდი იყო 1994 წელი, როდესაც ქალაქის მოსახლეობას შეუწყდა ბუნებრივი აირის მიწოდება. რესპონდენტთა უმეტესობის თქმით, 1993-94 წლებში იყო ყველაზე ხანგრძლივი პერიოდი როდესაც ბინა არ თბებოდა.

„ამ პერიოდში ძნელი იყო გათბობის სხვა ფორმაზე გადასვლა, რამდენადაც ოჯახების უმეტესობას არც ფინანსურად არც ტექნიკურად არ ჰქონდა ამის საშუალება“ (სიგყვა

„ტექნიკურში“ რესპონდენტი გულისხმობს გამათბობელი საშუალებების შექმნას, რომელიც იმ პერიოდში „არ იმოგებოდა““

- **1994 წლიდან ბოლო დრომდე** თითქმის ყველა რესპონდენტისათვის იყო ხანმოკლე პერიოდები როდესაც ბინა არ თბებოდა.

ძირითად მიზეზად დასახელდა საწვავის (ძირითადად ნავთის) შექმნისათვის თანხების სიმცირე (ოჯახის ეკონომიკური პრობლემები) – როგორც მოსალოდნელი იყო ეს მიზეზი ძირითადად დაასახელეს რესპონდენტებმა დაბალშემოსავლიანი ოჯახებიდან.

- **ბოლო 1 წლის განმავლობაში** ამ მხრივ სიგუაცია გაუმჯობესდა, იყო ბუნებრივი აირის შეწყვეტის შემთხვევები, მაგრამ ხანგრძლივობა არ აღემატებოდა 2-3 კვირას. ამ პერიოდში რესპონდენტების დიდი ნაწილი გადავიდა გათბობის ალტერნატიულ საშუალებებზე (ძირითადად ნავთით გათბობაზე), რესპონდენტთა მცირე ნაწილი, რომელიც ამ პერიოდში არაფროთ არ თბებოდა, პერიოდის სიმცირის გამო ბინის გაუთბობლობა არ მიაჩნდათ პრობლემად.

„ერთ შემთხვევაში ბუნებრივი აირის მოწოდება შეწყვეტეს შემოდგომის მიწურულს, როდესაც არ ციოდა და შესაბამისად ბინის გათბობის აუცილებლობა არ არსებობდა, მეორეჯერ ზამთრის პერიოდში მაგრამ იმდენად ხანმოკლე პერიოდით, რომ რაიმე სხვა სახის გათბობაზე არ გვიფიქრია“.

### **რით ათბობენ ბინას, თუკი არ აქვთ გათბობის მთავარი/პრიორიტეტული ფორმა (პირველი ალტერნატივა)**

#### **რესპონდენტთა დაყოფა შესაძლებელია ორ ჯგუფად:**

რესპონდენტები რომლებიც ბინას ათბობენ ბუნებრივი აირით და გამოკითხული 5 რესპონდენტი, რომლებთანაც ბუნებრივი აირი არ არის შეყვანილი

- პირველი ჯგუფის რესპონდენტების უმეტესობა იმ პერიოდებში, როდესაც არ მიეწოდებათ ბუნებრივი აირი გასათბობად იყენებენ ნავთს, რაიმე მიზეზით ნავთის მიუწვდომლობის შემთხვევაში რესპონდენტი იყენებენს ელექტროგამათბობელს.

რესპონდენტთა ნაწილი იმ პერიოდებში, როდესაც ბუნებრივი აირი არ მიეწოდებათ ბინას არ ათბობენ. ისინი ვერ იძენს ნავთს თანხის უქონლობის გამო და ვერ რთავს ელექტროგამათბობელს, ელექტროენერჯის სიძვირის გამო (ამავე დროს ზუსტად იხდის ელექტროენერჯის მრიცხველის მიერ დაწერილ გადასახადს).

1. „თუ გაუსაძლისი ყინვებია, მხოლოდ მაშინ ვრთავ ელექტროგამათბობელს, სხვა შემთხვევაში მაქსიმალურად ვიკავებ თავს მისი გამოყენებისაგან, თუ რაღაც გამოუვალი სიგუაცია არ არის, მაგალითად ბავშვის ავადმყოფობა“
2. „გაზი თუ არ გვაქვს, ელექტროგამათბობელს სიძვირის გამო ვერ ვრთავთ და თანხის უქონლობის გამო ნავთსაც ვერ ვყიდულობთ, შესაბამისად გაზის წასვლა ნიშნავს იმას, რომ ჩვენს სახლში საყინულეა. დენს გასათბობად ვიყენებდით მანამ სანამ მრიცხველები არ გაიჭანეს, დღეს თავს ვერ ვაძლევთ ამის უფლებას, რადგან თუ ვერ გადავიხდით გადაგვიჭრიან“.

ნავთის „მიუწვდომლობის“ ყველაზე ხშირი მიზეზი, როგორც რესპონდენტებმა აღნიშნეს, არის შესაბამისი თანხის უქონლობა. (რესპონდენტების უმეტესობის აზრით „ელექტროენერჯის შემდეგ ნავთით გათბობა საკმაოდ ძვირი სიამოვნებაა“) „გაზის მოწოდება თუ შეგვიწყვიტეს და არ მექნება ნავთის შექმნის საშუალება მრჩება ორი იძულებითი ვარიანტი: ვისესხო ფული ნავთის შესაძენად ან ჩავრთო ელექტროგამათბობელი ერთ სპირალზე იმ პერიოდებში, როდესაც ბავშვს არ სძინავს და დაძინებისთანავე გამოვრთო, სხვა არჩევანი არ მაქვს. რამოდენიმე წლის წინ ეკონომიურად უფრო გვიჭირდა, მაგრამ მაინც ვცდილობდით სხვა ხარჯები შეგვემცირებინა და ბინა გავგეთბო, ალბათ ახლაც იგივეს ვიზამთ“. (ოჯახის საშუალო თვიური შემოსავალია 500 ლარი, ოჯახი შედგება 5 წევრისაგან, რომელთაგანაც 1 მცირეწლოვანი ბავშვია)

ამ ჯგუფის რესპონდენტთა ნაწილი (4 რესპონდენტი) თვლის, რომ ელექტროენერჯითა და ნავთით გათბობა დაახლოებით ერთნაირ ხარჯთანაა დაკავშირებული – ის მცირედი განსხვავება, რაც გათბობის ეს ორი სისტემა ჯდება, რესპონდენტებისათვის არ არის მნიშვნელოვანი თანხა, შესაბამისად ბუნებრივი აირის გამოტოვის პერიოდებში ისინი ირჩევენ გათბობის იმ ფორმას, რომელიც იმ მომენტისათვის მოსახერხებელი და კომფორტულია. (ამ რესპონდენტთა ოჯახის საშუალო შემოსავალი აღემატება 500 ლარს)

ბუნებრივი აირის შეწყვეტის შემთხვევაში ერთი რესპონდენტის ოჯახი, თბება შემით. ერთის მხრივ შემით გათბობა, რესპონდენტის თქმით, არანაირ ხარჯებთან არ არის დაკავშირებული (შემას ქალაქგარეთ გყეში აგროვებენ და საკუთარი მანქანით ჩამოაქვთ), მეორეს მხრივ საკუთარ ბინებში შემის ფეხის გამოყენება სირთულეს არ წარმოადგენს.

გამონაკლისს წარმოადგენს 4 რესპონდენტი, რომლებსაც აქვთ შეღავათი ელექტროენერჯის გადასახადზე და მიუხედავად ოჯახის დაბალი შემოსავლისა ხელი მიუწვდებათ ელექტროენერჯით გათბობაზე.

- რესპონდენტთა ის ნაწილი, რომელთაც არ არის შეყვანილი ბუნებრივი აირი ბინას ათბობს ნავთით და ელექტროენერჯით. მათი თქმით ელექტროენერჯის მიწოდების შეწყვეტის შემთხვევაში ბინას ათბობენ ნავთით,

„რომლის მარაგიც ოჯახში მუდმივად არის, არ ყოფილა შემთხვევა, რომ ბინა არ გაგვეთბო რაიმე გზით მაინც. ყველაზე მოსახერხებელი და უპრეგენზიო ჩვენთვის ნავთია, რამდენადაც დენი ხან გვაქვს და ხან არა – სხვაზე ვართ დამოკიდებული, მაშინ როდესაც ნავთს ჩვენ თვითონ ვიმარაგებთ და მუდმივად გვაქვს.“

### **რესპონდენტების მოსაზრებები კითხვაზე – რით არ გაათბობენ სახლს არც ერთ შემთხვევაში.**

რესპონდენტების უმეტესობის თქმით, არც ერთ შემთხვევაში არ გაათბობენ ბინას შემით (30გამოკითხულიდან 25 რესპონდენტი),

თხევადი აირით არ გაათბობდა ბინას ოთხი რესპონდენტი

ელექტროენერჯიას ვერ იყენებს გასათბობად (წინასწარი განწყობით უსახსრობის გამო, ვერ გამოიყენებს უახლოეს მომავალში) 7 რესპონდენტი.

ნახშირით გათბობა რესპონდენტებისათვის არასოდეს უცლიათ, შესაბამისად ნაკლებად შეუძლიათ ისაუბრონ მის დადებით და უარყოფით მხარეებზე, მათ არარეალურად მიაჩნიათ ნახშირზე მომუშავე გამათბობლის მოხმარება (28 რესპონდენტი)

### **მიზეზები:**

#### **▪ შემით გათბობა**

1. პრობლემატურია შემის შექენა და გრანსპორტირება
2. შემა საკმაოდ ძვირი ღირს (რესპონდენტების შეჯამებული მოსაზრებით „თვეში შემის ფეხის გამოყენება დაახლოებით 50-70 ლარის შემას ითხოვს, რაც დაახლოებით ნავთით გათბობის ფასია, ბუნებრივი აირით ბინის გათბობა კიდეც უფრო იაფი ჯდება, ამიტომ შემის გამოყენება გასათბობად ყველანაირ აზრს კარგავს“).
3. „სახლს აშავეს“ – თხელ შავ ფენად ედება ჭერსა და კედლებს, ჭვარტლავს, აჭუჭყიანებს ყველაფერს.
4. „ძნელი მოსაგლეღია“, გამათბობელი (ფეხი) საჭიროებს ყოველდღიურ გასუფთავებას
5. „რთულია ქალაქის პირობებში მაღლივ კორპუსში მისი აზიდვა“
6. დასაღაგებლად საჭიროებს სათავსოს/ფართის

„ღიდი ხნის განმავლობაში შემის ღუმელი გვედგა, რამაც მთელი ავეჯი დააზიანა. ნახშირით და ნაცრით იყო მთელი სახლი დაფიფქული. ძალიან მიჭირდა სისუფთავის დაცვა, რთული იყო შემის



ყიდვაც, თანაც თვეში დაახლოებით 60-70 ლარის შეშა გვჭირდებოდა, რაც არც თუ ისე მცირე თანხაა.“

„აღარასოდეს არ გავათბობ სახლს შეშის ღუმელით, ერთხელ უკვე გამოვცაღე – საშინელებაა: უნდა მომიღო, დახერხო, მთელი სახლი სავსეა ნახერხის გროვებით და მგვრით, არ იცი დახერხილი შეშა სად შეინახო. ყველაფერს თავი რომ დაანებო საშინელი გამონაბოლქვი აქვს მთელი ზამთარი ყველანი მურიანები დავდიოდით“

ამავე დროს აღიარებენ, რომ შეშით გათბობა, ჯანმრთელობისათვის ნაკლებ მავნებელია („ჯანმრთელია“), ვიდრე გათბობის მათ მიერ არჩეული პრიორიტეტული ფორმები.

#### ▪ თხევადი აირით გათბობა

ოთხი რესპონდენტის წინასწარი მოსაზრებით არასოდეს არ გაათბობს ბინას თხევადი აირით; მათგან 2 რესპონდენტი არ გამოიყენებს მას არაეკონომიურობის გამო, ორი რესპონდენტი ხაზს უსვამს თხევადი აირის ნამწვის სპეციფიურ სუნს, ხოლო ერთი რესპონდენტი თვლის, რომ სახიფათოა.

„ბალონები ხშირად დამიანებულია და არ არის სანდო, საფრთხისაგან არ ხარ დაცული“

„ბინას არასოდეს არ გავათბობ ქვანახშირით და თხევადი აირით. ქვანახშირს ისეთი შემადგენლობა აქვს, რომ მისი გამოყენება ჩვენს ბინებში საშიშია, წვის პროცესში მომწამლავ გამს გამოყოფს. ხოლო თხევადი აირით ბინის გათბობა არარეალურია, განა ბალონი, როგორ უნდა დაგენო, რომ ბინას ეყოს, ან რამდენი ხანი შეიძლება ეყოს ერთი ბალონი ადამიანს?!“

#### ▪ ნავთით გათბობა

**ნავთით გათბობა, რესპონდენტების უმეტესობას ბუნებრივი აირის შემდეგ საკმაოდ პრაქტიკულ საშუალებად მიაჩნიათ.**

3 რესპონდენტი თვლის, რომ ნავთის წვის შედეგი იმდენად საშიშროა ჯანმრთელობისათვის, რომ მის გამოყენებას სჯობს ბინა საერთოდ არ გათბეს, მათი თქმით ასეთი არჩევანის შემთვევაში, ისინი ბინას საერთოდ არ გაათბობენ. რესპონდენტთა აზრით ნავთის შექენასაც უამრავი პრობლემები ახლავს თან: ფასი გაშუღებით იცვლება, გრანსპორტირება სჭირდება და სხვა.

„არ გავათბობ ნავთით, ნავთის გამონაბოლქვი კარცეროგენულია, ბავშვის ფილტვებში ილექება და ზიანს აყენებს მის ჯანმრთელობას, მირჩევნია შესცივლეთ, ვიდრე ნავთით გავათბო...“

#### ▪ ელექტროენერგიით გათბობა

7 რესპონდენტის თქმით არსებული შემოსავლების პირობებში ვერ გამოიყენებს გასათბობად ელექტროენერგიას გარიფის სიძვირის გამო.

ელექტროენერგიით ბინის გათბობაზე უარის თქმის ერთადერთი მიზეზი მისი სიძვირეა. ამავე დროს ყველა რესპონდენტი აღნიშნავს რომ ელექტროენერგია არის ბინის გათბობის საუკეთესო გზა.

„ვერასოდეს გავათბობ ბინას ელექტროენერგიით, რეფლექტორი რომ ჩავრთო მთელი ჩემი ხელფასი არ ეყოფა მის დაწერილ გადასახადს“ (ოჯახის თვიური შემოსავალი შეადგენს 8 ლარს, ოჯახი შედგება სამი წევრისაგან)

„წარმოუდგენელია ჩვენთვის ელექტროენერგიით ბინის გათბობა, ელექტროხელსაწყოებიდან ვხმარობთ მხოლოდ ბაკს, უთოს, ტელევიზორს და ერთ ნათურას, ელექტროტექნიკის დანარჩენი ნაწილი ხმარებიდან გვაქვს ამოღებული, რამდენადაც დიდი გაჭირვებით ვიხდით დახარჯული ელექტროენერგიის საფასურს“ (ოჯახის საშუალო თვიური შემოსავალი შეადგენს 190 ლარს, ოჯახი შედგება ორი წევრისაგან)

რესპონდენტთა აზრით გათბობის ცენტრალიზებული სისტემა არის ბინის გათბობის საუკეთესო საშუალება.

## **რა მოწყობილობას იყენებენ ბინის/სახლის გასათბობად**

რესპონდენტების ნაწილი (4 რესპონდენტი) არ იყენებს ბუნებრივი აირის სპეციალურ გამათბობელს, გამათბობლის ფუნქციას ასრულებს გაბჭურა. ასეთი არჩევანის ძირითადი მიზეზი ოჯახში თანხების უქონლობაა, მეორეს მხრივ რესპონდენტების აზრით, გაბჭურა ისევე ასრულებს ბინის გათბობის ფუნქციას, როგორც ბუნებრივ აირზე მომუშავე ნებისმიერი გამათბობელი, შესაბამისად აზრი არ აქვს დამატებითი ხარჯის გაღებას.

„ვერიდები გაზის ღია გამათბობლის შექმნასა და გამოყენებას, რადგან სახლში ბავშვები მოძრაობენ, შემთხვევით არ დაეჯახონ და საფრთხე არ შეიქმნას. ასეთი ღია გამათბობლები ჯანმრთელობისათვის ისევე საშიშროა, როგორც გაბჭურა. მეტიც ღია გამათბობლები ბინას მეტად ანესტიანებს ვიდრე გაბჭურის გამოხატობა“. (როგორც ამავე რესპონდენტმა აღნიშნა „დახურული“ ტიპის ბუნებრივი აირის გამათბობელი ძვირი ღირს და ოჯახს არ აქვს მისი შექმნის საშუალება (რესპონდენტის ოჯახური შემოსავალი 400 ლარი, ოჯახის წევრების რაოდენობა – 4)

რესპონდენტები, რომლებიც ელექტროენერგიით ათბობენ ბინას იდენტიფიცირებას ვერ უკეთებენ

## **თავისუფალი არჩევანის შემთხვევაში რით გაათბობდნენ სახლს?**

ყველა რესპონდენტმა გათბობის საუკეთესო საშუალებად აღიარა ან ცენტრალიზებული გათბობა ან ელექტროგამათბობლებით ბინის გათბობა.

„ჩემს არჩევანზე რომ იყოს დამოკიდებული ავირჩევდი სისხემურ გათბობას, რომელიც მთელ კორპუსს მოიცავს და საწვავად ქვანახშირი გამოიყენება, რამდენადაც ვთვლი, რომ ამ ფორმით ბინის გათბობა არის ყველაზე უსაფრთხო და სასარგებლოც ჯანმრთელობისათვის, მთელ ბინაში ჰაერის ტემპერატურა ერთნაირად თბილი იქნება“.

„თუ ელექტროენერგიის მოწოდება უფრო სტაბილური იქნება და ტარიფის ღირებულებაც დაიკლებს, ბუნებრივია ელექტროენერგიით ბინის გათბობა საუკეთესო საშუალებაა, რამდენადაც ეკოლოგიურად უფრო სუფთა და უსაფრთხოა. გამოვიყენებდი მძლავრ რეფლექტორს, რომელიც 50 კვადრატულ მეტრს გაათბობს“.

## **რას იყენებენ რესპონდენტები სამზარეულოში საჭმლის მოსამზადებლად**

30 გამოკითხული რესპონდენტისაგან 25 რესპონდენტის ბინა არის გაბჭურებული:

- 3 რესპონდენტი საჭმლის დასამზადებლად იყენებს თხევად აირს
- 1 რესპონდენტი, როგორც თვითონ აღნიშნა „თითქმის 100%-ით“ იყენებს ელექტროენერგიაზე მომუშავე ქურას (იშვიათად, მხოლოდ ელექტროენერგიის მიწოდების შეწყვეტისას იყენებს თხევად აირს) (რესპონდენტი იხდის დახარჯული ელექტროენერგიის მეოთხედ ნაწილს, ხოლო ელექტროენერგიის „თელის“ მიერ ჩაჭრის შემთხვევაში თვითნებურად ალადგენს მას)
- 2 რესპონდენტი იყენებს ნავთქურას.
- 1 რესპონდენტი იყენებს ელექტროენერგიას (ცხოვრობს ლგოლვილთა დასახლებაში და არ იხდის ელექტროენერგიის საფასურს) და შეშის ფენს.

რესპონდენტთა ის ნაწილი, რომელთა ბინაშიც ბუნებრივი აირი არის შეყვანილი კერძების მოსამზადებლად ძირითადად იყენებენ ბუნებრივ აირს. რესპონდენტების მცირე ნაწილი ნამცხვრისა და ცომეულის საცხობად იყენებს ელექტროლუმელს

ტიპიურია შემდეგი პროცენტული გადახარჯი 90%–10% ბუნებრივი აირი ელექტროენერგია

„სამზარეულოში, საჭმლის მოსამზადებლად ვიყენებთ თხევად აირს, (გაბჭურასთან მიერთებული გვაქვს დიდი ბალონი). საცხობად ვიყენებთ ელექტროლუმელს. ერთის მხრივ ელექტროლუმელში ნამცხვარი კარგი გამოდის, მეორეს მხრივ გაზის ღუმელი, რომ გამოვიყენოთ დანახარჯი დიდი იქნება – ბალონი მალე დაიცლება. გაზის და ელექტროენერგიის გამოყენება პროცენტულად რომ შევადაროთ, გაზის მოხმარება სჭარბობს – დაახლოებით 90% გაზზე მოდის, 10%

ელექტროენერჯიაზე. როდესაც ელექტროენერჯია არ გვაქვს, ნამცხვრის გამოსაცხობად ნავთქურაც გამომიყენებია, მაგრამ ეს ძალიან იშვიათად ხდება“.

რესპონდენტები, რომლებიც ბუნებრივ აირს იყენებენ, მისი შეწყვეტის შემთხვევაში ანაცვლებენ თხევად აირზე მომუშავე ქურებს (იყენებს მცირე ზომის ბალონებს), ან ელექტროქურებს.

- **საყოფაცხოვრებო მოხმარებისათვის – (დასაბანად) წყლის ელექტროგამათბობელს („ბაკს“)** იყენებს 9 რესპონდენტი (მათგან ორი რესპონდენტის თქმით, ძალიან ეკონომიურად მოიხმარენ (განსაკუთრებით ზამთრის პერიოდში) ცდილობენ შეძლებისდაგვარად იშვიათად ჩართონ), მეორე გიპის გამათბობელს („აგმორს“) იყენებს 5 რესპონდენტი, მათგან 1-ს ბინაში შეყვანილი აქვს ბუნებრივი აირი.

ბუნებრივ აირზე მომუშავე წყლის გამათბობელს იყენებს 3 რესპონდენტი

სამი რესპონდენტი იყენებს წყლის 2 გიპის გამათბობელს – ელექტროგამათბობელს და გამის გამათბობელს, არსებული პირობებიდან გამომდინარე (ელექტროენერჯიის მიწოდება, თხევადი აირის ჭავლი).

- **სამზარეულოში მოხმარებისათვის– ჭურჭლის გასარეცხად** 19 რესპონდენტი არ იყენებს არანაირ წყლის გამათბობელ საშუალებას (ჭურჭელს რეცხავს ცივ წყალში, ან აცხელებს წყალს გამის ქურაზე).

4 რესპონდენტი, უსახსრობის გამო, როგორც ჭურჭლისათვის ასევე დასაბანად გაზზე დიდი ჭურჭლით აცხელებს წყალს (რესპონდენტი არ აკონკრეტებს თავის ოჯახურ შემოსავალს, აღნიშნავს მხოლოდ, რომ ოთხი ოჯახის წევრიდან 2 წევრი მუშაობს სახელმწიფო სექტორში და არის თვეები, როდესაც ოჯახს შემოსავალი თითქმის არ აქვს და ვალებით ცხოვრობს).

#### **გამრიცხველიანების მდგომარეობა რესპონდენტთა ბინებში**

**ორივე – ბუნებრივი აირის და ელექტროენერჯიის მრიცხველები – აქვს დაყენებული 23 რესპონდენტს.**

**„AES თელასის“ მიერ დაყენებული ელექტროენერჯიის მრიცხველები აქვს 23 რესპონდენტს.**

**ბუნებრივი აირის მრიცხველი აქვს დაყენებული 25 რესპონდენტს**

#### **ელექტროენერჯიის მიწოდება დღეში**

11 რესპონდენტს ელექტროენერჯია მიეწოდებათ უწყვეტად, ელექტროენერჯიის მიწოდების შეწყვეტა იშვიათობაა და შემთხვევით ხასიათს ატარებს.

„ელექტროენერჯია თითქმის შეუფერხებლად მოგვეწოდება, ძირითადად დღეში სინათლე 2-ჯერ 15-30 წუთით მიდის, უფრო ხანგრძლივი პერიოდით დენის მიწოდების შეწყვეტა იშვიათობას წარმოადგენს“.

სამი რესპონდენტის თქმით, სიგუაცია ბოლო 2 კვირის წინ შეიცვალა („როგორც ზამთრის მიწურულს ხდება ხოლმე“), ელექტროენერჯია მიეწოდებათ დღე-ღამეში 12-14 საათის განმავლობაში.

რესპონდენტთან ნაწილს (15 რესპონდენტს) ელექტროენერჯია მიეწოდება გრაფიკით. (დღეში 9-10 საათის განმავლობაში – 8-დან 12 სთ-მდე და 19-დან 24სთ-მდე).

მათგან რესპონდენტთა ერთ ნაწილს (7 რესპონდენტს) „AES თელასის“ მიერ არ აქვს გაგანილი მრიცხველები, რაც რესპონდენტების აზრით განპირობებულია უბნის დაბალი გადახდისუნარიანობით.

რესპონდენტების მეორე ნაწილს „AES თელასის“ მიერ აქვს გაგანილი მრიცხველი, მაგრამ მიუხედავად ამისა ელექტროენერგია მიეწოდებათ მკაცრი გრაფიკით.

გამონაკლისი იყო 3 რესპონდენტი, რომელსაც დღე-ღამეში მხოლოდ 2-4 საათის განმავლობაში მიეწოდება ელექტროენერგია (ორივე რესპონდენტის შემთხვევაში მრიცხველი გაგანილი არ არის „AES თელასის“ მიერ), რაც რესპონდენტების აზრით ელექტროენერგიის მიწოდების პრობლემის ძირითად მიზეზს წარმოადგენს.

რესპონდენტების ნაწილის აზრით, „ელექტროენერგიის მიწოდების პრობლემები ხელოვნურად არის შექმნილი, რათა გარკვეული მიზნით მოსახლეობა წყობიდან გამოიყვანონ. ამაში მთლიანად სახელმწიფოა დამნაშავე.“

ერთ-ერთმა რესპონდენტმა ასე გამოხატა თავისი დამოკიდებულება არსებული სიტუაციის მიმართ:

- „ვერანაირად ვერ ვგრძნობ უშუქობას – სახლში თბილა, გვაქვს ცხელი წყალი, უშუქობა რაინე მნიშვნელოვან დისკომფორტს არ გვაყენებს. თუკი ამ მხრივ გვაკაბალებენ, სულ არ მჭირდება თელასის დენი, ბოლოს და ბოლოს აკუმულატორს ვიყიდი და გელევიმორსაც ვუყურებ. გადახდის პრობლემა არ მაწუხებს, პირიქით კრედიტზე მაქვს დარჩენილი აუთვისებელი თანხა (ჩემს ქმარს, როგორც თმის მონაწილეს 150 კილოვანსაათი უფასო აქვს), დენი მაინც გრაფიკით მოგვეწოდება ჩვენც და ჩვენ მეზობელსაც, რომელსაც 700 ლარი აქვს დავალიანება და თანაც „ლევი“ ხაზი აქვს გადმოყვანილი. ეს თუ არ მოაწესრიგეს ამერიკელები კი არა უგვინოები ყოფილან! იყონ თავისთვის!“

1 რესპონდენტის თქმით, ელექტროენერგია მიეწოდებათ ქაოტურად ყოველ საათში 15-20 წუთით წყდება მიწოდება. რესპონდენტის აზრით ამის მიზეზი შეიძლება იყოს უბნის მოსახლეობის მიერ გადასახადის გადაუხდელობა.

ერთ რესპონდენტს აქვს ელექტროენერგორი. დანარჩენი რესპონდენტები ბინის გასანათებლად იყენებენ ნავთის ლამფას, ან სანთელს.

რესპონდენტთა უმეტესობა ბუნებრივი აირის შეწყვეტისას ბუნებრივ აირს ანაცვლებს თხევად აირს (ჩანაცვლება ძირითადად ეხება საჭმლის დამზადებას)

(ბუნებრივი აირის შეწყვეტის შემთხვევებში ჩანაცვლების ფორმები იხ. გვ. 5 „გათბობის პრიორიტეტული და დამხმარე ფორმები“)

## **გადახდის ფორმები**

გამოკითხული რესპონდენტებიდან 3 რესპონდენტი სარგებლობს ელექტროენერგიის გადასახადის შეღავათით, 1 რესპონდენტი არ იხდის ელექტროენერგიის საფასურს, რამდენადაც ცხოვრობს „ლგოლვითა დასახლებაში“ და სარგებლობს იძულებით გადაადგილებულ პირის საშეღავათო უფლებებით.

გამოკითხული 30 რესპონდენტიდან 23 რესპონდენტი (ერთი რესპონდენტი ცხოვრობს იძულებით გადაადგილებულ პირთა დასახლებაში და ელექტროენერგიის საფასურს საერთოდ არ იხდის) ელექტროენერგიის საფასურს იხდის მრიცხველის ჩვენების მიხედვით, ორი რესპონდენტი იხდის ფიქსირებულად. (რესპონდენტების თქმით მათი მრიცხველი დამიანებულია და ამ მიზეზის გამო გადავიდნენ ფიქსირებულ გადახდაზე).

რესპონდენტებს არ ჰქონდათ ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რის მიხედვით ხდება ფიქსირებული გადასახადის გადახდა. (გამოითქვა ორგვარი მოსაზრება, რესპონდენტთა ერთი ნაწილის აზრით, დაანგარიშება ხდება ოჯახის სულალობის მიხედვით, მეორე მოსაზრებით, ბინის ფართის მიხედვით). რესპონდენტთა აზრით ორივე ეს მაჩვენებელი მნიშვნელოვანია, მაგრამ არა განმსაზღვრელი, მრიცხველის ჩვენება არის აღრიცხვიანობის ყველაზე სამართლიანი ფორმა.

ყველა რესპონდენტის აზრით, გადახდის უფრო მისაღები ფორმაა მრიცხველის ჩვენების მიხედვით გადახდა, რამდენადაც ოჯახს შეუძლია აკონტროლოს საკუთარი ხარჯები „მოიხმაროს იმდენი რამდენის გადახდასაც შეძლებს“.

მრიცხველის ჩვენების მიხედვით გადახდა „მოსახერხებელი“ და „სამართლიანი“ ფორმაა, როგორც გაჭირვებული, ასევე შეძლებული ადამიანებისათვის. ხელმოკლე ადამიანები აკონტროლებენ საკუთარ ხარჯებს და ცდილობენ რის გადახდასაც შეძლებენ იმაზე მეტი არ მოიხმარონ, ხოლო შეძლებული ადამიანები ხარჯავენ მეტს და იხდიან მეტს „ვისაც აქვს გადახდის საშუალება და ფინანსური შესაძლებლობა, რაგომ არ უნდა გადაიხადოს იმდენი რამდენსაც დახარჯავს?!“

„ჩემნაირი დაბალი შემოსავლის მქონე ოჯახისათვის, ნამდვილად სჯობს მრიცხველის ჩვენების მიხედვით გადახდა. ჩემი ოჯახი სარგებლობს შეღავათით (წელიწადში 800 კილოვატსაათი), ვცდილობ რომ ჩავეციო ამ თანხაში, რასაც მე მრიცხველის მაჩვენებლის მიხედვით ვაკონტროლებ. ფიქსირებული რომ მქონდეს დავხარჯავ თუ არ დავხარჯავ, მაინც უნდა გადავიხადო განსაზღვრული რაოდენობის თანხა“.

გამოითქვა ალგერნატიული მოსაზრებაც:

ერთ-ერთი რესპონდენტის აზრით, დღევანდელ ვითარებაში, როდესაც მოსახლეობის დიდი ნაწილი ეკონომიურად გაჭირვებულია, ელექტროენერჯის გადახდის ყველაზე მისაღები ფორმაა ფიქსირებული გადასახადი, რადგანაც მრიცხველის ჩვენება, რაც უნდა ეკონომიურად მოიხმარდეს ოჯახი ელექტროენერჯიას, უმეტეს შემთხვევაში აღემატება ოჯახის გადახდის შესაძლებლობებს.

რესპონდენტთა ნაწილის მოსაზრებით, პასუხი კითხვაზე – რომელი ფორმით ჯობია ელექტროენერჯის გადასახადის გადახდა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ფიქსირებული თანხის რაოდენობაზე.

ყველა ოჯახის აქვს ელექტროენერჯის საჭიროების თავისი მაჩვენებლები (მინიმალური მოთხოვნილების რაოდენობა), თუ ფიქსირებული გადასახადის ოდენობა ნაკლებია ან უგოლდება მინიმალური დანახარჯის ღირებულებას, მაშინ მომხმარებლისათვის მომგებიანია. ყველა შემთხვევაში, ოჯახი, რომელიც იხდის ფიქსირებულ გადასახადს, ხარჯავს საკუთარ მინიმალურ საჭიროებაზე მეტს.

რესპონდენტები გამოდიან პრინციპით, რომ მომხმარებელმა უნდა გადაიხადოს იმდენი ან ნაკლები რასაც ელექტროენერჯის ეკონომიური მოხმარების შემთხვევაში იხდიდა.

**რესპონდენტების დიდი ნაწილის მოსაზრებით, დღევანდელი სოციალური პირობების გათვალისწინებით, ელექტროენერჯის თვიური ფიქსირებული გადასახადი არ უნდა აღემატებოდეს 15-20 ლარს.**

რესპონდენტთა უმრავლესობა 23 ელექტროენერჯის გადასახადს იხდის „AES თელასის“ სერვისცენტრებში.

ერთ-ერთი რესპონდენტის აზრით, მხოლოდ ასეთ შემთხვევაშია დარწმუნებული, რომ გადახდილი თანხა მიდის ადრესატამდე („AES თელასამდე“), რასაც მისთვის პრინციპული მნიშვნელობა აქვს.

7 რესპონდენტი უხდის ინკასაგორს. 7 რესპონდენტიდან 3 ბოლო 6-8 თვის განმავლობაში საერთოდ არ გადაუხდიათ არანაირი ელ.ენერჯიის გადასახადი. რადგან “მათთან ინკასაგორი არ მისულა.“

1 რესპონდენტი ელექტროენერჯის გადასახადს უხდის ინკასაგორს. მიაჩნია, რომ სერვისცენტრში თანხის გადახდა უფრო „თანამედროვე და სწორი ფორმაა“, მაგრამ არსებულ სიგუაციაში, მომხმარებლისათვის შეიძლება ინკასაგორთან ურთიერთობა სჯობდეს ორგანიზაციასთან ურთიერთობას, რამდენადაც ინკასაგორი გარკვეულ შეღავათებს უკეთებს მომხმარებელს (მაგალითად დავალიანების ნაწილს ახდევინებს და საშუალებას აძლევს ნელ-ნელა დაფაროს გადასახდელი თანხა), როგორც რესპონდენტმა აღნიშნა, ინკასაგორის საშუალებით გადახდა უფრო „ჰუმანური“ ფორმაა.

მეორეს მხრივ, ინკასაგორის ბინაზე მოსვლა ხშირად რესპონდენტისათვის უსიამოვნო მომენტებთან არის დაკავშირებული, კერძოდ: „იწყებ უაზროდ წრიალს, ფულის ძებნას, ხან პოულობ, ხენ ვერა. არ იცი, ინკასაგორი სახლში შემოუშვა, გარეთ დაალოდინო. ხან მარგო ხარ სახლში, ხან სტუმრები არიან. ჩემი აზრით, უამრავი უხერხულობა ახლავს თან. მაშინ როდესაც სერვის ცენტრში ფულის გადახდა, უფრო დაგეგმილი და მომზადებულია, მე პირადად მეორე ვარიანტი მირჩევნია“

„მივეჩვიე სალაროში გადახდას და არანაირი სურვილი არ მაქვს ყოველ წუთას ვიღაც მომადგეს კარზე, რა იცი ვინ არის, ხომ შეიძლება ყაჩაღი ან ქურდი იყოს“.

„ინკასატორის სახლში მისვლა არ მგონია, რომ გადახდის გამართლებული და ცივილური ფორმით, შესაძლებელია უფრო თანამედროვე ფორმით შეიცვალოს, მაგალითად ამ მოვალეობას იღებდეს ბანკი – პირდაპირ ხდებოდეს ხელფასიდან ფულის გადარიცხვა, ბევრი ადამიანისათვის უფრო მოსახერხებელი იქნება“

„ერთმნიშვნელოვნად სალაროში სჯობს ელექტრონერგიის გადასახადის გადახდა. „AES თელასის“ შეგყობინება ერთი კვირით ადრე მოდის და მეც წინასწარ ვიჭერ თადარიგს, ძალაუვნებურად ემზადები გადახდისათვის, ინკასატორი კი სახლში უსისგემოდ მოდის. საერთოდ ჩემის ამრით სახლი არ არის გადასახადების გადახდის ადგილი“.

რესპონდენტთა ნაწილის ამრით, თვითოეული ოჯახისათვის გადასახდელი თანხის ოდენობის დადგენაში აუცილებლად უნდა იყოს გათვალისწინებული მათი სოციალურ ეკონომიკური მდგომარეობა.

რესპონდენტების ამრით, ელექტრონერგიის გადახდის პრობლემები მხოლოდ მოსახლეობის დაბალი შემოსავლებით არის განსაზღვრული. მოსახლეობა არ არის გადახდისუნარიანი დღევანდელი დადგენილი ტარიფის მიმართ, შესაბამისად ადამიანების ნაწილი ვერ იხდის დახარჯული ელექტრონერგიის საფასურს. ტარიფის დადგენა უნდა მოხდეს მოსახლეობის შემოსავლების გათვალისწინებით, გარკვეული ფინანსური გამოთვლების საფუძველზე, „უნდა იყოს შესწავლილი საშუალო გადახდელის პარამეტრები, რის საფუძველზეც მოხდება ტარიფის ან ფიქსირებული გადასახადის ოდენობის დადგენა.“

### **ბუნებრივი აირის გადახდის ფორმები**

ყველა რესპონდენტი ბუნებრივი აირის გადასახადს უხდის ინკასატორს, მიუხედავად იმისა, რომ გადასახდელ პუნქტებში გადახდა უფრო „ცივილურ“ და მისაღებ ფორმად მიაჩნიათ. მიზეზად ასახელებენ ბუნებრივი აირის გადასახდელი პუნქტების მოუწესრიგებლობას. რესპონდენტთა დიდმა ნაწილმა არც იცის სად ხდება ბუნებრივი აირის გადასახადის გადახდა. რესპონდენტთა თქმით სრულიად სხვა სიტუაციაა „AES თელასის“ გადასახდელ პუნქტებში, რომლებიც მოწესრიგებულად ემსახურებიან მომხმარებელს, რაც განსაზღვრავს რესპონდენტთა გადასახდელ პუნქტებში გადახდის პრიორიტეტს.

### **რესპონდენტების მიერ დასახელებული ელექტრონერგიისა და გაზის გადასახადის ოდენობა**

**რესპონდენტი № 1:** ელექტრონერგია –40 ლარი, ბუნებრივი აირი (ზამთრის პერიოდში 30 ლარი, ზაფხულში 10-15 ლარი) – ელექტრონერგიაში უმტკივნეულოდ გადაიხდიდა თვეში 15 ლარს, ბუნებრივ აირში – 10 ლარს .

ჩვენი ოჯახის შემოსავლიდან გამომდინარე დროულად გადასახადებს ვერასოდეს ვიხდი, ფაქტიურად სულ ვალში ვარ, აუცილებლად გადავადებული მაქვს რომელიმე გადასახადი, თუ სინათლეს ვიხდი, ბავშვების სწავლის გადასახადი უნდა გადავლო, შემდეგ ეს უნდა დავფარო და რაიმე სხვა გადავლო და ა.შ. გამოდის, რომ გადასახადებს ვერასოდეს ვეწევი.

რესპონდენტის თქმით, იძულებულია ყველა გადასახადი სრულად იხადოს, ამის გამო მაქსიმალურად ეკონომიურად იყენებს ელექტრონერგიას და ბუნებრივ აირს.

(რესპონდენტის ოჯახური შემოსავალია 400 ლარი, ოჯახი შედგება 4 წევრისაგან)

რესპონდენტის თქმით, ბოლო ორი სამი წლის განმავლობაში ოჯახის ფინანსური მდგომარეობა გაუმჯობესდა

**რესპონდენტი №2:** ელექტროენერჯისა და ბუნებრივი აირის გადასახადში რესპონდენტს არანაირი თანხა არ ეხარჯება, რამდენადაც სარგებლობს შეღავათით (წელიწადში ელექტროენერჯიამე 800 კილოვატი, ბუნებრივ აირზე – 800 კუბომეტრი)

„შეღავათი ჩვენს არსებობას შესაძლებელს ხდის, თორემ ჩვენი ოჯახისათვის გადასახადებისათვის უმტკივნეულო თანხა არ არსებობს, ოჯახის შემოსავალი 4 ადამიანზე 200 ლარი გვაქვს შეღავათი რომ არ გვექონოდა ალბათ მარტო პურით მოგვიწევდა კვება, შეღავათის წყალობით მინიმალურს მაინც ვახერხებთ, სხვა შემთხვევაში მშვივრები დავრჩებოდით“.

ბუნებრივი აირის მიწოდების შეწყვეტის პერიოდებში რესპონდენტი მოიხმარს თხევად აირს, რაც თვის განმავლობაში დაახლოებით 10 ლარი უჯდება. ამას გარდა ყიდულობს ნავთს ლამფისათვის (თვეში ეხარჯება დაახლოებით 2 ლარი).

რესპონდენტის თქმით, ბოლო ორი სამი წლის განმავლობაში ოჯახის ფინანსური მდგომარეობა დარჩა იგივე.

**რესპონდენტი №3:** ელექტროენერჯის გადასახადი მამთარში შეადგენს 15-16 ლარს ზაფხულში 10 ლარს, რესპონდენტი ბუნებრივი აირის საფასურს არ იხდის, რამდენადაც სარგებლობს შეღავათით (უფასოა წელიწადში 800 კუბომეტრი, რაც წლის განმავლობაში ყოფნის)

ელექტროენერჯის და ბუნებრივი აირის შეწყვეტის პერიოდში რესპონდენტის ოჯახი მოიხმარს თვაში დაახლოებით 70 ლარის ღირებულების ნავთს.

რესპონდენტის აზრით უმტკივნეულოდ გადაიხდიდა ელექტროენერჯიაში 10-15 ლარს და ბუნებრივ აირში (შეღავათი, რომ არ ეკუთვნოდა 10 დან 30 ლარამდე).

ელექტროენერჯიას იხდის მრიცხველის ჩვენების მიხედვით, „რა თქმა უნდა ასეთი ფორმით მირჩევნია გადახდა, რადგან ვაკონტროლებ დანახარჯს, ვხარჯავ იმდენს, რამდენის გადახდის შესაძლებლობაც მაქვს“

(ოჯახის საშუალო თვიური შემოსავალი შეადგენს 500 ლარს. ოჯახი შედგება 5 წევრისაგან)

რესპონდენტის თქმით, ბოლო ორი სამი წლის განმავლობაში ოჯახის ფინანსური მდგომარეობა გაუმჯობესდა, შემოსავლები უფრო სტაბილური გახდა.

**რესპონდენტი №4:** ყოველთვიურად ელექტროენერჯის გადასახადი შეადგენს 50 ლარს, მამთარის პერიოდში, როდესაც არ მიეწოდებოდა ბუნებრივი აირი, ელექტროენერჯის გადასახადი 2 თვის განმავლობაში 120 ლარს შეადგენდა.

ბუნებრივი აირის გადასახადი მამთარში შეადგენს 15-20 ლარს, ზაფხულში 3-4-ს. „გამი ყველაზე იაფი ენერჯო რესურსია დღესდღეისობით, მისი გარიფი სრულიად მისაღებია“.

„უგამობისა და უდენობის პერიოდში მარტო ნავთზე დაახლოებით 170 ლარი გვეხარჯება“

რესპონდენტის აზრით უმტკივნეულოდ გადაიხდიდა ელექტროენერჯიაში 10-ს ხოლო ბუნებრივ აირში 10-15 ლარს.

ოჯახის საშუალო თვიური შემოსავალი შეადგენს 800-900 ლარს (ოჯახი შედგება 5 წევრისაგან)

რესპონდენტის თქმით, ბოლო ორი სამი წლის განმავლობაში ოჯახის ფინანსური მდგომარეობა მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა

**რესპონდენტი №5:** „ელექტროენერჯის გადასახადს ვიხდი მრიცხველის ჩვენების მიხედვით, მაგრამ უკვე 8 თვეა არ გადამიხდია, დავალიანებამ შეადგინა 150 ლარი. ეს მოხდა იმის გამო, რომ ოჯახის წევრებს ძალიან შეგვიმცირდა შემოსავალი, ადრე დავალიანება არასოდეს გვექონია. AES თელასი ფიქსირებულად ითვლის გადასახადის რაოდენობას (არ ვიცი, სულალობის მიხედვით, თუ ფართის მიხედვით) ქვითარზე 300-400 ლარს დავალიანება წერია. ასეთი ფიქსირებულ თანხებს მე არასოდეს არ გადავიხდი, 400 ლარსა და 150 ლარს შორის განსხვავება

საკმაოდ დიდია, მირჩევნია მრიცხველის ჩვენების მიხედვით გადავიხადო და ვეცდები დავხარჯო იმდენი, რამდენის გადახდის საშუალებაც მაქვს“.

საშუალოდ ელექტროენერჯიის გადასახადი თვეში შეადგენს 15ლარს, ბუნებრივ აირში იხდის 8-10 ლარს.

რესპონდენტის ამრით, შემოავლის გარეშე დარჩენილი ოჯახისათვის უმტკივნეულო თანხა არ არსებობს და საკუთარი ძალებით ვერანაირი თანხის გადახდას ვერ შეძლებს თუკი ნათესავები არ დაეხმარებიან.

(რესპონდენტის ოჯახის საშუალო თვიური შემოსავალია 55 ლარი. რესპონდენტის თქმით ნათესავების დახმარება რომ არა 55 ლარით პურსაც ვერ იყიდდა. ოჯახი შედგება 2 წევრისაგან)

რესპონდენტის თქმით, ბოლო ორი სამი წლის განმავლობაში ოჯახის ფინანსური მდგომარეობა გაუარესდა.

**რესპონდენტი №6:** ელექტროენერჯიის გადასახადი ზამთარში შეადგენს 100-120 ლარს, ზაფხულის პერიოდში 50-60 ლარს.

რესპონდენტის ბინაში არ არის შამოყვანილი ბუნებრივი აირი, საჭმლის დასამზადებლად იყენებენ თხევად აირს, რაც თვის განმავლობაში დაახლოებით 30 ლარი ჯდება.

დაახლოებით „3 ლიტრი ნავთი მუდმივად მაქვს სახლში გაჭირვების შემთხვევისათვის შემონახული, თუკი ელექტროენერჯია წავიდა და ვერ მოვახერხე თხევადი აირით ბალონის დაგვირთვა, იძულებული ვხდები ნავთი გამოვიყენო, ნავთის ხარჯი თვეების განმავლობაში არასტაბილურია ხან საერთოდ არ ვხარჯავთ, ზოგ თვეში კი ადის 70 ლარამდე.

რესპონდენტის თქმით, თანხა, რომელსაც ოჯახი ენერგომეგარებლებში იხდის (ელექტროენერჯია, თხევადი აირი, ნავთი) ოჯახის შემოსავლების გათვალისწინებით უმტკივნეულოა.

(ოჯახის საშუალო თვიური შემოსავალია 800-900 ლარი, ოჯახი შედგება 6 წევრისაგან)

რესპონდენტის თქმით, ბოლო ორი სამი წლის განმავლობაში ოჯახის ფინანსური მდგომარეობა გაუმჯობესდა

**რესპონდენტი №7:** ელექტროენერჯიის გადასახადი თვეში შეადგენს დაახლოებით 30 ლარს, რესპონდენტის თქმით „კაგასტროფული თანხაა რამდენადაც ოჯახის საშუალო თვიური შემოსავალი შეადგენს 150 ლარს“.

ბუნებრივი აირის გადასახადი შეადგენს დაახლოებით 10-15 ლარს. თუკი ბუნებრივი აირი არ არის ნავთის ხარჯი 30 ლარამდე იზრდება.

რესპონდენტი უმტკივნეულოდ გადაიხდიდა ელექტროენერჯიაში 7-8 ლარს და ბუნებრივ აირში იმდენსავეს, რასაც იხდის დაახლოებით 10 ლარს (იმის გათვალისწინებით, რომ გარდა საჭმლის მომზადებისა, ბუნებრივი აირი ასრულებს გათბობის ფუნქციასაც რესპონდენტს მიაჩნია რომ არსებული ტარიფი მისაღებია (იაფიც კია)).

(ოჯახის საშუალო თვიური შემოსავალი შეადგენს 150 ლარს, ოჯახი შედგება 3 წევრისაგან)

რესპონდენტის თქმით, ბოლო ორი სამი წლის განმავლობაში ოჯახის ფინანსური მდგომარეობა გაუარესდა.

**რესპონდენტი №8:** „AES თელასის“ მიერ მრიცხველი არ არის გაგანილი, რესპონდენტის ოჯახი ელექტროენერჯიის გადასახადს ფიქსირებულად უხდის ინკასატორს.

როგორც რესპონდენტმა აღნიშნა, ივნისის თვიდან ინკასატორი მათ ბინაში არ მოსულა, შესაბამისად ოჯახს ბოლო თვეების დავალიანება არ დაუფარავს.



„საბოლოოდ ალბათ მოვლენ და გავასწორებთ ანგარიშს, თანაც არ მგონია, რომ ჩვენს გადაუხდელობას რაიმე საჯარიმო სანქცია მოყვეს, რადგან ეს მათი დაუღვერების მიზეზით ხდება“.

„ფიქსირებული გადასახადის მიხედვით ვიხდით თვეში 35 ლარს (ალბათ ფართის მიხედვით ითვლიან), რეალურად ამ საფასურის ელექტროენერგიას არ ვიყენებ. ამ მხრივ მრიცხველის ჩვენების მიხედვით სჯობს გადახდა, დარწმუნებული ხარ, რომ რამდენსაც ხარჯავ იმდენს გახდევინებენ. თუ არ მექნება გადახდის საშუალება, არც იმაზე მექნება პრეგენზია, რომ ღენი მქონდეს.“

„სამინლად მაღიმინებს ელექტროენერგიის მოპარვის ფაქტები, უამრავი ოჯახია ჩემს გარშემო, რომლებსაც არ უჭირთ ეკონომიურად და მაინც „ლევი“ ხაზი აქვთ გადმოჭიმული, 100 ლარამდე ელექტროენერგიას წვავენ და ინკასატორთან შეთანხმებით 2-3 ლარს იხდიან“.

ბუნებრივ აირში არ უწევს გადასახადის გადახდა, რამდენადაც სარგებლობს შეღავათით (800 კუბომეტრი წელიწადში, რასაც წლის განმავლობაში ვერ ითვისებს).

თვეში იყენებს 1 ლიგრ ნავთს ლამფისათვის რაც დაახლოებით 1 ლარი უჯდება.

(ოჯახის საშუალო თვიური შემოსავალი შეადგენს 970 ლარს, ოჯახი შედგება 6 წევრისაგან)

რესპონდენტის თქმით, ბოლო ორი სამი წლის განმავლობაში ოჯახის ფინანსური მდგომარეობა გაუმჯობესდა.

**რესპონდენტი №9** ყოველთვიურად მამთრის პერიოდში ელექტროენერგიაში ოჯახი იხდის 60 ლარს (რომელშიც 10% ძველი დავალიანება შედის).

თვეში ბუნერივ აირში იხდის მამთრის პერიოდში - 50 ლარს, ხოლო მაფხულის პერიოდში 5-7 ლარს.

ნავთში ოჯახს თვის განმავლობაში საშუალოდ 20 ლარი ეხარჯება.

ელექტროენერგიაში უმტკივნეულოდ გადაიხდიდა 20 ლარს, ბუნებრივ აირში 10 ლარს

(ოჯახის საშუალო თვიური შემოსავალი შეადგენს 400 ლარს, ოჯახი შედგება 4 წევრისაგან)

რესპონდენტის თქმით, ბოლო ორი სამი წლის განმავლობაში ოჯახის ფინანსური მდგომარეობა იგივე დარჩა (არც გაუმჯობესდა არც გაუარესდა)

**რესპონდენტი №10** რესპონდენტი ელექტროენერგიის გადასახადს იხდის ფიქსირებულად – თვეში 23 ლარს (ბინის ფართის შესაბამისად „თელასის თანამშრომლების შეცდომის გამო ვიხდი ორი ოთახის ფართის შესაბამის თანხას, რეალურად ბინაში სამი ოთახია და გადასახადიც უფრო მაღალი უნდა იყოს“) რესპონდენტის თქმით, მას მაინც მრიცხველის ჩვენების მიხედვით ურჩევნია გადახდა, რადგან არ არის დარწმუნებული რომ რეალურად ხარჯავს იმდენ ელექტროენერგიას, რამდენსაც იხდის.

ბუნებრივი აირის გადასახადი მაფხულის პერიოდში 5 ლარს არ აღემატება, მამთარში საშუალოდ 70-80 ლარის გადახდა უწევთ.

რესპონდენტის თქმით პერიოდულად უწევთ ნავთის გამათბობლის ჩართვა (ბუნებრივი აირის შეწყვეტის პერიოდებში), რაშიც სემონზე (3 თვე) დაახლოებით 40 ლარი გადაიხადეს.

„უმტკივნეულოდ ელექტროენერგიაში და ბინებრივ აირში გადავიხდიდი (ცალკ-ცალკე) 20 ლარს. მოგადად ვთვლი, რომ გადასახადების საერთო რაოდენობა ჩემნაირი შემოსავლის ოჯახისათვის 50 ლარს არ უნდა აღემატებოდეს“

(ოჯახის საშუალო თვიური შემოსავალი შეადგენს 400-500 ლარს, ოჯახი შედგება 4 წევრისაგან).

რესპონდენტის თქმით, ბოლო ორი სამი წლის განმავლობაში ოჯახის ფინანსური მდგომარეობა იგივე დარჩა (არც გაუმჯობესდა და არც გაუარესდა)

**რესპონდენტი № 11** რესპონდენტის მიერ ელექტროენერჯის გადასახადი ზამთრის პერიოდში 40-45 ლარს შეადგენს. სარგებლობს შეღავათით, რის გამოც იხდის აღნიშნული თანხის ნახევარს.

სარგებლობს ბუნებრივი აირის გადასახადის გადახდის შეღავათით (800 კუბომეტრი წელიწადში), რესპონდენტის თქმით ეს რაოდენობა სრულიად საკმარისია წლის განმავლობაში და შესაბამისად ბუნებრივი აირის გადასახადის გადახდა არ უწევს.

ნავთისათვის სემონზე (3 თვის განმავლობაში) გადაიხდა 30 ლარი

აქვს გენერატორი, რომლისათვისაც სულ სემონზე გადაიხდა 10 ლარი.

„გადასახადის იმ ოდენობით გადახდა, რასაც ამჟამად ვიხდით, ოჯახისათვის პრობლემას არ წარმოადგენს. პრობლემის გადაჭრაში ძალიან მნიშვნელოვან როლს თამაშობს შეღავათი, რის გამოც ვიხდით ელექტროენერჯის გადასახადის მხოლოდ ნახევარს“.

(ოჯახის საშუალო თვიური შემოსავალი შეადგენს 500-600 ლარს, ოჯახი შედგება 3 წევრისაგან)

რესპონდენტის თქმით, ბოლო ორი სამი წლის განმავლობაში ოჯახის ფინანსური მდგომარეობა გაუმჯობესდა.

**რესპონდენტი № 12** „იყო პერიოდი (შარშან გაზაფხულსა და ზაფხულში), როდესაც სიგყვიერი მოლაპარაკების მიხედვით, მთელი დასახლება ყოველთვიურად ოჯახზე 5 ლარს აგროვებდა და ერთად შეჰქონდა თელასის გადასახდელ პუნქტში, შევთანხმდით, რომ მრიცხველი რომ დაიდგმებოდა დავალიანებას გამოაკლდებოდა გადახდილი თანხა და ამგვარად გასწორდებოდა ანგარიში. შემდგომში, არ ვიცი რა მოხდა, მოსახლეობამ შეწყვიტა ამ სახით გადახდა, დღეს ვისაც შეუძლია ინდივიდუალურად იხდის, ნაწილი ვერ იხდის. ჩვენ ვიხდით მრიცხველის ჩვენების მიხედვით დაახლოებით 8 ლარს თვეში“

ბუნებრივ აირში ზამთრის პერიოდში რესპონდენტი იხდის დაახლოებით 30 ლარს, ზაფხულში – 6 ლარს. და ყიდულობს 6 ლარის ნავთს.

რესპონდენტი ბინას ათბობს შეშის ფეხით, შეშას აგროვებს ქალაქგარეთ, შესაბამისად თანხა არ ეხარჯება.

რესპონდენტის თქმით შემოსავალი არ აძლევს რაიმე თანხის გადასახადებისათვის გამოყოფის საშუალებას. ამის გამო ხშირად თავს არიდებს ელექტროენერჯის საფასურის გადახდას, მარგამ სამართლიანად მიაჩნია, თუკი ელექტროენერჯის გადასახადის ოდენობა იქნება 10 ლარი. რესპონდენტის აზრით 10 ლარის საფასური საკმარისი უნდა იყოს იმისათვის, რომ ჩართოს ძირითადი ელექტროხელსაწყოები (უთო, სარეცხი მანქანა, გელევიზორი).

რესპონდენტის აზრით, ბუნებრივი აირის გამოყენება იმდენად დიდ კომფორტს ქმნის, რომ მიუხედავად გაჭირვებისა სამართლიანად მიაჩნია ის თანხა, რასაც იხდის (თვეში 30 ლარს).

(ოჯახის საშუალო თვიური შემოსავალი შეადგენს 200 ლარს, ოჯახი შედგება 4 წევრისაგან)

რესპონდენტის თქმით, ბოლო ორი-სამი წლის განმავლობაში ოჯახის ფინანსური მდგომარეობა გაუარესდა

**რესპონდენტი № 13** როგორც რესპონდენტმა აღნიშნა „ელექტროენერჯის გადასახადს ვიხდი მრიცხველის ჩვენების მიხედვით, რაც გადახდის ოპტიმალურ ფორმად მიმაჩნია, ზამთრის პერიოდში ფაქტიურად ერთ ოთახში ვცხოვრობთ, დანარჩენ ოთახებში იშვიათად თუ ავანთებთ შუქს. ფიქსირებული გადასახადი მთელ ფართზეა გათვლილი, შესაბამისად აუცილებლად მეტი იქნება გადასახდელი. ყოველდღიურად მოვიხმართ შემდეგ ელექტროხელსაწყოებს – ერთი ნათურა, გელევიზორი, სარეცხი მანქანა, მაცივარი, რისთვისაც მაქსიმუმ 16 ლარს ვიხდით თვეში“.

ბუნებრივი აირის გადასახადი ზამთრის პერიოდში შეადგენს 14-17 ლარს, ზაფხულის პერიოდში 3 ლარს.

რესპონდენტის თქმით, ელექტროენერჯიაში უმტკივნეულოდ გადაიხდიდა 12 ლარს, ბუნებრივ აირში 10 ლარს.

რესპონდენტის თქმით, ბოლო ორი-სამი წლის განმავლობაში ოჯახის ფინანსური მდგომარეობა არც გაუმჯობესდა, არც გაუარესდა – დარჩა იგივე.

(ოჯახის საშუალო თვიური შემოსავალი შეადგენს 190 ლარს, ოჯახი შედგება 2 წევრისაგან)

**რესპონდენტი № 14** რესპონდენტის თქმით, მკაცრი ეკონომიის პირობებში ელექტროენერჯის გადასახადი ბაზუხულის პერიოდში 10 ლარს შეადგენს, მამთარში 45-50 ლარამდე იზრდება.

რესპონდენტს ერთმნიშვნელოვნად ურჩევნია მრიცხველის ჩვენების მიხედვით გადახდა, რამდენადაც საცხოვრებელი ბინის ფართი საკმაოდ დიდია, ეკონომიის მიზნით მხოლოდ ნაწილში ცხოვრობენ. ფიქსირებული გადასახადი კი მთელ ფართზე იქნება დაანგარიშებული.

ბუნებრივი აირის გადასახადი მამთარის პერიოდში შეადგენს 12 ლარს, ბაზუხულის პერიოდში 5 ლარს.

„ნავთის ყიდვა ძალიან იშვიათად მიწევს, მხოლოდ ლამფისათვის, ბინის გასანათებლად დაახლოებით თვეში 1 ლიგრი მყოფნის და 1 ლარს ვიხდი“.

რესპონდენტის თქმით უმტკივნეულოდ გადაიხდიდა ელექტროენერჯიაში თვეში 20 ლარს, ხოლო ბუნებრივ აირში 3 ლარს.

„ამ თანხაზე მეტი ოჯახის ბიუჯეტისათვის უკვე პრობლემას წარმოადგენს, ცალკ-ცალკე თითქოს არ არის დიდი თანხა მაგრამ ერთიანობაში რთული გადასახდელია“.

(ოჯახის საშუალო თვიური შემოსავალი შეადგენს 500-600 ლარს, ოჯახი შედგება 3 წევრისაგან)

რესპონდენტის თქმით, ბოლო ორი-სამი წლის განმავლობაში ოჯახის ფინანსური მდგომარეობა არც გაუმჯობესდა არც გაუარესდა – დარჩა იგივე.

**რესპონდენტი № 15** რესპონდენტის ოჯახი მოიხმარს 80-90 ლარის ელექტროენერჯიას, ყოველთვიურად „გადავადების პრინციპით“ იხდიან მოხმარებული ელექტროენერჯის საფასურის ნაწილს – 10-დან 40 ლარამდე.

თვეში მოხმარებული ელექტროენერჯის საშუალო ღირებულებაა 30 ლარი, რესპონდენტი ყოველთვიურად იხდის 5-დან 15 ლარამდე, რის შედეგადაც ამ მომენტისათვის დავალიანება შეადგენს 100 ლარს.

რესპონდენტი (როგორც თვითონ აღნიშნა), უმტკივნეულოდ გადაიხდიდა ელექტროენერჯიასა და ბუნებრივ აირში 10 ლარს (ცალკ-ცალკე).

(ოჯახის საშუალო თვიური შემოსავალი შეადგენს 220 ლარს, ოჯახი შედგება 4 წევრისაგან)

რესპონდენტის თქმით, ბოლო ორი-სამი წლის განმავლობაში ოჯახის ფინანსური მდგომარეობა გაუარესდა.

**რესპონდენტი № 16** რესპონდენტი ელექტროენერჯიაში თვეში იხდის 10-15 ლარს, ბუნებრივი აირის გადასახადში რესპონდენტს აქვს შეღავათი (წელიწადში 800 კილოვატი მიეწოდება უფასოდ), რამდენადაც ბუნებრივი აირის მოხმარებული რაოდენობა არ აღემატება შეღავათის ოდენობას, რესპონდენტი არ იხდის გადასახადს.

რესპონდენტი ბინებრივი აირის შეწყვეტის პერიოდებში მოიხმარს თხევად აირს რომლის საფასურიც თვის განმავლობაში დაახლოებით 15 ლარს შეადგენს.

რესპონდენტის თქმით უმტკივნეულოდ გადაიხდიდა ელექტროენერჯიაში თვეში 5 ლარს.

რესპონდენტის თქმით, ბოლო ორი-სამი წლის განმავლობაში ოჯახის ფინანსური მდგომარეობა გაუარესდა.

(ოჯახის საშუალო თვიური შემოსავალი შეადგენს 350 ლარს, ოჯახი შედგება 2 წევრისაგან)

**რესპონდენტი №17** რესპონდენტის თქმით, „AES თელასის“ მიერ მრიცხველის გაგანამდე, ელექტროენერჯის საფასურის გადახდა ხდებოდა ფიქსირებულად – თვეში 200-300 ლარი, რაც რესპონდენტის აზრით, დახარჯული ელექტროენერჯის შეუსაბამოა. „თელასი“ მრიცხველის დაყენების შემდგომ ითხოვს დავალიანების გადახდას, რაც რესპონდენტის თქმით „კატასტროფულ თანხებს“ შეადგენს.

მრიცხველის გაგანის შემდგომ, რესპონდენტი იხდის ელექტროენერჯის საფასურს მრიცხველის ჩვენების მიხედვით, რაც თვეში შეადგენს 7 ლარს.

ბუნებრივი აირის გადასახადი ზამთრის პერიოდში შეადგენს 7-8 ლარს, ხოლო ზაფხულის პერიოდში 3-4 ლარს.

რესპონდენტი ბინას ათბობს ნავთის გამათბობლით, რისთვისაც თვეში ყიდულობს 20-30 ლარის ნავთს.

რესპონდენტის თქმით ოჯახის შემოსავლის სიმცირის (86 ლარი) გამო არ არის თანხა რომელსაც ოჯახი უმტკივნეულოდ გადაიხდის გადასახადებში.

(ოჯახის საშუალო თვიური შემოსავალი შეადგენს 86 ლარს, ოჯახი შედგება 3 წევრისაგან)

რესპონდენტის თქმით, ბოლო ორი-სამი წლის განმავლობაში ოჯახის ფინანსური მდგომარეობა გაუარესდა.

**რესპონდენტი №18** რესპონდენტი თვეში იხდის ელექტროენერჯის საფასურს 35-40 ლარს.

ბუნებრივი აირის გადასახადს იხდის სალაროში ზამთრის პერიოდში თვეში დაახლოებით 30-35 ლარს, ზაფხულში 3-5 ლარს.

ელექტროენერჯისა და ბუნებრივი აირის შეწყვეტის პერიოდში მოიხმარს თვეში დაახლოებით 50 ლარის ნავთს.

რესპონდენტის თქმით თანხებს რომელსაც გადასახადებში იხდის მისი შემოსავლისათვის რაიმე პრობლემას არ წარმოადგენს.

(ოჯახის საშუალო თვიური შემოსავალი შეადგენს 1200-1300 ლარს, ოჯახი შედგება 6 წევრისაგან)

რესპონდენტის თქმით, ბოლო ორი-სამი წლის განმავლობაში ოჯახის ფინანსური მდგომარეობა გაუმჯობესდა.

**რესპონდენტი №19** რესპონდენტი ელექტროენერჯის საფასურს თვეში დაახლოებით 15 ლარს იხდის.

დახარჯული ბუნებრივი აირის ღირებულება, რესპონდენტის თქმით, შეადგენს 45-50 ლარს, მაგრამ რეალურად იხდის ამ ღირებულების ნახევარს ინკასატორთან შეთანხმებით. ინკასატორი თვეში ერთხელ, გარკვეული ანაზღაურების ფასად ამცირებს მრიცხველის ჩვენებას, რაც რესპონდენტის აზრით მისი ოჯახისათვის მნიშვნელოვანი შედეგითაა. რესპონდენტი, როგორც თვითონ აღნიშნა, სიამოვნებით წავილოდა მსგავს გარიგებაზე ელექტროენერჯის გადახდის შემთხვევაშიც, მაგრამ ამის შესაძლებლობა მას არ აქვს.

ბუნებრივი აირის შეწყვეტის პერიოდში რესპონდენტის ოჯახი გასათბობად და საჭმლის მოსამზადებლად იყენებს ნავთს და თხევად აირს, რაშიც დაახლოებით 70 ლარს იხდის.

რესპონდენტის აზრით, უმტკივნეულოდ გადაიხდიდა ელექტროენერჯის გადასახადში 10 ლარს, ხოლო ბუნებრივ აირში 15-20 ლარს.

რესპონდენტის თქმით, ბოლო ორი-სამი წლის განმავლობაში ოჯახის ფინანსური მდგომარეობა არც გაუმჯობესდა არც გაუარესდა – დარჩა იგივე.

(ოჯახის საშუალო თვიური შემოსავალი შეადგენს 350 ლარს, ოჯახი შედგება 4 წევრისაგან)

**რესპონდენტი №20** რესპონდენტი ელექტროენერჯის გადასახადში იხდის 20-30 ლარს, ბუნებრივ აირში 50-60 ლარს.

ბუნებრივი აირის მოწოდების სტაბილურობის მიხედვით მოიხმარს სხვადასხვა ოდენობით ნავთს რომლის ღირებულებაც თვის განმავლობაში 10 დან 30 ლარამდე მერყეობს.

რესპონდენტის ამრით, უმტკივნეულოდ გადაიხდიდა ელექტროენერჯის გადასახადში 20 ლარს, ხოლო ბუნებრივ აირში 20 ლარს.

(ოჯახის საშუალო თვიური შემოსავალი შეადგენს 1000 ლარს, ოჯახი შედგება 4 წევრისაგან)

რესპონდენტის თქმით, ბოლო ორი-სამი წლის განმავლობაში ოჯახის ფინანსური მდგომარეობა გაუმჯობესდა.

**რესპონდენტი №21** რესპონდენტი ზამთრის პერიოდში ელექტრო ენერჯის გადასახადში იხდის 80 ლარს დანარჩენ პერიოდში 30-40 ლარს.

ბუნებრივ აირში ზამთრის პერიოდში იხდის 40 ლარს, ხოლო დანარჩენ პერიოდში 5 ლარს.

რესპონდენტის თქმით ოჯახისათვის გადასახადები სირთულეს წარმოადგენს, რადგან სხვა ხარჯებისათვის ფული აკლდებათ. (ოჯახში ჰყავთ ბავშვი რომელსაც უამრავი რამ სჭირდება).

რესპონდენტის ამრით, უმტკივნეულოდ გადაიხდიდა ელექტროენერჯის გადასახადში 20 ლარს, ხოლო ბუნებრივ აირში 8 ლარს.

(ოჯახის საშუალო თვიური შემოსავალი შეადგენს 500 ლარს, ოჯახი შედგება 3 წევრისაგან)

რესპონდენტის თქმით, ბოლო ორი-სამი წლის განმავლობაში ოჯახის ფინანსური მდგომარეობა გაუარესდა.

**რესპონდენტი №22** რესპონდენტი ელექტროენერჯის გადასახადს იხდის ფიქსირებული ჩვენების მიხედვით, დაუდგინეს 19 ლარი, მაგრამ იხდის იმდენს რამდენსაც ახერხებს.

რესპონდენტის ბინა არ არის გაზიფიცირებული, ამის გამო პერიოდულად უხდება ნავთის შეძენა რომელშიც დაახლოებით 7 ლარსიხდის.

რესპონდენტის ამრით, უმტკივნეულოდ გადაიხდიდა ელექტროენერჯის გადასახადში 5 ლარს.

(ოჯახის საშუალო თვიური შემოსავალი შეადგენს 30 ლარს, ოჯახი შედგება 1 წევრისაგან)

რესპონდენტის თქმით, ბოლო ორი-სამი წლის განმავლობაში ოჯახის ფინანსური მდგომარეობა გაუარესდა.

**რესპონდენტი №23** რესპონდენტი ელექტროენერჯიაში ზამთრის პერიოდში იხდის 50-60 ლარს, ბუნებრივი აირის გადასახადში 5-7ლარს.

რესპონდენტის თქმით უმტკივნეულოდ გადაიხდიდა ელექტროენერჯიაში თვეში 20-25 ლარს. რადგან რესპონდენტის დედა პირველი ჯგუფის ინვალიდია და ელექტროენერჯის გადასახადზე აქვს 20 ლარი შეღავათი.

რესპონდენტის თქმით უმტკივნეულოდ გადაიხდიდა ბუნებრივ აირში თვეში 4-5 ლარს.

(ოჯახის საშუალო თვიური შემოსავალი შეადგენს 300 ლარს, ოჯახი შედგება 4 წევრისაგან)

რესპონდენტის თქმით, ბოლო ორი-სამი წლის განმავლობაში ოჯახის ფინანსური მდგომარეობა გაუარესდა.

**რესპონდენტი №24** რესპონდენტი ზამთრის თვეებში დაახლოებით 18-20 ლარს იხდის, ზაფხულში 10. ბუნებრივ აირში დაახლოებით 8 ლარს.

რესპონდენტის თქმით გადასახადებთან დაკავშირებით გამუდმებით პრობლემები აქვს რადგან „ხელფასები იგვიანებს ელექტროენერჯის გადასახს თუ 10 დღის ვადაში არ გადაიხდი გითიშავენ.“

(ოჯახის საშუალო თვიური შემოსავალი შეადგენს 300 ლარს, ოჯახი შედგება 7 წევრისაგან)

რესპონდენტის თქმით, ბოლო ორი-სამი წლის განმავლობაში ოჯახის ფინანსური მდგომარეობა გაუარესდა.

**რესპონდენტი №25** რესპონდენტი ელექტროენერჯის გადასახადს იხდის სალაროში მრიცხველის ჩვენების მიხედვით, მაგრამ დროის ეკონომიის მიზნით ურჩევნია გადასახადს ინკასატორს უხდიდეს. („თვითონ მოვა სახლში და არსად სიარული არ ღამჭირდება“) თვეში საშუალოდ ეხარჯება 40 ლარი.

ბუნებრივ აირში გამთრის პერიოდში იხდის 25 ლარს, ხოლო დანარჩენ პერიოდში 5 ლარს.

რესპონდენტს უჭირს გადასახადების გადახდა, რადგან „აღამიანს, მითუმეტეს მოზარდს უამრავი მოთხოვნები აქვს და ჩვენი ხელფასიდან გამომდინარე ძნელია მინიმალური მოთხოვნების დაკმაყოფილება, ამხელა გადასახადების ფონზე.“

(ოჯახის საშუალო თვიური შემოსავალი შეადგენს 400 ლარს, ოჯახი შედგება 2 წევრისაგან)

რესპონდენტის თქმით, ბოლო ორი-სამი წლის განმავლობაში ოჯახის ფინანსური მდგომარეობა გაუმჯობესდა.

**რესპონდენტი №26** რესპონდენტს არ აქვს თელასის მიერ გაგანილი მრიცხველი ამიგომ როგორც თვითონ აღნიშნავს ელ. ენერჯია ძალიან ცუდად მიეწოდება და თვეში საშუალოდ იხდის 10-15 ლარს. რასპონდენტი სარგებლობს შეღავათებით როგორც რეაბილიტირებულის შვილი თვეში 30 კილოვატით.

ბუნებრივ აირში თვის განმავლობაში იხდის გამთრის პერიოდში 20-25 ლარს და მაფხულში 6-7 ლარს.

რესპონდენტის თქმით ბუნებრივ აირსა და ელექტროენერჯიაში უმტკივნეულოდ გადაიხდიდა თვეში 10 ლარს.

(ოჯახის საშუალო თვიური შემოსავალი შეადგენს 300-400 ლარს, ოჯახი შედგება 5 წევრისაგან)

რესპონდენტის თქმით, ბოლო ორი-სამი წლის განმავლობაში ოჯახის ფინანსური მდგომარეობა გაუმჯობესდა.

**რესპონდენტი №27** რესპონდენტი ელექტროენერჯიაში გამთრის პერიოდში იხდის 6-7 ლარს, მაფხულის თვეებში 10 ლარამდე რადგან მაცივარი აქვს ჩართული.

ბინა გაბიფიცირებული არ არის.

რესპონდენტის თქმით უმტკივნეულოდ გადაიხდიდა ელექტროენერჯიაში თვეში 10 ლარს. თუ ეს თანხა გასათბობათაც ეყოფოდა.

(ოჯახის საშუალო თვიური შემოსავალი შეადგენს 100 ლარს, ოჯახი შედგება 2 წევრისაგან)

რესპონდენტის თქმით, ბოლო ორი-სამი წლის განმავლობაში ოჯახის ფინანსური მდგომარეობა გაუარესდა.

**რესპონდენტი №28** რესპონდენტი ელექტროენერჯიაში გამთრის პერიოდში იხდის 6-7 ლარს, მაფხულის თვეებში 10 ლარამდე რადგან მაცივარი აქვს ჩართული.

ბინა გაბიფიცირებული არ არის.

რესპონდენტი ბინას ათბობს ნავთქურით და საჭმელსაც ხშირად დენის უქონლობის გამო ნავთქურაზე ამზადებს. ნავთით რესპონდენტს „ძმა უფასოდ ამარაგებს, სამსახურიდან ზაფხულის განმავლობაში“.

(ოჯახის საშუალო თვიური შემოსავალი შეადგენს 100 ლარს, ოჯახი შედგება 3 წევრისაგან)

რესპონდენტის თქმით, ბოლო ორი-სამი წლის განმავლობაში ოჯახის ფინანსური მდგომარეობა გაუარესდა

**რესპონდენტი №29** რესპონდენტი ცხოვრობს ლგოლვილთა დასახლებაში, შესაბამისად არანაირ კომუნალურ გადასახადებს არ იხდის. ბუნებრივი აირი დასახლებაში არ არის შეყვანილი, საჭმელს შემის ფეხზე და ელექტროქურებზე ამზადებენ. შემას მთელი წელი იმარაგენებ რაშიც არანაირ თანხას არ იხდიან.

(ოჯახის საშუალო თვიური შემოსავალი შეადგენს 100 ლარს, ოჯახი შედგება 2 წევრისაგან)

რესპონდენტის თქმით, ბოლო ორი-სამი წლის განმავლობაში ოჯახის ფინანსური მდგომარეობა გაუარესდა.

**რესპონდენტი №30** რესპონდენტი ყოველთვიურად მოიხმარს 40 ლარის ელექტროენერგიას, რომლიდანაც ოჯახის ფინანსური მდგომარეობიდან გამომდინარე იხდის მხოლოდ ნაწილს (10 ლარის ოდენობით). ყოველთვიური გადახდის შემთხვევაში შ თელასი არ უჭრის დენის მიწოდებას, მაგრამ მისი დავალიანება ყოველთვიურად იზრდება, რამაც უკვე 300 ლარი შეადგინა.

საჭმლის მოსამზადებლად იყენებს თხევად აირს, რაც დაახლოებით 14 ლარის ღირებულების იხარჯება თვის განმავლობაში.

ნავთს ყიდულობს განსაკუთრებულ შემთხვევებში (განსაკუთრებული სიცივის დროს), რაც დაახლოებით 12 ლარი უჯდება.

რესპონდენტის თქმით, მზადაა გადაიხადოს 10 ლარი ყოველთვიურად ელექტროენერგიის გადასახადში. (ბუნებრივი აირით ბინა არ მარაგდება შესაბამისად რესპონდენტი არ იხდის გადასახადს).

**რესპონდენტთა მოსაზრებები კითხვაზე – ბოლო ორი-სამი წლის განმავლობაში გაუმჯობესდა თუ გაუარესდა ელექტროენერგიით მომარაგება?**

რესპონდენტების უმეტესობის აზრით ბოლო წლის განმავლობაში ელექტროენერგიით მომარაგება გაუმჯობესდა, გაუმჯობესება დაახლოებით 2-3 წლის წინ დაიწყო.

რესპონდენტთა აზრით, მიუხედავად ამისა, ელექტროენერგიით მოსახლეობის მომარაგება ჯერ კიდევ დიდ პრობლემას წარმოადგენს.

## დანართი ჩაღრმავებული ინტერვიუების სახელმძღვანელო კითხვარი/გაიდი

### ინტერვიუერს

ინტერვიუ უნდა დაიწყოს მოკლე (დაახლოებით 3 წუთიანი) საუბრით, რომელის დროსაც ინტერვიუერი მოკლედ აღუწერს კვლევის მიზნებს, ხაზს გაუსვამს რესპონდენტის პასუხების ანონიმურობას და კვლევის შედეგებისათვის მათი მოსაზრებების მნიშვნელოვნებას.

ინტერვიუს მიზანია მიიღოს რესპონდენტისაგან მაქსიმალურად სრული ინფორმაცია მის შინამეურნეობაში ენერგომეგარებლების გამოყენების/ჩანაცვლების/გადახდის ფორმების გამოცდილების შესახებ.

წინასწარ შეუთანხმდით რესპონდენტს, რომ ის მოგიყვებათ თავის გამოცდილებებს, თუ როგორ რისთვის და რაგომ მოიხმარს ამა თუ იმ ენერგომეგარებელს. თხრობის დროს დაუსვით დამხმარე კითხვები, რადგან რესპონდენტის მიერ მოწოდებული ინფორმაცია იყოს მაქსიმალურად სრული. მნიშვნელოვანია დაუსვათ კითხვები შემოსავლების სტრუქტურის შესახებ, რამდენადაც აუცილებელია ყველანაირი პრიორიტეტის და არჩევანის მოგივებში შემოსავლების მნიშვნელოვნების დადგენა.

### რესპონდენტების შერჩევის კრიტერიუმები

გამოკითხულ უნდა იქნას რესპონდენტები შერჩევის შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

10 რესპონდენტი - რომელთა ოჯახური შემოსავალი შეადგენს 200 ლარამდე

10 რესპონდენტი - რომელთა ოჯახური შემოსავალია 200-დან 500 ლარამდე

10 რესპონდენტი - რომელთა შემოსავალი აღემატება 500 ლარს

### ინტერვიუს სახელმძღვანელო კითხვარი

#### ნაწილი №1 რესპონდენტის დემოგრაფიული მონაცემები

1. ასაკი, სქესი
2. განათლება
3. პროფესია
4. საქმიანობის სფერო
5. რამდენი ცხოვრობთ ოჯახში
6. თუ შეიძლება ჩამომითვალეთ თქვენი ოჯახის წევრები?
7. (თუ ყავთ ბავშვები) რა ასაკის არიან ბავშვები?
8. ოჯახის რამდენი წევრია დასაქმებული, რომელ სექტორში არიან დასაქმებული (ბიზნესი(კერძო სექტორი), სახელმწიფო სექტორში)
9. ოჯახის რამდენ წევრს აქვს რეალური შემოსავალი?
10. დაახლოებით რამდენს შეადგენს ოჯახის საშუალო თვიური შემოსავალი?



## ნაწილი №2

### ჩვენ გვაინტერესებს, თუ როგორ ათბობთ ბინას

1. თქვენი ბინა/სახლი რამდენი ოთახისაგან შედგება? შეგიძლიათ თუ არა მითხრათ რამდენს შეადგენს თქვენი საცხოვრებელი ფართი სულ?
2. რით ათბობთ ბინას/სახლს? (ბუნებრივი აირით, თხევადი აირით, ელექტროენერგიით, შეშით, ნავთით, ქვენახშირით)
3. რამდენი ხანია რაც აირჩიეთ გათბობის ეს ფორმა?
4. რამ განსაზღვრა გათბობის ასეთი ფორმის შერჩევა? რაზე იყო დამოკიდებული?
5. რით ათბობდით მანამდე?
6. ყოფილა თუ არა ისეთი პერიოდები, როდესაც ბინა საერთოდ არ თბებოდა? როდის იყო ეს? თუ ასე ხდება პერიოდულად, რით არის გამოწვეული?
7. როგორ ათბობთ ბინას როდესაც არ გაქვთ გათბობის თქვენს მიერ არჩეული ფორმები (მაგალითად: „გაზი როცა არ გვაქვს ვათბობთ შეშით“) აუცილებლად შეეკითხეთ რაგომ აირჩია ალტერნატიული გათბობის ეს ფორმა (ამ შემთხვევაში შეშა)
8. თუ თქვენს მიერ არჩეული მეორე გათბობის ფორმა გარკვეული მიზეზების გამო თქვენთვის მიუწვდომელია, რით გაათბობთ ამ შემთხვევაში?
9. რით არ გაათბობთ ბინას არასოდეს (ბუნებრივი აირით, თხევადი აირით, ელექტროენერგიით, შეშით, ნავთით, ქვენახშირით), რაგომ? რა პრობლემას გიქმნით?
10. რა მოწყობილობას იყენებთ ბინის/სახლის გასათბობად? (დაასახელოს გამათბობლის სახელი და რა ფასად აქვს შეძენილი, რამდენ კვადრატულ მეტრს ათბობს)
11. ასარჩევად რომ გქონდეთ, რით გაათბობდით სახლს? (ამ კითხვაში იგულისხმება არა მხოლოდ საწვავის ფორმა არამედ ტექნიკური შესაძლებლობები)

### ნაწილი №3 ტექნიკური საშუალებები და აღჭურვილობა

1. არის თუ არა ბინა გაზიფიცირებული, თუ არა რაგომ? (შესაძლო პასუხები – უბანი არ არის გაზიფიცირებული, ან ჩვენმა ოჯახმა ვერ შესძლო ბინის გაზიფიცირება. რაგომ?)
2. რას იყენებთ სამზარეულოში საჭმლის მოსამზადებლად (გაზს, შეშას, ელექტროენერგიას, ნავთს და ა.შ.) თუ იყენებთ ორ საშუალებას, რა პროპორციით (მაგ: 70% გაზი, 30 % ელექტროენერგია, “ნამცხვარს აცხობს ელექტროლუმელში, ხოლო კერძის მოსამზადებლად იყენებს გაზს.“ ჩამოათვლევინეთ ყველა შემთხვევისათვის)
3. რით აცხელებთ წყალს საყოფაცხოვრებო მოხმარებისათვის (ჭურჭლის გასარეცხად, დასაბანად გადაეკითხეთ ცალკე-ცალკე)?
4. გაქვთ თუ არა ელექტროენერგიისა და გაზის მრიცხველები. ელექტროენერგიის მრიცხველი დაყენებულია თუ არა „ვი-ი-ეს თელასის“ მიერ? (თუ არ გაქვთ, გიქმნით თუ არა რაიმე პრობლემას, კონკრეტულად რას, გირჩევნიათ თუ არა, რომ მრიცხველი გაგანილი იყოს „ვი-ი-ეს თელასის“ მიერ?)
5. დაახლოებით რამდენი საათი მოგეწოდებათ ელექტროენერგია დღეში? განსაზღვრული არის თუ არა მოწოდების საათები (გრაფიკი)?

6. ენერჯის რა საშუალებებს იყენებთ :

- ელექტროენერჯის შეწყვეტის დროს (ელექტროენერჯიას რისთვის რით ანაცვლებს)
- ბუნებრივი აირის შეწყვეტის დროს (ბუნებრივ აირს რისთვის რით ანაცვლებს)

#### ნაწილი №4 გადახდის ფორმები

1. როგორ იხდით ელექტროენერჯის გადასახადს?

- ფიქსირებულად თუ მრიცხველის ჩვენების მიხედვით? რომელი სისტემის მიხედვით ჯობია გადასახადის გადახდა (ფიქსირებულად თუ მრიცხველის ჩვენების მიხედვით), რატომ?
- ვის უხდით ელექტროენერჯის გადასახადს? ინკასატორს თუ სალაროში? როგორ ჯობია? რატომ?
- დაახლოებით რა თანხა გეხარჯებათ ყოველთვიურად ელექტროენერჯიაში?

2. როგორ / რა ფორმით იხდით გადასახადს ბუნებრივ აირში?

- ფიქსირებულად თუ მრიცხველის ჩვენების მიხედვით?
- რის მიხედვით ხდება ფიქსირებული გადასახადის დათვლა?
- რომელი სისტემის მიხედვით ჯობია გადასახადის გადახდა (ფიქსირებულად თუ მრიცხველის ჩვენების მიხედვით), რატომ?
- ვის უხდით ბუნებრივი აირის გადასახადს? ინკასატორს თუ სალაროში? როგორ ჯობია? რატომ?
- დაახლოებით რა თანხა გეხარჯებათ ყოველთვიურად ბუნებრივ აირში?

3. რა თანხა გეხარჯებათ სხვა ენერჯორესურსებში (გაზისა და დენის გარდა, ეს შეიძლება იყოს ნავთი, შეშა და სხვა)?

4. გიძნელობათ თუ არა მოხმარებული ელექტროენერჯისა და ბუნებრივი აირის გადასახადის გადახდა? რატომ?

5. სარგებლობთ თუ არა ელექტროენერჯის გადახდისას რაიმე შეღავათებით? რა შეღავათებით და რატომ? რამდენს შეადგენს თქვენი თვიური შეღავათი?

6. რა თანხას გადაიხდიდით უმგვიფუნელოდ ყოველთვიურად ელექტროენერჯიაში? რატომ? რის მიხედვით დაასახელეთ ეს თანხა?

7. რა თანხას გადაიხდიდით უმგვიფუნელოდ ყოველთვიურად ბუნებრივ აირში? რატომ? რის მიხედვით დაასახელეთ ეს თანხა?

8. იძულებული ხართ თუ არა თავი აარიდოთ ელექტროენერჯის საფასურის გადახდას? რა არის ამის მიზეზი?

როგორ ფიქრობთ, ბოლო ორი-სამი წლის განმავლობაში გაუმჯობესდა თუ გაუარესდა ელექტროენერჯით მომარაგება? რატომ თვლით ასე?

ბოლო ორი-სამი წლის განმავლობაში გაუმჯობესდა თუ გაუარესდა თქვენი ოჯახის ფინანსური მდგომარეობა?

- საგრძნობლად გაუმჯობესდა

- გაუმჯობესდა
- გაუარესდა
- საგრძნობლად გაუარესდა

თქვენი ოჯახი დაახლოებით რა თანხას ხარჯავს საშუალოდ კვებაზე, ტანსაცმლის შექენაზე, განათლებაზე, ტრანსპორტზე, გართობაზე, გადასახადებზე (მთლიანად)?

**შენიშვნებისა და წინადადებებისათვის გთხოვთ  
დაგვიკავშირდეთ შემდეგ მისამართზე:  
ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზირი № 1, I სადარბაზო, IV სართული  
ტელ.: +995 32 93 24 03 / 99 04 72  
ფაქსი: +995 32 22 38 74**